

ଓଡ଼ିଆ
ବ୍ୟାକ

178
1959/3

ଶ୍ରୀମତୀ ପଦ୍ମମଣ୍ଡଳୀ

3

1959

საბჭოთა № 3 სამართლი

მაისი—ივნისი

1959 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროექტის ასახულისა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოთა ასახული იურიდიული ქრისტიან რჩხანო

ო რ თ ვ ი ს რ ი შ უ რ ა ლ ი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

მ ო წ ი ნ ა ვ ე — მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ახალი დიდი	83-
ამოცანების წინაშე	3
სარეგსპუბლიკათაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხებზე	10
ა. ვაჩერიშვილი — სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი	19
ბ. ბანძელაძე — სამართლისა და ზეობის ურთიერთობის საკითხისათვის	25
ს. ჯორბეგაძე — მოუვლელი ქონების ცნებისათვის სამოქალაქო სამართლის მომავალ კოდექსში	34
ა. ბაგრაძე — აუცილებელი მოგერიებისა და მოგერიების საზღვრის გადაცილების საკით- ხის შესახებ	41
გ. ასიეშვილი — პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში	45

ქართული სამართლის ისტორიიდან

ი. სურგულაძე — საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ფორმის სა- კითხი „ხელმწიფოს კარის გარიგების“ მიხედვით	49
---	----

ჯინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ბ. ფურცელინიძე — ზოგიერთი პროცესუალური საკითხი, დაკაშირებული კერძო ბრალდების საქმეების განხილვასთან	54
ი. ღორთლიშვილი — ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.	59

ბურშტაზიულ ქვეყნებში

ზ. მესენგისერი — ბურჟუაზიული კულტურა დანაშაულობათა სათავეა	61
--	----

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას	65
ინფორმაცია	68
სასამართლო პრეტრიკა	74



СОДЕРЖАНИЕ

Передовая—Советы депутатов трудящихся перед новыми задачами . . .	3
Межреспубликанская научная конференция по вопросам кодификации законодательства	10
А. Вачешвили—Наказание и меры социальной защиты	19
Г. Бандзеладзе—К вопросу о взаимоотношении права и нравственности	25
С. Джорбенадзе—К понятию безхозяйного имущества в будущем гражданском кодексе.	34
А. Паичадзе—О вопросе необходимой обороны и ее превышения	41
В. Аснешвили—Участие прокурора в гражданском процессе	45

ИЗ ИСТОРИИ ПРАВА ГРУЗИИ

И. Сургуладзе—Вопрос формы грузинского феодального государственного устройства по „Распорядку царского двора“	49
---	----

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Б. Пурцхванидзе—Некоторые процессуальные вопросы, связанные с рассмотрением дел о частных обвинениях	54
И. Гортлишвили—Об одном важном вопросе	59

В БУРЖУАЗНЫХ СТРАНАХ

З. Месенгисер—Буржуазная культура источник преступлений	61
Юридическая консультация населению	65
Информация	68
Судебная практика	74

მშენებლთა ღეპუნიაზების საბჭოები ახალი ტიტო ამოცანების წინაშე

მარქსიზმის კლასიკოსებმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ კაპიტალის-ტურსა და კომუნისტურ საზოგადოებას შროის აუცილებელია ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, რომელს პოლიტიკური გამოხატულება პროლეტარიატის დიქტატურაა. პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფოს სავსებით ახალი ტიტის. სავსებით ახალი შინაარსის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის განსაზღვრული ფორმა შეესაბამება.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა სხვადასხვა ქვეყანაში, მისი შინაგანი თუ საგრძო პირობების შესაბამისად სხვადასხვა შეიძლება იყოს. ჩვენს სინამდვილეში პროლეტარიატის (მუშათა კლასის) დიქტატურა საბჭოების ფორმაში ვლინდება.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველი ფაზის შესაბამისი მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ფორმიდან მისი განვითარების მეორე ფაზაში — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ფორმაზე გადავედით, რომელიც უფრო სრულყოფილია და დემოკრატიულობის უფრო მეტი სიფართოვით შეესაბამება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასცლის პერიოდს.

ამრიგად, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სისტემა, ჩამოყალიბებული საბჭოთა რესპუბლიკის ფორმით, ჩვენს სინამდვილეში ახორციელებს მუშათა კლასის დიქტატურას. საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძვლს წარმოადგენერ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასს კომუნისტური პარტიის მეთაურობით მხოლოდ ამ ფორმის ფარგლებში შეუძლია განახორციელოს გლეხობისა და ყველა სხვა მშრომელისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა.

ჩვენ ავაგეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი საფეხური — სოციალიზმი. ამასთან დაკავშირებით საბჭოებმა შეისრულეს თავიანთი მისია სახელმწიფოს ფუნქციათა განხორციელებაში. ახლა შევედით განვითარების ახალ, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. ამიტომ საბჭოების წინაშეც დაისახა ახალი დიდი ამოცანები. „ჩვენი საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, — თქვა ამზადება ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის X XI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, — კიდევ უფრო იზრდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების როლი, რომლებმაც მთელი თავიანთი მუშაობა უნდა ააგონ მსების აქტივობაზე დაყრდნობით, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოების, მუშათა კლასისა და

გლეხობის კავშირისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო გან-
მტკიცების საფუძველზე“.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია სამეურნეო,
კულტურის, საკანონმდებლო, საბიუჯეტო და სხვა საკითხებში მოკავშირე რეს-
პუბლიკების სუვერენული უფლებების ზრდას კურსი. მასთან, რესპუბლიკის
ფარგლებში იზრდება ავტონომიური ერთეულებისა და მშრომელთა დეპუტა-
ტების ადგილობრივი საბჭოების ფუნქციებიც.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უფლებების გაფართოება გამომ-
დინარეობს ადგილების ინიციატივის გაფართოების ლენინური პრინციპებიდან. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „საბჭოთა ხელისუფლებას სრულიადაც არა აქვს გან-
ზრდვა დაამციროს ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელობა და ჩაკლას
მისი დამოუკიდებლობა და ინიციატივა“¹⁾, რომ „...კი არ უნდა შეიკვეცოს, არა-
მედ აუცილებლად უნდა გაფართოვდეს საერთოდ „ადგილების“, განსაკუთრე-
ბით კი ქვედა უჭრედების დამოუკიდებლობის თაოსნობა“²⁾. ამიტომ სავსებით
გამართლებულია პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯები სსრ კავშირის შიგნით
მოკავშირე რესპუბლიკებისა. ხოლო რესპუბლიკის შიგნით ადგილობრივი
ორგანოების უფლებების შემდგომი გაზრდისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის X XI ყრილობამ დიდი ამოცა-
ნები დასახა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამ გადამწყვეტ ეტაპზე.
ჩვენ უნდა შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღვზარდოთ
კომუნიზმის შესაბამისი ადამიანები, მოვამზადოთ სახოგაღოებრივი მნიშვნე-
ლობის საქმიანობის უსახელმწიფოდ, შეგნებულად და ნებაყოფლობითი გან-
ხორციელების პირობები.

კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია შეიდ-
წლიანი გეგმა, რომლის შესრულებისთვისაც ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს
ყოველი ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თვითეული მოქალაქე. განსა-
კუთრებით დიდია ამ საქმეში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი.

როგორც ცნობილია, თვითეულ საბჭოს აქეს თავისი სამეურნეო გეგმა და
განსაზღვრული ბიუჯეტი. გეგმა, დარგობრივი ხსიათის იქნება იგი თუ ტერი-
ტორიული, წლიური თუ კვარტალური, ერთიანი სახელმწიფო სახალხო-სა-
მეურნეო გეგმის ნაწილია.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა
მთავრობის პოლიტიკის უშუალო განმხორციელებელია. ისინი ყველაზე მასობ-
რივი, სახალხო თვითმმართველობის, სახალხო წარმომადგენლობითი ორგა-
ნოებია და სწორედ ამაშია მათი ძალა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უკანასკნელი არჩევნები ცხადყოფენ
ის ფაქტს, რომ ამჟამად ეს ორგანოები კიდევ უფრო მასობრივი გახდნენ. საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძა-
ნებულებით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიო-
ნული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში

1). ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 28, გვ. 25.

2). ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 32, გვ. 483.

ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, გაიზარდა შშრომელთა დეპუტატების საბჭოების შემადგენლობა. ბრძანებულებაში მითი-თებულია, რომ „საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და შშრო-მელთა დეპუტატების საბჭოების პრეტიულ საქმიანობაში შშრომელთა ფართო მსების უფრო მეტად ჩაბმის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალის შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში დეპუ-ტატთა რიცხვის ერთგვარი გადიდება“.

საქართველოს სს რესპუბლიკის სინამდვილეში მეექვე მოწვევის შშრო-მელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში არჩეული იყო. 30.104 დეპუტატი, მიმდინარე წელს კი, დასახელებული ბრძანებულების საფუძველზე, წარმომადგენლობითი ნორმების შეცვლის შედეგად 1.084 ადგი-ლობრივ საბჭოში ავირჩიეთ 40.427 დეპუტატი. საერთოდ, მთელი კავშირის შემსტაბით, ოხუთმეტივე სოციალისტურ რესპუბლიკაში ადგილობრივი საბ-ჭოების შემადგენლობა გაიზარდა დაახლოებით 350.000 დეპუტატით და ყველა 59.131 ადგილობრივ საბჭოში ითვლის 1.800 ათას დეპუტატზე მეტს.

დღეისათვის უკვე ყველა სასოფლო საბჭოს პყავს თავისი აღმასკომი, ყვე-ლა რეოლის საბჭოსთან არსებობს 5-6 და მეტი მუდმივი კომისია. სწორედ ამ გზით შეიძლება დეპუტატებისა და მათთან ერთად არადეპუტატების ჩაბმა სა-ხელმწიფოებრივ საქმიანობაში, საბჭოების უფრო გააჭტიურება.

პროლეტარიატის დიქტატურის მამოძრავებელ ღვედთა შორის საბჭოები ყველაზე მასობრივია. მართალია, პროფკავშირები სსრ კავშირში 53 მილიონ წევრს აერთიანებენ, კომკავშირი 18 მილიონს, კომპერაცია ათეულ მილიონებს, საბჭოები კი 1.800 ათას დეპუტატს, მაგრამ ისინი უფრო მასობრივია თავისი ხასიათთ.

პროფკავშირი, კომკავშირი, კომპერაციული გაერთიანებანი ერთგვარად ცალმხრივი არიან. პროფკავშირში მხოლოდ მუშა-მოსახურენი ერთიანდე-ბიან, კომკავშირში ახალგაზრდობა, კომპერაციაში ძირითადად გლეხობა. საბ-ჭოებში კი გაერთიანებული არიან მუშები, მოსამსახურები, გლეხები, ახალ-გაზრდობა, პარტიის წევრები, უპარტიოები, სამხედრო პირნი, დიასახლისები და ბევრი სხვა.

გარდა ამისა, საბჭოების მასობრივი ხასიათი იმაშიც მდგომარეობს, რომ მის საქმიანობაში, გარდა დეპუტატებისა, მონაწილეობს მილიონობით არადე-პუტატიც. ამას ადამტურებს საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საბჭოების სესია, საბჭოს მუდმივი და ღროებითი კომი-სიები, აღმასკომის კომისიები და ა. შ.

საბჭოები თავისით მრავალმხრივ მუშაობაში მასებს ემყარებიან ისეთი მნიშვნელოვანი საშუალებებით, როგორიც არს ქუჩის, კვარტალისა და ეზოს კომიტეტები, მშობელთა კომიტეტი, საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციის დამხმარე კომისია, საბავშვო სახლებისა და მოხუცთა სახლების საბჭოები, სამეცნიერო-ტექნიკური, სასპორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო საზო-გადოებანი, სამხანვო სასამართლოები, სახალხო მილიცია, კულტურის სახლე-ბი, ბიბლიოთეკები, სოფლის კლუბები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექ-ტივები, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოე-



ბის ადგილობრივი განყოფილებანი, ადგილობრივი გაზეთების რედაქტირები, დეპუტატის ოთახი, სპეციალისტთა თათბირები, აქტივის კრებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა. შ. ყოველივე ეს მასებთან საბჭოების დაახლოების მნიშვნელოვანი ფორმებია. იქ, სადაც საბჭოები მასობრივი მუშაობის ასეთ მდიდარ საშუალებებს იყენებენ, მუშაობის შედეგიც გაცილებით მეტია.

საბჭოებმა და აღმასკომებმა უნდა გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები და შესაძლებლობანი, დარაზმონ მასები და მათი ძალებით გაიყანონ ან შეაკეთონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ააგონ ან შეაკეთონ ხილები, ელექტროსაფგურები, საავადმყოფოები, სკოლები, სამკითხველოები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, სტადიონები და სხვ. ეს იქნებოდა კომუნისტური, საზოგადოების სასარგებლო უფასო შრომა, შესრულებული „არა განსაზღვრული ბეგარის მოსახლელად, არა გარეულ პროდუქტებზე უფლების მისაღებად. არა წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების მიხედვით. არამედ ნებაყოფლობითი შრომა, შრომა ნორმის გარეშე, შრომა გაწეული არა ანაზღაურების ანგარიშით, ანაზღაურების პირობის გარეშე, შრომა, გაწეული საერთო საჩვენებლიანობისათვის“¹.

მასებთან დაახლოვების მნიშვნელოვანი საშუალებაა აგრეთვე დეპუტატის ანგარიშება ამომტჩეველთა წინაშე თავისი და საბჭოს მუშაობის შესახებ. უკანასკნელ დროს პრაქტიკამ გაამართლა და ამიტომ საჭიროცაა დაინერვოს მასებთან ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორიც არის აღმასკომისა და მისი განყოფილებების, ცალკე დაწესებულებების ხელმძღვანელთა — სკოლის ან საავადმყოფოს დირექტორის, მაღაზიის ან ბიბლიოთეკის გამგისა და სხვათა პერიოდული ანგარიშგება არა მარტო საბჭოს, არამედ თვით ამომტჩეველთა წინაშეც. მნიშვნელოვანია აგრეთვე საბჭოების გამსვლელი სესიების, აღმასკომებისა და საბჭოს მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომების მოწყობა. „საბჭოთა ორგანოების მუშაობა, — აღნიშნულია პარტიის X XI ყრილობის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო დაეყრდნობიან ისინი მასების აქტივობას, ეცდებიან ხოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას“.

საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი გაფართოება საშუალებას მოგვცემს მივაჩიოთ მასები სახელმწიფოებრივ საქმიანობას, შევქმნათ სახელმწიფოს ცალკეული ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემის პირობები, გავამარტივოთ და ამასთან განვამტკიცოთ სახელმწიფო აპარატი და ამ გზით ავმალდეთ უსახელმწიფო საზოგადოებამდე.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას მოითხოვს. ამ ამოცანის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოება. მრეწველობის დარგში რეორგანიზაცია და ადმინისტრაციულ-ეკონომიური რაიონის შექმნა, დარგობრივი ხელმძღვანელობიდან ტერიტორიულ ხელმძღვანელობაზე გადასვლა საბჭოებს ავალებს ადგილობრივ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საწარმოთა ადმინისტრაციას კადრებით, კულტურული მომსახურებით, ნედლი მასალით, მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებით და ა. შ.

1. ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 631.

მართალია, ასეთი საწარმონი რესპუბლიკური მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოები ერთგვარად მაინც პასუხისმგებელნი არიან მათი გეგმების შესრულებაზე.


მშრომელთა დეპუტატების საბჭოები მეთვალყურეობენ ადგილობრივ მრეწველობასა და კომუნალურ მეურნეობას, ვაჭრობას, განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაობას და სხვა საქმიანობას, აბანოების, სამრეცხაოებისა და საპარიკმახეროების მოწყობას, ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობებს. მათ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის მოწესრიგების საქმეშიც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფო იურიდიკური ხელმძღვანელობა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რეორგანიზაცია არ ნიშნავს კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოს ზრუნვისა და ხელმძღვანელობის შესუსტებას. პირიქით, კოლმეურნეობათა საერთო კრებების უფლებრივი მდგომარეობის გაზრდასთან ერთად გაიზარდა ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობაც. საბჭოები უფრო კონკრეტულად უნდა ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობების სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვის ახალი წესის სწორად გატარებას, ტექნიკის ათვისებას, ავრონომიული და ტექნიკური კადრებით მათ უზრუნველყოფას და ა. შ. საბჭოებმა უნდა უხელმძღვანელონ გამსხვილებულ კოლმეურნეობებს სოფლის კეთილმოწყობის საქმეშიც — კლუბების, სამკითხველოების, საავალმყოფოების, საბავშვო ბავშვის, ბალებისა და სხვათა მოწყობაში, კოლმეურნეობათა ელექტროფიცირება — რადიოფიცირების საქმეში და სხვ.

დასახულ ამოცანათა განხორციელების მიზნით საბჭოები თავიანთ მუშაობაში უნდა იყენებდნენ ისეთ ნაცად მეთოდს, როგორიცაა სოციალური შეჯიბრება. სასურველია, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაა შემოწმდეს 6 თვეში ერთხელ. ასევე საბჭოების მუშაობაში გამოყენებულ უნდა იქნეს მასების ინიციატივის გამოვლინებისა და ქვემოდან კრიტიკის ყოველგვარი ფორმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის X XI ყრილობის რეზოლუციაში მითითებულია, რომ „საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი. რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა ყოველდღიურად უნდა იმუშაონ სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შეიძლიანი გეგმის დავალებათა შესასრულებლად, იზრუნონ მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებისათვის“.

რამდენადც კაპიტალიზმის გაღმონაშობით თავისი შედეგებით ზიანს აყენებენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, იმდენად მათ წინააღმდეგ ბრძოლაში



ვიყენებთ აგრეთვე საბჭოებსა და მათ განშტოებებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საბჭოების ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, განსაკუთრებით ლოთობისა და მისი შედეგების წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებთ როგორც დაჯერება-დარწმუნების, ისე სასჯელის განსაზღვრული ზომებითაც.

ამჟამად მილიციის სარაიონო და საქალაქო განყოფილებანი უშუალოდ ექვემდებარებიან აღგილობრივ საბჭოებს, ამით კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოების აღმინისტრაციული ზემოქმედებითი როლი სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა მიმართ.

როგორც ცნობილია, ამჟამად ყალიბდებიან ისეთი ნებაყოფლობითი ორგანოები, როგორიცაა სახალხო მილიცია. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის X XI ყრილობაზე აღნიშნა: „სახალხო მილიციის ნებაყოფლობითმა რაზმებმა უნდა იყისრონ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა თავიანთ დასახლებულ პუნქტებში, თვალყური ადევნონ იმას, რომ დაცულ და შენარჩუნებულ იქნას ყველა მოქალაქის უფლებანი და ინტერესები“.

უკანასკნელ პერიოდში შექმნილია აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიებიც, რომლებშიც საბჭოს დეპუტატებთან ერთად მონაწილეობენ არადეპუტატებიც. ამით კიდევ უფრო ძლიერდება საზოგადოებრიობის ზემოქმედება სამართლებრივი ნორმების დამრღვევთა მიმართ.

მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა საბჭოს აღმასკომთან არსებული აღმინისტრაციული კომისია. იგი აღმასკომის მუდმივი კომისია და ზომებს იღებს ისეთ პირთა მიმართ, რომელნიც აღგილობრივი არღვევენ ადგილობრივი ორგანოების საეალდებულო გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფო ორგანოებთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგი უშუალოდ ხალხმაც უნდა დაიცვას. ეს ამოცანა დასახულია საბჭოთა კავშირის კომინისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 მარტის დადგენილებაში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“. ადგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან იმისათვის, რომ უხელმძღვანელონ სახალხო რაზმებს თავიანთ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უკეთ დაცვისათვის.

კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე ძლიერი ფაქტორია საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საფუძველზე საბჭოთა სკოლების რეორგანიზაციის ასაწავლო წელს. სწორედ ამიტომ ამ ამოცანის გადაჭრა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ღიღ მხრუნველობას მოითხოვს.

საბჭოებმა შემდგომაც უნდა უზრუნველყონ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, ეროვნებათა ლენინური თანამშრომლობა, ისინი კვლავაც ხელს უნდა უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ამავე ღროს ნერგავდნენ მასებში მშვიდობის იღეას.

როგორც ვხედავთ, პარტიის XXI კრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შშრომელთა დეპუტატების საბჭოების წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ისინი პრაქტიკულად იძრძვიან სრული კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის. პროგრესული კაცობრიობის ეს სანუკვარი ოცნება ჩვენს ქვეყანაში ხორცს ჩასამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიტომ საბჭოებიც მოწოდებული არიან დროულად და ზუსტად განახორციელონ პარტიული დირექტივები.

საგესაცუბდიკათამოების სამაცნიერო კონფერენცია პანონიურებობის კოდიფიკაციის საკითხებზე

ამა წლის 23-25 აპრილს თბილისში შესდგა სარესპუბლიკათაშორისო სამცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხებისადმი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მცნიერები და მართლმასაჯულების დარგის პრაქტიკული მუშაკები. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით „მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მცნიერებული საფუძვლების შესახებ“ გამოვიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პ. ს. რომაშვილი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ყ. ლომიძე, აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის მინისტრი ი. მ. გულმაშელოვი და სომხეთის სსრ კოდექსების შემუშავებელი კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. კარაპეტიანი თავის მოხსენებში შეხერდნენ რესპუბლიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ძირითად საკითხებზე.

პლენარულ სხდომაში გამოვიდნენ ასევე სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ბა-

რანოვი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ფ. ი. კალინიჩევი.

მოხსენებებში აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დიდი მუშაობა ჩატარებული კანონმდებლობის კოდიფიკაციის დარგში. ჩვენი დიადისამშობლოს მრავალეროვან ოჯახში სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველომ. აზერბაიჯანში და სომხეთში უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ოორდინება განიცადეს. მიზომოქმედი კანონმდებლობა, შემუშავებული მრავალი წლის წინად მნიშვნელოვნად მოძველდა და ვეღარ პასუხობს თანამედროვე ეტაპის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააყენეს შესასრულებლად საბჭოთა ხალხის წინაშე.

საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილია სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის კოდექსების პროექტები და პროექტი სასამართლო წყობილების კანონის შესახებ. ამავე დროს მიმდინარეობს ინტენსიური საკოდიფიკაციო მუშაობა სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო სამართლის პროცესის, შრომის სამართლის, საოჯახო-საქონიშინო სამართლის კოდექსების შემუშავების დარგში.

მომხსენებლებმა გადმოსცეს კანონების პროექტების ძირითადი დებულებები, რომლებიც ერთხელ კიდევ გადასინჯული იყო საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეტოთ ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად.

წარმოდგენილ პროექტებში აღმცილია ყველა ძირითადი დებულება, მოცემული სსრკ და მოკავშირ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში. ეს დებულებები კონკრეტიზებული და შემდგომ განვითარებულია; დამოუკიდებლად არის შექმნილი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი.

პ. ვ. ბარანვამა თავის გამოსვლაში დაახასიათა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. სწარმოებს მუშაობა საერთო-საკავშირო კანონების: სამოქალაქო კანონმდებლობის, სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოების, შრომის კანონმდებლობის, საოჯახო-საქონლიწოდებულების საფუძვლების შესაქმნელად, აგრეთვე ინტენსიური მუშაობა მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და მოწესრიგებისათვის.

ფ. ი. კალინიჩევი შეეხო მეცნიერებისა და პრაქტიკული მუშაკების მუშაობის კოორდინაციის საკითხებს, ცენტრში რესპუბლიკური მუშაკებისათვის კოდექსების შექმნისას და მათ განვითარების გაწვევის საკითხს და სხვ.

პლენარულ სხდომებშე მოსმენილი შობსენებების განსახილველად შექმნილი იყო სამი სექცია: სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების და შრომის სამართლის, სევეგუფი, რომელიც მუშაობდა საოჯახო სამართლის საკითხებზე.

სისხლის სამართლის სექციის მუშა-

ბაში ამიერკავკასიის მეცნიერი პრაქტიკული მუშაკების გარდა მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის, უზბეკეთის წარმომადგენლებმა, მათ შორის: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესიონალმა რომაშვილმა, პროფესიონალებმა თადევოსიანმა, მოკიჩევმა, მანკოვსკიმ, წერეოელმა, ვაჩეოშვილმა, მიხაილენკომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ლომიძემ, აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მუსაევმა და სხვ.

სექციის სხდომაზე გამოსულმა 24 ამნანაგმა შემოიტანა ბევრი საქმიანი, საინტერესო წინადადება.

გამოსვლებში მთავარი ყურადღება ექცევლა საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ცალკეული ნორმების კონკრეტიზაციასა და დამატებებს. აღინიშნა კოდექსებში რესპუბლიკების ეროვნულ თავისებურებათა ასახვის აუცილებლობა.

პროფ. თ. წერეთლის, ვ. მაყაშვილის, ღოც. კირიჩენკოს (მოსკოვი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სკოლის მასწავლებლის გ. სოლორაშვილის, ადვოკატ საგინაშვილის, ამხ. რაბენანვის (აზერბაიჯანი) აზრით რესპუბლიკურ კანონმდებლობაში დაუშვებელია საფუძვლების საწინააღმდეგო რამე დებულების არსებობა. მაგრამ ამავე დროს დასაშვებია საფუძვლებში მოცემული დებულებების განვითარება. სახელდობრ, პროფ. თ. წერეთლის აზრით, მოკავშირ რესპუბლიკის კანონმდებლობას შეუძლა განვითაროს საფუძვლებში მოცემული დებულებანი არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი უფლება პირდაპირ არის გათვალისწი-



ნებული საფუძვლების რომელიმე მუხლით, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საფუძვლები ახსენებენ რომელიმე ცნებას და მის განმარტებას არ იძლევიან. მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას შეუძლია აგრეთვე შეიტანოს ახალი ნორმები, რომლებიც საფუძვლებში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ თავისი შინაარსით საფუძვლებში გამოიქმულ დებულებების განვითარებას წარმოადგენენ. პროფ. წერეთელმა მოიყვანა ამ აზრის საილუსტრაციო მაგალითები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტიდან. დაბოლოს, ზემოდღასახელებული ამხანაგების აზრით, მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში შესაძლებელია შეტანილი იქნეს რედაქციული ხასიათის შესწორებანი და დაზუსტებანი, როდესაც ეს საჭიროა საფუძვლების დებულებათა უფრო სწორად გაგებისათვის. პროფ. წერეთელმა, ვ. მაყაშვილმა და გ. სოლორაშვილმა მიუთითეს საფუძვლების ზოგიერთ ნორმებზე, რომლებიც ასეთ რედაქციულ დაზუსტებას საჭიროებენ.

ამ აზრს არ დაეთანხმენ პროფ. მოკავშირე, პროფ. მიხაილენკო (კიევი), ამხ. სულთანოვი (აზერბაიჯანი), პროფ. კაგრამანოვი (აზერბაიჯანი) და სხვ., რომელთაც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ საფუძვლების ნორმების ტექსტუალურად, სიტყვა-სიტყვით შეტანა მოკავშირე რესპუბლიკის პროექტებში.

ამას ასაბუთებენ პრაქტიკაში ერთიანდამავე ნორმების გაგებისა და განმარტების შესაძლო სხვადასხვაობით. პროფ. რომაშვინის აზრით მოკავშირე რესპუბლიკისა არ უნდა შეიტანონ რაიმე ცვლილება საფუძვლების ნორმებში თუ არ არის ამისი საჭიროება.

სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის საკითხზე გამოთქმული იყო სხვადასხვა შეხედულება. პროფესორების მანკოვსკის, მოკიჩევის და სხვათა აზრით

სოციალისტური საკუთრების შემთხვევაში დეგ მიმართული დანაშაული არა მარტო უნდა გამოიყოს ცალკე თავად, არამედ უნდა მოთავსდეს სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ, მაშინ, როდესაც სამივე წარმოდგენილ პროექტში სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ ადგილი აქვს დამობილი ადამიანის პიროვნების დაცვას.

მაგრამ გამოსულთა უმრავლესობაში, მათ შორის პროფესორებმა რომაშვინმა, მიხაილენკომ, კაგრამანოვმა, დოც. სტრუქტოვმა დაიცვეს შეხედულება ადამიანის პიროვნების, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლის ინტერესების სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ პირველ რიგში დაცვის შესახებ.

ამას გარდა, აზერბაიჯანის კოდექსის პროექტში ერთსადაიმავე თავსა და მუხლში ქონებრივი დანაშაულის შესახებ განხილულია ხელყოფა როგორც სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, ისე პირადი საკუთრების წინააღმდეგაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში ქონებრივი დანაშაულის თავი მოიცავს ორ დამოუკიდებელ განყოფილებას: I — დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ და II — პირადი საკუთრების წინააღმდეგ.

ვ. მაყაშვილის აზრით საქართველოს კოდექსის პროექტის ვარიანტი უფრო მისაღებია, ვინაიდან იგი, ერთის მხრივ ატარებს პრინციპიალურ განსხვავებას საკუთრების ორი ფორმის სისხლისა-მართლებრივ დაცვაში, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ვარიანტით ხელყოფათა ორივე ჯგუფი გაერთიანებულია ერთ თავში, რაც ხასს უსვამს მათ ნათესაობასა და სისხლოვეს. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ფ. კირიჩენკო სთვლის, რომ სოციალისტური საკუთრებისა და პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკეულ თავებად გამოყოფა უფრო მიზანშეწონილი იქნება.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც განსაკუთრებით იყო გამხვილებული კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება, შეეხებოდა სკპპ იუდაეურთე ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად რიგ დანაშაულობათა ამოღებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროდან და მათ გადაცემას საზოგადოებრიობის განსახილველად. ამგვარ შეხედულებას გამოთქვამდენენ პროფესორები რომაშვინი, მანკოვსკი, მოკიჩევი, თადევოსიანი, მიხაილენკო, შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე კალინინი და სხვები. პროფესორები რომაშვინი და მოკიჩევი აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის წარმოდგენილ პროექტებში იმ მოტივით, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად აისახოს ეროვნული სპეციფიკა, ხელოვნურად არის გაზრდილი დანაშაულთა შემადგენლობების რაოდენობა.

აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მუსაევიც ხაზს უსვამს სასამართლოს აღმზრდელობით როლის გაძლიერებას, მოითხოვს სასჭელთა ისეთი სახეების ფართოდ გამოყენებას, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, მაგრამ, ამავე დროს, რომაშვინისა და მოკიჩევის შეხედულების საწინააღმდეგოდ აცხადებს, რომ რესპუბლიკურ კანონმდებლობაში უნდა შენარჩუნებული იქნას მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ეროვნულ სპეციფიკას ასახავენ.

გამოთქმული იყო საერთო აზრი გაძლიერებული სანქციების შერბილების შესახებ, სასჯელის ქვედა ზღვრების შემცირების მიზანშე წრობილი მუშაობის გაძლიერებაზე და სხვ.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სისხლის სამართლის კოდექსების პროექტები საკითხი გაძარცვის ცნების შესახებ. რიგი ავტორებისა ამტკიცებს, რომ გაძარცვის ცნება აღდგენილი უნდა იქ-

ნას, მეორენი უარყოფენ მისი არსებობის მიზანშეწონილებას.

ვ. მაყაშვილის აზრით, ფარული და აშკარა გატაცება ძალადობის გარეშე ერთნაირი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია და ამიტომ არ არის საჭირო მათი გამოყოფა ცალკე შემადგენლობებად. გარდა ამისა, ფარული და აშკარა გატაცების გამიჯვნა პრაქტიკულად მეტად ძნელია, მათ შორის ზღვარი პირობითი და ცვალებადია.

გაძარცვის ცნების გამოყოფა და აცნებისათვის ქონების აშკარა უქალადო გატაცების მიუთვნება, მისი აზრით, უფრო ტრადიციით აიხსნება; ვიდრე პრაქტიკული მიზანშეწონილებით.

ამავე შეხედულების მომხრედ გამოვიდნენ მუსაევი, ადვოკატი საგინაშვილი და სხვები.

პროფ. კაგრამანვი არ დაეთანხმა ვ. მაყაშვილს. იგი ფიქრობს, რომ ძარცვის ცნება საჭიროა დატოვებულ იქნას კოდექსში, ვინაიდან ყველა იმ მოქმედების, რომელიც რამე ძალის გამოყენებით არის ჩადენილი, მიუთვნება მძიმე დანაშაულის — ყაჩაღური თავდასხმისაღმი სავსებით გამართლებული არ იქნებოდა.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს სსკ პროექტის მე-12 მუხლა, რომელშიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი ნორმის არსებობის საჭიროებას ასაბუთებდა ამს. ვ. მაყაშვილი.

აღნიშნული ნორმის წინააღმდეგ გამოვიდნენ დოც. უზუნიანი და პროფ. რომაშვინი. პროფ. რომაშვინის აზრით მე-12 მუხლში მოცემული დებულება თეორიული თვალსაზრისით სწორია, მაგრამ პრაქტიკულად მისი შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში ზედმეტია.

პროფ. თადევოსიანმა, პროფ. კაგრამანვმა და ადვოკატმა საგინაშვილმა



აღნიშნეს საქართველოს და აშერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში შინაური წესით არყის გამოხდის სისხლის სამართლის წესით დასჯის მიზანშეუწონელობის შესახებ.

პროფ. წერეთელმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში უნდა იყოს მოცემული სასჯელის მიზნების ზუსტი განსაზღვრა და სასჯელის მიზნები არ უნდა იქნას შერეული სასჯელის შინაარსთან. საფუძვლების მე-20 მუხლის ფორმულა „არამარტო დასჯა (კარა) ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მას აგრეთვე მიზნად იქვე აიცდინოს ახალ დანაშაულთა ჩადენა...“ საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, თითქოს საფუძვლები დასჯას (კარა) სთვლიან სასჯელის ერთერთ მიზნად. სინამდვილეში, დასჯა (კარა) სასჯელის შინაარს წარმოადგენს და არა მის მიზანს, ამიტომ უმჯობესია მუხლი სასჯელის შესახებ ფორმულირებული იქნას ასე: „სასჯელი წარმოადგენს რა დასჯას ჩადენილი დანაშაულისათვის, მიზნად ისახავს..“

პროფ. ვაჩეიშვილი თავის გამოსვლაში შეჩერდა სასჯელის მიზნებსა და ამოცანებზე. საბჭოთა სისხლის სამართლის კონმიდებლობამ თავიდანვე უარყო სამაგიეროს მიზღვის პრინციპი, მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში, როდესაც ლაპარაკია სასჯელის მიზნებზე, ესვდებით ტერმინს „კარა“, რომელიც შეიძლება გაგებული იქნას, როგორც სამაგიეროს მიზღვა, რაც, რა თქმა უნდა არასწორია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი გ. ტყეშელიაძე შეეხო დამამდიმებელ გარემოებათა საკითხს, კერძოდ რეციდივებს. მისი აზრით, საქართველოს კოდექსის პროექტის ის დებულება, რომელიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივად არ სთვლის განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენას, გა-

მართლებული არ არის. მართალია, შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩამდებნი პირი ასეთივე ან სხვა სახის დანაშაულს იდენს. ტიპიური არ არის, მაგრამ ანალოგიის პრინციპის უარყოფასთან დაკავშირებით მისი გაუთვალისწინებლობა პოლიტიკურ დამნაშავეს სხვა დამნაშავეებთან შედარებით დაუმსახურებელ პატენტს მიანიჭებდა.


ამ. კალინინის (მოსკოვი) აზრით, სწორად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ის განმარტება, რომელიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის პირველ ვარიანტში, რომელიც მოითხოვს დანაშაულის მეორედ ჩადენას მას შემდეგ, რაც პირმა უკვე მოიხადა სასჯელი ან იხდის სასჯელს პირველი დანაშაულისათვის. გარდა ამისა, კალინინს საჭიროდ მიაჩნია მოსამართლეს უფლება მიეცეს არ სცნოს რეციდივისტად პირი, რომელმაც ორჯერ ჩადინა დანაშაული.

დოკ. უზუნიანს სწორად მიაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მეორე ვარიანტი მძიმე დანაშაულის შესახებ, ამ ვარიანტით მძიმე დანაშაულად ითვლება ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც პირს მიესაჭა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით ან მეტი ვადით.

დოკ. კალინინი, პირველი, არ ეთანხმება ამ ვარიანტს, იგი აღნიშნავს, რომ ასეთი განმარტება მეტად აფართოებს მძიმე დანაშაულის ცნებას. მისი აზრით, უმჯობესია ჩამოთვლის სისტემა.

ამას გარდა, სექციის სხდომებზე გამოიწველი იყო მთელი რიგი კონკრეტული შენიშვნებისა და წინადაღებანი სისხლის სამართლის კოდექსის პრაცეტის ცალკეულ მუხლებზე.

სასამართლო წყობილებისა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სექციის მუშაობაში მონაწილეობ-



და 100 კაცამდე. სექციის სხდომებზე გამოვიდა 22 კაცი. მათ შორის: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორექსპონდენტი პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. ა. ჩელუნვი, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პ. ვ. ბარანოვი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი რ. დ. რახუნოვი და სხვ.

სამი მოვაგშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტები და კანონი სასამართლო წყობილების შესახებ კრიტიკულად და ყოველმხრივ იქნა განხილული კონფერენციის მონაშილე მეცნიერებისა და პრაქტიკული მუშაობების მიერ.

სექციის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მოკვლევისა და წინაშარი გამოძიების ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულებისა და კომპეტენციის საკითხს.

გამოსული ამხანაგების უმრავლესობის აზრით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტების ის ნორმები, რომლებიც მოკვლევისა და წინაშარი გამოძიების ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებს აქტესრიგებენ სათანადოდ არ არიან დამუშავებული და დაზუსტებული. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ თვითონ გამოსვლებში პროფესიონები სტროგოვიჩი. რახუნოვი, სსრკ პროკურატურის წარმომადგენელი გოლსტი, ბარანოვი და სხვ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა სავიცყიმ და მუშავემა მიუთითეს საქართველოსა და ახერხბაიგანის კოდექსების პროექტებში არსებულ ნაკლოვანებებზე; კერძოდ, პროექტებში არ არსებობს მოკვლევის ორგანოთა ზუსტი განსაზღვრა.

მოკვლევისა და წინაშარი გამოძიების ორგანოთა კომპეტენციის განსაზღვრას სტროგოვიჩიმა და რახუნოვმა გამომქვეს შეხედულება მოკვლევის ორგანოთა კომპეტენციისათვის ისეთი სა-

ქმედების მიკუთვნების შესახებ, რომელთათვისაც სანქცია არ ითვალისწინებს ერთ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთის, დანაშაულის ხასიათისაგან დამოუკიდებლად.

სტროგოვიჩიმა აღნიშნა, რომ საქართველოს და სომხეთის კოდექსების პროექტები არასწორად აკუთვნებენ მოკვლევის ორგანოთა კომპეტენციას მრავალი დანაშაულის გამოძიებას.

ბარანოვის, გოლსტისა და სხვების აზრით საჭიროა შევიწროვდეს მოკვლევის ორგანოთა ფუნქციები, მაგრამ სტროგოვიჩისა და რახუნოვის თვალსაზრისის საჭინააღმდეგოდ, ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა მოკვლევის ორგანოსათვის გადაცემისას მთავარ კრიტიკუმად სახელის ზომა კი არ უნდა იყოს მინეული, არამედ დანაშაულის ხასიათი.

საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნა მაგალითები: საავტორო უფლების დარღვევისათვის სანქცია არ ითვალისწინებს ერთ წელზე ზევით თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ თავისი ხასიათით ამ დანაშაულის გამოძიება არ შეიძლება მიეკუთვნოს მოკვლევის ორგანოთა კომპეტენციას, და პირიქით, ხულიანობა, რომლისათვისაც სასჯელის ზომა ერთ წელზე მეტია, მოკვლევის ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

ზოგიერთმა გამოსულმა ამხანაგმა მიზანშეწონილად სცნო მოკვლევის ორგანოებისათვის უფრო მარტივი საპროცესო მოქმედებათა წესის შემოღება. კერძოდ, არ არის აუცილებელი გამოტანილი იქნას დადგენილებები ბრალდების წარდგენაზე, მოკვლევის დამთავრებაზე, მოკვლევის მასალების გაცნობაზე და სხვ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ზ. ფურცხენიძე და ზოგიერთი სხვა ამხანაგი არ დაეთანხმა ამგვარ გამარტივებას და აუცილებლად მიიჩნია მოკვლევის ჩატარებისას ყველა საპროცესო ნორმის ზუსტი დაცვა. ბარა-



ნოვი საჭიროდ სთვლის საპროცესო ნორმების დაცვას ბრალდების წარდგენისა და მოკვლევის მასალების გაცნობის ნაწილში.

სექციის სხდომაზე გამოიტქვა აზრი, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებში ეჭვიტანილის ინსტიტუტის განსაზღვრამ ვერ ნახა თავისი შემდგომი განვითარება და დეტალიზაცია რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტებში.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა კალაშნიკოვამ და სხვებმა გამოოქვეშ მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებანი დაზარალებულისა და სამოქალაქო მოსარჩევის უფლება-მოვალეობათა შესახებ სისხლის სამართლის პროცესში.

აზრბაიჯანის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილის საიდოვასა და ადვოკატ ნაინაშვილის გამოსვლა მიეძღვნა იმ საპროცესო ნორმების დამატებასა და დაზუსტებას, რომლებიც დაცვის უფლებასა და მოვალეობას ითვალისწინებენ.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის ზაიჩიკისა და ზოგიერთი სხვა ამხანაგის შეხედულებით უფრო მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საქმის განხილვა გამწერილებულ სხდომაზე დაიწყოს მოსამართლისა და არა პროკურორის მოხსენებით, როგორც ეს სამივე პროექტშია მოცემული.

პროექტების სისტემათა განხილვისას აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა აღდგრა მიზანშეწონილია გამოიყოს საერთო განყოფილებიდან დამოუკიდებელ განყოფილებად.

აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საკითხმა პროექტში ტერმინ „მხარეების“ დატოვების შესახებ. სტროგოვიჩი სთვლის, რომ „საფუძვლებში“ ტერმინის „პროცესის მონაწილეების“ არსებობა არ იძლევა საფუძ-

ველს „მხარეების“ უარსაყოფად პროექტში ჩელოვნი კი პირიქით, იმ მოტივით, რომ „საფუძვლები“ აღარ ხმარობენ ტერმინს „მხარეები“ ასაბუთებს ამ უკანასკნელის ზედმეტობას.

სამივე რესპუბლიკის კოდექსების პროექტებით სისხლის სამრთლის საქმის წინაშარი გამოიძიების შეჩერების ერთერთ საფუძველს დანაშაულის ჩამდენი პირის დაუდგენლობა წარმოადგენს.

პროფ. სტროგოვიჩის წინადადებით, ასეთ შემთხვევაში კი არ უნდა შეჩერდეს გამოძიება, არამედ დაისვას საკითხი გამოიძიების ვადის გაგრძელებაზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა საშუალებებია ამოწურული, მაგრამ დამნაშავე ვერ დადგინდა, საქმე წარმოებით მოისპონ.

გოლსტი პროექტებით გათვალისწინებული დებულების მომხრედ გამოდის და წინააღმდეგია საქმის მოსპობისა, ვინაიდან საქმის შეჩერებისას მაინც ტარდება აუცილებელი ოპერატიულ-სამქარო ღონისძიებანი, მაშინ როდესაც მოსპობისას საქმე არქივს გადაეცემა.

პროფ. ჩელოვნის და სხვათა მიერ დაუნებული იქნა საკითხი პარტიის ოცდამერთო ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დასაუკუნეებით სახალხო რაზიცად ნებაყოფლობითი სახალხო რაზიცად მებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის მარეგულირებელი ნორმები.

რესპუბლიკებში უმაღლესი სასამართლოს პლენუმის არსებობის პირობებში პრეზიდიუმის დატოვების საკითხის განხილვისას გამოთქმული იყო აზრი, რომ პრეზიდიუმები შენარჩუნებული იქნან საზედამხედველო ინსტანციის სახელმწიფო პლენუმში მიეცეს უფლება განიხილოს საზედამხედველო პროტესტები პრეზიდიუმის დადგენილებებზე.

შრომის სამართლის სექციის სხდო-
მებზე განხილული იყო რსფსრ შრო-
მის კანონთა კოდექსის უკანასკნელი
პროექტი და ნაწილობრივ საქართვე-
ლოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის
წინასწარი პროექტი, რომელიც 1957
წელს იქნა შედგენილი და ჯერ კიდევ
დიდ დამტავრებას მოითხოვს.

სექციის მუშაობაში მონაწილეობდ-
ნენ მეცნიერები, პროკურატურის, სა-
სამართლოს წარმომადგენლები, პროფ-
კავშირის მუშაკები და სხვ. კამათში გა-
მოვიდა 15 კაცი.

გამოსული ამხანაგები შეეხენ შრო-
მის კანონმდებლობის კოდიფიკაციის
ძირითად საკითხებს, შემოიტანეს საინ-
ტერესო წინადადებანი. ერთსულოვანი
იყო სექციის მონაწილეთა აზრი საკავ-
შირო და რესპუბლიკურ კანონმდებ-
ლობას შორის სწორი თანაფარდობის
დამყარების შესახებ.

ზოგიერთი ამხანაგის შეხედულებით
მიზანშეწონილია გაფართოვდეს შრო-
მის კანონთა კოდექსის მოქმედების
სფერო სარეწაო კოოპერაციის ირტე-
ლის წევრებზედაც, მაგრამ უმრავლე-
სობამ ეს აზრი არ გაიზიარა.

გამოსვლებში აღინიშნებოდა, რომ
მუშაკების დათხოვნა აღმინისტრაციის
ინიციატივით ყველა შემთხვევაში უნ-
და შეთანხმდეს საფაბრიკო-საქარხნო
კომიტეტთან, ზოგიერთ ხელმძღვანელ
მუშაკთა დათხოვნის გარდა. მა წესის
დარღვევისას მუშაკს შეუძლია სასამარ-
თლოს მიმართოს და ეს უკანასკნელი,
თუ დადგინდება, რომ მუშაკი დათხოვ-
ნილია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტ-
თან შეუთანხმებლად, საქმის არსები-
თად განხილვის გარეშე აღადგნს მუ-
შაკს.

რაც შეეხება საფაბრიკო-საქარხნო
კომიტეტის წევრებს, ორსულ ქაღლებსა
და დედებს, რომელთაც ძემუშმწოვარა
ბავშვები ყავთ, დათხოვნის საერთო
წესის დაცვასთან ერთად მოეთხოვება

ზემდგომი პროფესიული კავშირის თა-
ნხმობაც.

გამოითქვა აზრი შრომის კანონმდებ-
ლობის საფუძვლებსა და რესპუბლი-
კურ კანონებში აღდგენილი იქნას 49-ე
მუხლის რედაქცია პროფკავშირის მო-
თხოვნით მუშაკის დათხოვნის შესახებ.
აგრეთვე, რომ სეზონურ სამუშაოების
შრომის პირობების რეგლამენტირების
უფლება მიეცეს მოკავშირე რესპუბ-
ლიკებს, იმ საფუძვლით, რომ მუშაო-
ბის სეზონურობა ძირითადად განისაზ-
ღვრება ამა თუ იმ რესპუბლიკის კლი-
მატური პირობებით.

სხვა სექციებისაგან განსხვავებით
გვუფი, რომელიც მუშაობა საოჯახო
და საქორწინო სამართლის საკითხებზე,
მოქლებული იყო საშუალებას გასცნო-
ბოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის კო-
დექსების პროექტებს ქორწინებისა და
საოჯახო სამართლის დარგში.

მა გვუფის მუშაობაში მონაწილეობ-
და 39 მეცნიერი და პრაქტიკული მუ-
შაკი. მათ შორის: იურიდიულ მეცნიე-
რებათა დოქტორი გ. მ. სვერდლოვი,
დოკ. ს. მ. ჯორბენაძე, საქართველოს
სსრ პროკურორის მოაღვილე ს. ვ. ბე-
ლიავსკაია, საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი სასამართლოს წევრები ნ. ი. მან-
ჯალაძე, გ. გ. დევდარიანი, ასევე სა-
ქართველოს კომერციურის ცენტრალუ-
რი კომიტეტის მდივანი მ. დ. მეგლაძე.

გვუფის სხდომაზე მოსმენილი იქნა
ცნობა საქართველოს სსრ საოჯახო, სა-
ქორწინო და სამეცნიერო კანონთა კო-
დექსის შემუშავებელი კომისიისაგან,
აგრეთვე გ. მ. სვერდლოვის მოხსენება
საქორწინო-საოჯახო კანონმდებლო-
ბის კოდიფიკაციის ძირითად საკითხებ-
ზე.

აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა
გამოიწვია საკითხმა სსრკ და მოკავში-
რე რესპუბლიკების კომპეტენციის გან-
საზღვრის შესახებ საოჯახო და საქორ-
წინო სამართლის სფეროში, ვაჭარის



სწორედ ამ დარგში ყველაზე უფრო სრულად აისახება ეროვნული ცხოვრების ყველა მხარე, მოკავშირე რესპუბლიკების სპეციფიკა.

ჯგუფის მუშაობის ყურადღების ცენტრში მოქადა საკითხები, დაკავშირებული განქორწინების წესის სრულყოფასთან და იმ წესის შეცვლასთან, რომელიც დაღვენილია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით.

ჯორბენაძე, მანჯგალაძე, ასიეშვილი და სხვ. მომხრენი არიან განქორწინების სასამართლო წესის დატოვებისა, მაგრამ იმ კორექტივით, რომ ეს წარმოება უშუალოდ სახალხო სასამართლოში ხდებოდეს.

თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის დ. ფოჩიანის აზრით კანონში აუცილებლად უნდა აღინიშნოს განქორწინების ყველა საფუძველი, რათა სასამართლო პრაქტიკაში იდგილი არ ქმნდეს სხვადასხვაობას. მაგრამ უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს შეხედულება და მიემხრო სვერდლოვს, რომელიც ფიქრობს, რომ განქორწინების საფუძველთა გადათვლას შეუძლია უარყოფითი შედეგები მოგვცეს. კანონში

უნდა მოცემული იქნას მხოლოდ განქორწინების საერთო პრინციპი და სასამართლოებს მიეცეთ საშუალება გადაწყვიტონ განქორწინების საკითხი ყველა გარემოებათა გათვალისწინებით.

კვართის საგანი გახდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხიც. უმრავლესობის აზრით უკეთესია აღდგენილი იქნას 1944 წლის 8 ივნისის ბრძანებულების გამოცემამდე არსებული წესი.

ამ თვალსაზრისის არ იზიარებს გ. სვერდლოვი, რომელიც მომავალში ალიმენტის გადახდის სფეროს შემცირების ტენდენციის ასაბუთებს პარტიის ოცდამეერთე ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩინვის მოხსენებაში იღნიშნული საზოგადოებრივი ფონდების პროგრესული ზრდით, რომლის ბაზაზე წლითიშვილით გაიზრდება სახელმწიფოს სრულხარჯზე არსებული საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

ჯგუფის სხდომაზე განხილული იქნა მთელი რიგი სხვა საკითხებისა, რომელთა გარშემოც გამოითქვა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი წინაღილება.

საჯარი და სოციალური ღამის ღონისძიებები

პროფ. ალ. ვაჩიშვილი

სასჯელის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პრობლემა სისტემის სამართლის მეცნიერების დარგში. იური-დიული აზრი მრავალ საუკუნეოთა განმავლობაში მუშაობს სასჯელის ცნებას-თან დაკავშირებულ საკითხებზე და ცდილობს გამოსარყვიოს მისი შინარსი, შეისწავლის მისი ბუნება, საფუძველი, ის მიზნები, რომელსაც იგი მსახავს და ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციების ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.

სასჯელის ინსტიტუტი, სე როგორც დანაშაული, მჭიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანიზაციასთან, წარმომარცვება უკანასკნელთან ერთად, ვითარდება მასთან კავშირში და საერთოდ განიცდის სხვადასხვა ცვლილებებს სახელმწიფო ორგანიზაციის ცხოვრების ცვალებადობის ზეგავლენით.

ამიტომ, ვინც შეისწავლის სასჯელის ინსტიტუტის ისტორიას, მან უნდა მიიღოს მხედველობაში მოცემულ სახელმწიფო არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, მათი ხასიათი, საერთო კულტურის ღონე; მხოლოდ ასეთი შესწავლის საფუძველზე შესაძლო ხდება იმის გაგება, თუ როგორია სასჯელის საფუძვლები და მიზნები.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს თავისებური სამართლებრივი სისტემები ახსიათებს. ყოველ ფორმაციას, ისტორიული პერიოდების

მიხედვით, შემუშავებული აქვს თავისი შეხედულება დანაშაულსა და სასჯელზე, რაც საბოლოო ანგარიშით საწარმოო ძალთა განვითარებით არის განპირობებული.

მაგრამ ამავე ღრას მკვლევარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ზემოაღნიშნულ სხვადასხვა პერიოდების და ფორმაციების განმასხვებელ ნიშნებთან ერთად არსებობს საერთო, ზოგადი ხასიათის ელემენტები, რომლებიც ქვეით ერთიან სურათს. ერთი და იგივე ცნებები, იდეები, ინსტიტუტები განუწყვეტილი ხვდება ისტორიკოსს სამართლის განვითარების ცალკეული საფეხურების შესწავლის პრიცესში. აქედან ცხადია, რომ იურისტ-ისტორიკოსს ეკისრება ორგანიზაციული მოვალეობა: მან უნდა შეძიავლოს და გამოიკვლიოს, ერთის მხრივ, მის მიერ აღებული იურიდიული იმსტიტუტის ისტორიულ ცვალებადობაში შემონახული მუდმივი შინაარსი, ხოლო მეორე მხრივ გაითვალისწინოს ის კონკრეტული, ცვალებადი ფორმები, რომლებშიც ეს იმსტიტუტი ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში გვევლინება.

როდესაც ვეცნობით სასჯელის ცნებას საკანონმდებლო დადგენილების მიხედვით სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებში, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ სასჯელის საერთო შინაარსი და მიზანდასახულობა ერთი და იგივე რჩება. მონათმფლობელური ფორ-



მაციით დაწყებული სასჯელი ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს: გაბატონებული საჭიგადოებრივი კლასის შეიქმნილი სისტემის დაცვას. ესაა სასჯელის ძარითადი სოციალური შინაარსი, მაგრამ ამ სოციალურ შინაარსს აქვს თავისი სამართლებრივი ფორმა. მიუხედავად განსხვავებული თემებებისა, რაც განსხვავებულ კონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში პოლობს თავის ახსნას, სასჯელი, სე როგორც სხვა სამართლებრივი ინსტიტუტები, იქნენ ერთგვარ მუდმივობას. ეს მუდმივობა გამოისახება იმაში, რომ ექსპლოატატორულ სახელმწიფოებში იგი თავისი ბუნებით წარმოადგენს სამაგიეროს მიზღვას იმ დანაშაულისათვის, რომელიც სუბიექტია ჩაიდინა. სამაგიეროს მიზღვის საწყისი ჩვენ გვხვდება ექსპლოატატორული სამართლის განვითარების ყველა საფეხურზე, იგი ახასიათებს ყველა ისტორიული პერიოდის სამართლს, მონათმფლობელური პერიოდით დაწყებული კაპიტალისტური პერიოდის სამართლით გათავებული. მხოლოდ სოციალისტურმა სახელმწიფომ უარყო სამაგიეროს მიზღვის პრინციპი და გარკვევით, კატეგორიული ფორმით აღნიშნა ეს თავის კანონმდებლობაში.

სამაგიეროს მიზღვის პრინციპი ისტორიულად აღიარებულია არა მარტო მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობებში, იგი თავის სახვას და თეორიულ დასაბუთებას პოლობს მთაიღეოლობით.

მაგრამ სასჯელის ბუნება, მისი შინაარსი, რა თქმა უნდა, მარტო და კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობებში, იგი თავის სახვას და თეორიულ დასაბუთებას პოლობს მთაიღეოლობიც: სახელმწიფო არ კმაყოფილი უნდა გვერდით კლასობრივ საჭიგადოებაში მიზნებიც: სახელმწიფო არ კმაყოფილ უნდა მთაიღეოლობით, იგი სასჯელის უსახავს აგრეთვე პრაქტიკულ, საზოგადოებრივად სასარგებლო მიზ-

ნებს, მაშინადამე, იგი ცნობს პრევენციის ამოცანებს.

ისტორიულად ვნახულობთ ეგრეთ წილებულ აბსოლუტურ თეორიებს, რომლებიც სასჯელს ასახუთებენ მეტაფიზიკური პილტულატებით, ზნეობრივი კანონის, მარადიული სამართლიანობის მოთხოვნით და სხვ. ასეთია, მაგალითად, განტის და ჰეგელის სისტემები, მაგრამ ისინი წარმოადგენ გამონაკლისს. ჩვეულებრივად ჩვენ ვხვდებით შემართებელ თეორიებს, რომლებიც სასჯელს ცნებას უკავშირებენ ორივე ზემოთ დასახელებულ საწყისს: სამაგიეროს მიზღვას და პრევენციას.

გასულ საუკუნეში წარმოიშვა ახალი ცნება — „უშიშროების ღონისძიებანი“ (Sichernde Massnahmen). ამ ცნების მოხსრედ გამოდიოდა სოციოლოგიური სკოლა, რომელიც თავის მიზნად ისახვდა სისხლის სამართლის საერთო გადახალისებას. მის აშენებას ჰალ საფუძველზე. სოციოლოგიური სკოლა თავდაპირებელად გამოდიოდა რაღიალური რეფორმების პროგრამით, მაგრამ შემდეგში მან ნაწილობრივად უარი თქვა თავის პირველდელ პროგრამაზე და კომპრომისის გზას დაადგა, რის შედეგად მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შემუშავებული იყო სისხლის სამართლის კოდექსების პროექტები, სადაც სასჯელის გვერდით მოთავსებულია „უშიშროების ღონისძიებანი“. უკანასკნელთა ბუნება, რა თქმა უნდა, სასჯელის არს არ ემოზვევა, მათი საფუძველი და მიზანდასახულობა სხვა.

იმ მიზნით, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სასჯელისა და „უშიშროების ღონისძიებათა“ ურთიერთ დამოკიდებულება, უნდა გავერკვეთ შემდეგ მთავარ საკითხებში:

1. როგორია სასჯელის ბუნება, რა მიზნებს სასხვავდა იგი ძარისტორიულად და რა მიზნებს ემსახურება თანამედროვე სახელმწიფოებში?
2. მეორეს მხრივ, საჭიროა „უშიშ-

როების ღონისძიების“ დამახსიათებელი ნიშნების შესწავლა, გამორკვევა იმისა, თუ როგორ არის გაგებული კრიტიკალისტების მიერ ამ ცნების შინაარსი, რა შეადგენს მის საფუძვლებს და ამოცანებს.

ბურუუაზიულ თეორიებს საერთოდ ახსიათებთ კვლევა-ძიების ფორმალური მეთოდი. ამ მეთოდის გავლენას ვამჩნევთ სხვა საკითხებს დამუშავებაშიც, მაგალითად, დანაშაულის სუბიექტური ელემენტების შესწავლაში, სადაც ამ ძირითადი ცნების განხილვა და ანალიზი ხშირად დებულობს სქოლასტიკურ ხასიათს.¹

ბურუუაზიულ თეორიასა და კანონდებლობაში სასჯელის არსი და ამოცანები გაეცემა სხვადასხვა მნიშვნელობით. ზოგიერთს ეს არსი ესმის როგორც ჩადენილ ქვედობს დაგმობა, მისი გაყიცხვა განსაზღვრული ეთიკური ნორმების (ბარი) თვალსაზრისით, ან სამართლებრივი ნორმების (ცერკევსკი) თვალსაზრისით. სხვები სასჯელის არსს ნახულობენ დამნაშავისათვის ტკივილის. წვალების მიყენებაში, მაგრამ მიუხედავად ამ განსხვავებისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულ და საერთოდ მიღებულ ცნებს სამაგიეროს მიზღვის ცნება წარმოადგენს. სამაგიეროს მიზღვა არის ტრადიციის ძალით დაკვიდრებული საშუალი და მას სხვადასხვა გარიცაციით ვხვდებით თითქმის ყველა თეორიებში, რომლებიც ზემოთ დასახელებულ აბსოლუტურ და შემარტოებულ ჯგუფებს ეკუთვნიან². ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ შეფარდებითი თეორიები, რომლებიც სასჯელს პრაქტი-

კულ, უტილიტარულ მიზნებს უსამარევებენ და ამის შესაბამისად სამაგიეროს მიზღვის საშეისზე უარს ამბობენ. მაგრამ არიან მწერლები, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ კავშირი სამაგიეროს მიზღვასა და ზოგად პრეცენციას შორის, ვინაიდან, მათი აზრით, ამ ორ ცნებს შორის შინაგანი ნათესაობა არსებობს.

ბურუუაზიული თეორიების მიხედვით, მშესალამე, სამაგიეროს მიზღვა ის ძირითადი ცნებაა, რომელიც სასჯელის შინაარსს შეადგენს. რომ გადაცემოთ სასჯელის ისტორიას სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე, შევამჩნევთ, რომ სამაგიეროს მიზღვის საშეისი მართლაც ყველგან ხელმძღვანელ როლს თამაშობს. ამ ფაქტს აღიარებენ სხვადასხვა მიმართულების მკვლევარინი. მაგრამ ამავე ღროს იბადება კითხვა: ნასჯელმა მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს ეს ხსიათი თუ არა? უნდა შეიცვალოს თუ არა სასჯელის შინაარსი, უნდა მიიღოს თუ არა უფრო მიზანშეწონილი, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებთან უფრო შეთანხმებული შინაარსი? სისტემის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა უმრავლესობა, გერმანელი კრიმინალისტის ბირკმეიერის მეთაურობით, ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებდა. ბირკმეიერი მიტკიცებდა, რომ სასჯელი ისტორიულად ყოველთვის სამაგიეროს მიზღვას წარმოადგენდა, მან მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს ეს ხასიათი, ვინაიდან ამის გარეშე სასჯელი წარმოუდგენელია.

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ჩუბინსკი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ წერდა, რომ ამჟამად უკვე გადაჭრით უარყოფილია დამჭირი საქმიანობა, რომელიც არ ემსახურება კაცობრიობის მოთხოვნილებებს; მიმზღველი სამართლიანობა, კატეგორიული იმპერიატივი, საერთოდ სამაგიეროს მიზღვა და ასვ. უკუგდებულია და დად-

1. იხ. ჩვენი შრომა „დანაშაულის სუბიექტური მნიშვნელობა საბორთო სისხლის სამართლიში“.

2. სერგეევსკი და ლევ გამოყოფს „სამართლებრივ თეორიებს“ («Правовые теории»), მაგრამ რომ ვეცნობით ამ უკანასკნელ ჯგუფს, კრწმუნდებით, რომ ისინი ფაქტიურად შემარტოებელს ეკუთვნიან.

გინდა შეხედულება სასჯელზე, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის იარაღზე, რომელიც უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი სარგებლობას ის მაქსიმუმი, რომლის განხორციელება შესაძლოა დამნაშავის პიროვნების ინდივიდუალურ უფლებების განადგურების გარეშე¹.

ჩუბინსკის მსჯელობა უცნაურია იმ მხრივ, რომ მისი აზრით, სამაგიეროს მიზღვის საწყისი თითქოს უკვე მის ხანაში დაძლეული იყო და სისხლის სამართალი აღიარებდა მხოლოდ პრაქტიკული ამოცანების განხორციელების საჭიროებას. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ამ ავტორის სურვილს გამოხატავდა. ბურჟუაზიული კრიმინალისტები თავის შრომებში აქამდე განაგრძობენ ძველად მიღებული ტრადიციული შეხედულების გადმოცემს და სასჯელს განიხილავენ როგორც სამაგიეროს მიზღვის გამოვლინებას. დასავლეთ გერმანიაში ამ შეხედულებას გამოთქვამენ ველცელი, მაურახი, მეცხრი, შენკე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სასჯელი თავისი არსით სამაგიეროს მიზღვაა, რომ იგი სიავეა, რომელიც დამნაშავეს მიეყნება მის მიერ ჩადენილი სამართლის დარღვევისათვის².

როგორც ეხედავთ, სასჯელის ბურჟუაზიულ თეორიას არავითარი წინსვლა არ ემჩნევა, იგი აქამდე ძველი, დრომოკმული ცნებების ტყვეობაში იმყოფება; იგი არაფერს ახალს არ ქმნის, მხოლოდ იმეორებს იმ აზრებს, რაც მრავალი საკუუნის წინად იყო წარმოშობილი და დამკვიდრებული სისხლის სამართლის დარღვევისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს „სოციალური დაცვის ღონის-

ძიებათა“ ცნება. ეს უკანასკნელი თავისი წარმოშობით ეკუთვნის გასული საუკუნის მეორე ნახევარს. იგი წამოყენებული და დამუშავებული იყო ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლებს მიერ. „სოციალური დაცვის ღონისძიებათა“ ცნება არ შეადგენს მარტო განვითარებული, თეორიული კონსტრუქციების კუთვნილებას, იგი აგრეთვე შეთვისებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ. მრავალი ქვეყნის მოქმედი სამართალი ითვალისწინებს სასჯელის გვერდით სოციალური დაცვის ღონისძიებებს.

კაბიტალისტურ სახელმწიფოთა კრიმინალისტები სხვადასხვანაირად წყვეტენ სასჯელისა და სოციალური დაცვის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. კლასიკური სკოლის ზოგიერთ წარმომადგენელს კომპრომისული, შემარიგებელი პოზიცია უკავია: ისინი ცნობენ სოციალური დაცვის ღონისძიების საჭიროებას, მაგრამ მათი შეხედულებით, სასჯელისა და დაცვის ღონისძიებას შორის მაინც არსებოთი განსხვავებაა. სასჯელი გამოხატავს გარკვეულ შეფასებით მომენტს: სასჯელში ასახულია ჩადენილი ქმედობის დაგმობა, გაკიცხვა, იგი სამაგიეროს მიზღვაა და უკავშირდება ბრალის ცნებას, ხოლო დაცვის ღონისძიება გულისხმობს მოქმედი ვირის საშიშროებას და მიმართულა იქითვენ, რომ წინასწარ იქნას აცდენილი ეს საშიშროება. აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის ამ განსხვავებას ნახულობენ მაგალითად, ცნობილი გერმანელი კრიმინალისტი ბირკმეიერი და რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი უიუილენკო. ისინი მკვეთრად ამსხვავებენ სასჯელს და დაცვის ღონისძიებას. მათი ერთმანეთში აღრევა მათ დაუშვებლად მიაჩინათ. მიუხედავად ამისა, ისინი საჭიროდ სცნობენ დაცვის ღონისძიების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსებში, მაგრამ იმ პირობით, რომ

1. М. Чубинский, курс уголовной политики, 1912 г. стр 369.

2. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, 1957, S. 531.

არ იქნას წაშლილი ზღვარი ამ თრ ინსტიტუტს შორის.

ბურუუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს მეორე მიმართულებაც, რომელიც არ უპირობსპირებს ერთმანეთს სასჯელსა და სოციალური დაცვის ღონისძიებებს. პირიქით, ეს ორი ცნება მას მონათესავე ცნებებად მიაჩინა. ორივე ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს — საზოგადოების დაცვას. ამ მიმართულებას კუთვნიან კრიმინალისტები — სოციოლოგები. ამ კონცეფციას თვის შრომებში ანვითარებს და ასაბუთებს ლისტი. მასვე ემსახურება გერმანელი ექსპერტი, რომლის აზრით სასჯელი და დაცვის ღონისძიება ორივე პრევენციას, როგორც საერთოს, ისე სპეციალურს ახორციელებს; განსხვავება იმაზია, რომ სასჯელი ქმედობის და მოქმედი პირის გაყიცხვის უკავშირდება, ხოლო დაცვის ღონისძიება „ეთიკურად უფერულია“. ზოგიერთის შეხედულებით, სასჯელი და დაცვის ღონისძიება თავისი ბუნებით იდენტური ცნებებია. ამ აზრს ანვითარებს გერმანელი კრიმინალისტი დელაქი, რომელმაც წაშალა ყოველი ზღვირი სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის: მისთვის არსებობს შეხვედრობა სასჯელი.

სოციალური დაცვის ღონისძიებათა ცნება დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით. იგი პირველად შემოიღო რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც განსაკუთრებულ კარში (IV კარი) ითვალისწინებდა „სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების გარებსა და სახეებს“. მაშასადამე, სასჯელი მიჩნეული იყო სოციალური დაცვის ერთერთ სახეობად. 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დაწყებული „სოციალური დაცვის ღონისძიება“ გვცვდება საბჭოთა სისხლის სამართლის კულტურულ დაცვებში და „ძირითადი საწყისების“ გამოცემის დაცვის მიზანით დაცვის ღონისძიება შემოიწვევა და მიზანით დაცვის მიზანის მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის წინაშე აცდენა; ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და გ) მსგავრდადებულის გამოწმორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და შეგუება

ღროიდან ტერმინი „სასჯელი“ უნდა ლიად განდევნილი იყო ჩვენი კანონმდებლობიდან და მისი ადგილი „სოციალური დაცვის ღონისძიებამ“ დაკავა. მხოლოდ 1934 წელს საბჭოთა სისხლის სამართლი დაუბრუნდა ძველ ტერმინოლოგიას და ხელახლა შემოიღო ტერმინი „სასჯელი“.

სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა სამართლში შემდეგა სახით გამოიხატება:

სასჯელი ყოველთვის გულისხმობს ბრალს, როგორც თავის აუცილებელ საფუძველს. დაცვის ღონისძიება კი ეფარდება სოციალურად საშიშ პირს ბრალის გარეშე.

სასჯელი ყოველთვის გამოხატავს ქმედობის შეფასებას, მის დაგმობას საბჭოთა სამართლისა და ეთიკის თვალსაზრისით. დაცვის ღონისძიება ეთიკურ შეფასებას არ უკავშირდება, იგი ეფარდება მატომდენ დაცვის მიზნით.

ამჟამად „სოციალური დაცვის ღონისძიება“ მიჩნეულია ისეთ ტერმინად, რომელიც სრულიად არ შეესაბამება საბჭოთა სისხლის სამართლის საფუძვლებს და ამოცანებს; ამგვარად, იგი უარყოფილია, როგორც უცხო სამართლიდან ნაშენები ცნება, რომელიც არ გამოხატავს ჩვენი სამართლის ბუნებასა და მიზნებს.

საბჭოთა სისხლის სამართლმა იმთავითვე უარყო სამაგიეროს მიზნევა და სასჯელის შინაარსი და მიზნები დასაბუთა პრევენციის თვალსაზრისით. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული იყო ძირითადი აზრი, რომ სასჯელის მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის წინაშე აცდენა; ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და გ) მსგავრდადებულის გამოწმორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და შეგუება

მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის¹. ამ დებულებით გამოთქმულია საერთო და სპეციალური პრევენციის მიზანდასახულობა: პირველი პუნქტი ითვალისწინებს საერთო პრევენციას, ხოლო მეორე და მესამე პუნქტები — სპეციალურ პრევენციას.

საბჭოთა სისხლის სამართლი ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით დასჯისა და ობზრდის ამოცანების შეხამების შესახებ; ეს ძირითადი მითითება ასახულია საბჭოთა კანონმდებლობაში.

1958 წლის 22-25 დეკემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესუბულიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის თვალსაზრისით შეიცავს მნიშვნელოვან და საგულისხმო დებულებებს.

ახალი კანონის მე-20 მუხლი ლაპარაკობს სასჯელის მიზნების შესახებ და ადგენს:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი შრომისაღმი პატიონსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე ცილებულ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდადებულის, ისე სხვა პირთა მიერ“.

ამ დადგენილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ონიშნული მუხლის არაზუსტი რედაქციისა, კანონმდებელს სასჯელის მიზნები გაგებული იქნეს პრევენციის მნიშვნელობით.

ამავე დროს ახალი კანონის მეთერთმეტე მუხლი ითვალისწინებს შეურაცხადობას და ადგენს: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკატერინა იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში“... კანონის სიტყვით „სეთი პირის მიმართ სასმართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი“.

მაშასადამე, სისხლის გვერდით „საფუძვლები“ ითვალისწინებენ „სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს“, რომელიც თავისი ბუნებით არსებითად განსხვავდებიან სასჯელისაგან. მათი გამოყენების საფუძველს არ წარმოადგენს ბრალეული ქმედობა, ისინი გამოიყენება იმ მოსაზრებით, რომ შეურაცხად მდგომარეობაში მყოფმა პირმა ჩაიღინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

აქვე უნდა დავასახელოთ ის შემთხვევა, როცა არასრულწლოვანმა ჩაიღინა დანაშაული, „რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს“. თუ სასამართლო დაინახავს, რომ შესაძლოა მისი გამოსწორება „სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად“ მას აქვს უფლება ასეთ პირს შეუფარდოს „აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი“. კანონმდებელი ხაზგასმით დასტენს, რომ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი „სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენს“ (მუხ. 10).

მეგვინად. კანონმდებლობის თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი ღონისძიებანიც თავისი შინაარსით სასჯელისაგან გაშსხვავდებან.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი.

სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხებისათვის

გ. ბანძელაძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

მარქსისტული ეთიკისა და სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი მეცნიერების საგანთა მიმართების დადგენას. ზნეობისა და სამართლის განსხვავება-ერთიანობის ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი და ზნეობრივი ცხოვრების პრაქტიკაშიც.

ცნობილია, რომ ყოველი საზოგადოების გაბატონებული ოფიციალური ზნეობა ერთიანობაშია ამ საზოგადოების სამართლთან. ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში სამართლი გამოხატავს გაბატონებული კლასების ნება-სურვილს და იგი უპირისპირდება არა ამავე კლასების ზნეობრივ შეხედულებებს. არამედ დაჩაგრული კლასების ზნეობას. სოციალისტურ საზოგადოებაში, საღაც აღარ ასებობენ ანტაგონისტური კლასები, სამართლი გამოხატავს მთელი ხალხის ნება-სურვილს და ამ მხრივ კიდევ უფრო მჭიდროა მისი კაშირი და ერთიანობა სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებებთან.

საბჭოთა სამართლისა და კომუნისტური ზნეობის ერთიანობა და კაშირი ეყრდნობა ჩვენს პოლიტიკას, კომუნიზმის მშენებლობის ამოცანას. სათუბლის ერთიანობა განპირობებს ზედნაშენის ამ ორი ელემენტის შინაარსთა პრინციპულ ერთიანობას. როგორც სა-

მართალი, ასევე ზნეობა გამოხატავს მშრომელთა ინტერესებსა და ნება-სურვილს.

მშრომელთა ნება-სურვეილის გამოხატვის ფორმა სამართლასა და ზნეობაში არის ნორმა. არსებობს სამართლებრივი ნორმები და ზნეობრივი ნორმები, რომლებიც ერთი და იგივე საზოგადოების ნების გარკვეულობას გამოთქვავენ. ამ აზრით უსათუოდ სწორი იყო აკად. ა. ი. ვიშინსკი, როცა წერდა, რომ „სოციალისტური სამართლი იმავე პრინციპებს გამოხატავს, რასაც სოციალისტური ზნეობა. აქ არავითარი მიზნა არ არის და არც შეიძლება იყოს“. უდავო, რომ სამართლის ნორმები თავისებურად გამოთქვავენ და აკანონებენ სოციალისტური ზნეობის ნორმებს, საბჭოთა ადამიანთა ზნეობრივ ვალდებულებებს და უფლებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იშლება ყოველგვარი ზღვარი მორალსა და სამართლს შორის.

ბურჟუაზიულ ეთიკურ ლიტერატურაში არის როგორც ზნეობისა და სამართლის ასეთი სრული გაივივების (მაგ. იტალიელი იურისტი დელ ვეკიო დ კათოლიკური მიმართულების სხვა

1. А. Я. Вышинский, XVIII съезд ВКП(б) и задачи науки социалистического права, «Советское государство и право», 1939 г. № 3.



იურისტები), ისე მათი მკვეთრი ურთიერთგათიშვის ცდები (მაგ. ნეკანტიანელები, კელზენი, რადბრუხი, ბლიუმი და სხვები).

მარქსიზმ-ლენინიზმზე დაფუძნებული საბჭოთა სამართალი და ეთიკა აღიარებენ ზენობისა და სამართლის ორგორცერთიანობას, ისე განსხვავებას მათ შორის.

ცნობილია, რომ ადამიანთა შესახებ მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ, როგორ იქცევიან ისინი. პრაქტიკული მოქმედება, საქმე მთავარი და გადამწყვეტია ადამიანის შესახებ მსჯელობისათვის.

მაგრამ ადამიანის პრაქტიკული მოქმედება და საქმე მეტად მრავალმხრივი და რთული ბუნებისაა. ადამიანის შესახებ მსჯელობისათვის საკმარისი არაა ვიცოდეთ მისი პრაქტიკული მოქმედების შედეგი, მისი საქმის ბოლო. ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორია მისი ფსიქიური დამოკიდებულება მის მოქმედებასთან. შეგნებული ჰქონდა თუ არა მას თავისი მოქმედების შესაძლო შედეგები, განზრას ჩაიდინა მან ესათუის მოქმედება, თუ დაუდევრობით ან უნებურად, შემთხვევით. მოქმედების მიზნის და მოტივის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ მოქმედებისათვის სუბიექტის პასუხისმგებლიბის შეფასება.

მოქმედების სუბიექტური მომენტის ძირითადობა იმითაა გამოწვეული, რომ ყოველთვის პირდაპირი და ერთმნავი შენიშვნელოვნი კავშირი არაა მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ მომენტებს შორის, განზრახვასა და შედეგს შორის. ზოგჯერ ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ბოროტ განზრახვას შეიძლება თან ახლდეს კეთილი შედეგი და პირიქით: კეთილ განზრახვას ბოროტი შედეგი. მოქმედების წინასწარ შეგნებულობისა და განზრახვის გარეშე არ ასებობს ზენობრივი მოქმედება. თუ სიკეთე ვინმესათვის აბიექტურად სასარგებლო მოქმედებაა და

მოქმედების შედეგით გაიზომება, ამ სიკეთის ზენობრივი ღირებულების დასაღენად არ კმარა მოქმედების შედეგის გათვალისწინება. უნგბლივ სიკეთე არაა ნამდვილი სიკეთე, ყოველ შემთხვევაში, არაა ზენობრივი ღირებულების მქონე.

იგივე ითქმის ბოროტების მიმართ უნგბლივ ბოროტება არ შეიძლება ჩაითვალოს უზნეობად. მაგალითად, მანქანა რომ ხევში ვარდებოლეს და დედაშვილი მანქანიდან გზაზე გაღმოავდოს მისი გადარჩენის მიზნით, მანქანა კლდეზე ხემ შეაჩეროს, ხოლო გაღმოვდებული ბავშვი მძიმედ დაშავდეს, — ასეთ შემთხვევაში ვერავინ იტყვის, რომ დედამ უზნეობა ჩაიდინა, თუმცა მისი მოქმედების შედეგი სამწუხაროა, „ბოროტებაა“. დედის მოქმედება არა თუ უზნეობა არაა, არამედ, უფრო მეტი, ზენობრივია, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი რაღიკალურად უპირისპირდება განზრახვას. საქმე იმაშია, რომ მან შეგნებულად აირჩია მცირე ბოროტება.

მაშასადამე, საკუთრივ ზენობრივი შეფასება ეხება არა მოქმედების შედეგს, არამედ მოქმედების მოტივს, განზრახვას. ზენობის სფერო ეს არის, უპირველესად ყოვლისა, ადამიანის განზრახვის სფერო.

თუ ადამიანი რაიმე ბოროტ საქმეს განზრახავს, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესძლებს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, მას მაინც ეხება ზენობრივი შეფასება. ასეთი ადამიანი უზნეობა, მან საკუთრივ განზრახვით უკვე ჩაიდინა ზენობრივი დანაშაული¹). პიროვნების ზენობრივი შეფასებისათვის საქმარი-

¹) ვერ კიდევ დემოკრიტემ იცოდა, რომ „პატიოსანი და უპატიოსნო კაცი მეღავნება არა-მარტო მოქმედებაში, არამედ განზრახვებშიც“ და რომ „მტერია არა მარტო ის, ვინც ზიანი მოგაყენათ, არამედ ისიც, ვისაც სურს ზიანი მოგაყენოთ“ (იხ. დემოკრიტეს ფრაგმენტები, 172, 160).

სია გიცოდეთ როგორ განზრახვება თან გვაქვს საქმე, ანუ როგორია მისი სუბი-ექტური ნების გარკვეულობა.

რამდენადმე განსხვავებულია პიროვნების ქცევის სამართლებრივი შეფასების საკითხი. სამართლებრივი შეფასება ეხება პიროვნებას იმ შემთხვევაში, როცა განზრახვა და მოქმედება ემთხვევიან ერთმანეთს, როცა დამიანი სისრულეში მოიყვანს თავის განზრახვას. თუ არა გვაქვს საქმე მოქმედებასთან, შედეგთან, ისე არც ისმის მოქმედების სამართლებრივი შეფასების საკითხი. სამართლის არ შეუძლია გამოიუცხადოს ბრძოლა ბოროტ განზრახვებს და დასაჯოს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მათ გულში ბოროტი განზრახვები აქვთ. არ შეუძლია არსებითად იმიტომ, რომ ვერასოდეს ვერდავადგენთ სრული სიზუსტით ამათუიმ პიროვნების განზრახვებს, თუ იგი რაიმე მოქმედებაში არ იქნა გამოვლენილი. ხოლო გამოვლენილი განზრახვა არა მარტო ზნეობრივი, არამედ სამართლებრივი შეფასების საგანი ხდება.

სასამართლო კანონშიდებლობის საფუძველზე სჯის ადამიანის ისეთ მოქმედებებს, რომელთაც ზიანი მოაქვთ სხვა ადამიანისა და საზოგადოებისათვის. მაგრამ იგი მკვეთრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან წინასწარგანზრახულ, შეგრძებულ დანაშაულს და უყურადღებობითა და გაუფრთხილებლობით გამოწვეულ დანაშაულს, სამართლი არ სჯის წმინდა შემთხვევით გამოწვეულ ბოროტებს, სადაც არა გვაქვს საქმე სუბიექტის მხრივ არც ბოროტ განზრახვასთან და არც უყურადღებობასთან.

სამართლი სჯის განზრახულ მოქმედებას, მაგრამ არ სჯის განზრახვას მოქმედების გარეშე. ცნობილია, რომ სამართლი სჯის დანაშაულის ცდას, მცდელობას, მაგრამ მცდელობა უკვე მეტია განზრახვაზე, იგი უფრო ახლოსაა მოქმედებასთან, ვიღრე განზრახვასთან.

ზნეობრივი შეფასება ეხება ყოველი-

ვე იმას, რასაც ეხება სამართლებრივი შეფასება და გარდა ამისა იგი ეხება მხოლოდ განზრახვასაც მოქმედების გარეშე. ზნეობის სფერო ეს არის, უწინარეს ყოვლისა, სუბიექტური განზრახვის, მოვალეობის შინაგანი თვითშეგნების ანუ სინდისის სფერო.

ეთივის მეცნიერების საგანი არსებითად ადამიანის სინდისი და მისი კანონზომიერებაა. სამართლის საგანი ადამიანის მოქმედება და მისი უფლებრივი გარკვეულობაა. სამართლი განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლებისა და მოქმედების ფარგლებს და ადგენს სანქციას, სასჯელს ამ ფარგლების დარღვევისათვის. ეთივა განსაზღვრავს ადამიანის შეგნებული ნებისმიერი მოქმედების ღირებულებას და ადგენს სიკეთისა და ბოროტების, ზნეობისა და უზნების ფარგლებს.

მხოლოდ გარეგნული, ობიექტური მომენტის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ. ვერასოდეს ვერ მივხვდებით სამართლის სფეროსთან გვაქვს საქმე თუ ზნეობის სფეროსთან. შეიძლება ადამიანი სამართლიანად იქცეოდეს, მაგრამ იგი ზნეობრივი მაინც არ იყოს. საქმე იმაშია, რომ შეიძლება ადამიანის სამართლიან მოქმედებას განსაზღვრავდეს არა შინაგანი მისწრაფება, მიღრეკილება სამართლიანობისადმი, არამედ შიში სახელმწიფო იტულებისა და სასჯელის წინაშე. მაშასადამე, მოქმედების მოტივის გაგების გარეშე შეუძლებელია ამ მოქმედების ზნეობრივი ღირებულების დადგენა.

მოტივის ცოდნას სამართლის თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულისა და მისი თვესობრივი გარკვეულობის დასაღვენად. ცნობილია, რომ საბჭოთა სამართლი იბიექტური შერაცხვის პრინციპს არ იცნობს, დანაშაულის შემადგენლობაში მთავარი ყურადღება ექცევა სუბიექტურ მხარეს, იმ შინაგან სულიერ მდგომარეობას, რომელმაც განაპირობა დანაშაული. საბჭოთა სამართლის მიხედვით პა-

ສູງເກີດມະນຸຍາດລົບອຳນວຍ ມີມີ້ນ ຂັງເປົ້າ
ອະດຸກໂລກ, ຮົນແຮງສາງ ກວາງຂະໜາດ ອ່ານ ມາກົດ
ລູການໝາງໆລືບ ອະດີເຈັ້ງຕຸ້ນ່າງ ໄອເຈັ້ງຕິ, ອ່ານ-
ມີແດ ຮົນແຮງສາງ ວິໄປຕ ສູງທີ່ມີຕົກ ປົນ-
ບີເງົາ ມີມາກົດຕົກ ອະດີເຈັ້ງຕຸ້ນ່າງ ຫຼັ-
ດແກງສາດົມ, ຮົນຕູກ ວິໄປຕ ພົກເມື່ອດີ
ມີຕົກ ດັກ ມີຫຼານ.

დანაშაულის შეგნებული განხორციელება და მის მიმართ შინაგანი განწყობილება ბრალის ცნებითაა ცნობილი. „ბრალის“ ცნება ორ უნდა გავაიგივეოთ „მიზეზის“ ცნებასთან. დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოიხსენება არა მარტო იმის ცოდნის, თუ ვისი მიზეზითაა ჩაღენილი დანაშაული, არამედ ვინ ჩაიდინა დანაშაული („ვისი ბრალია“), და რა დანაშაული ჩაიდინა („რას ვაბრალებთ“).

როგორც ეხედავთ პასუხისმგებლობის შედგენილობის მომენტებით ზეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისები არ განსხვავდებაან ერთმანეთისაგან. ორივესათვის აუცილებელია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მომენტები და ორივესათვის მთავარი და გადამწყვეტია სუბიექტური მომენტი.

მაგრამ ზეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ობიექტური მომენტის შეფასების ხარისხთ. სამართალი უფრო მეტად იღებს მხედველობაში ობიექტური ფაქტორის მასშტაბს და გარკვეულობას, ვიდრე ზეობა. საქმიანისა მიუთითოთ იმაზე, რომ როგორც განზრაპის, ისე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში სასჯელის შეფარდება ხდება იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბისა და მიზნების ზიანთან გვაქვს საქმე. ზეობრივი შეფასება კი ცალკეული თვისისობრივი ღირებულების შეგნით ასეთ შემდგომ დიფერენციაციის არ იცნობს. ნათელად: ნემსის ქურდი და აქლების ქურდი — ორივე ქურდიაო. ზეობრივი გაკიცხვა ორივეს ერთნაირად ეხება.

გავიცხვის სუბიექტური ინტენსიო-

ბის სხვადასხვაობა გაკიცხვის ფონზე
რიც დიფერენციალს არ ნიშნავს. სა-
მართალი კი ცხადია, ერთნაირად არ
დასჯის ნემსის ქურდს და აქლემის
ქურდს. ამ აზრით აქცევს სამართალი
უფრო მეტ ყურადღებას ობიექტურ
მომენტს, ვიდრე ზნება.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამართალ-
ში სუბიექტური მომენტი კარგავდეს
გადამწყვეტ მნიშვნელობას. ობიექტუ-
რი მომენტით იფარებოდა სამართა-
ლი კაცობრიობის განვითარების აღრე-
ულ საფეხურებზე, როცა განზრახვას,
გაუფრთხილებლობას და შემთხვევით
დანაშაულს არ განასხვავებდნენ ერთმა-
ნეთისაგან. შემდეგში ისახება განზრა-
ხვის ცნების პირველი ნიშნები, რაც
ნაწილობრივ გათვალისწინებულია ისეთ
უძველეს სამართლებრივ კოდექსებშიც
კი, როგორიცაა პამურაბის, მანუს, მო-
სეს კანონები. ძველი საბერძნეთის სა-
მართალი, თორმეტი ტაბულის კანონე-
ბი და სხვა. საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ისტორიულმა განვითარებამ განსა-
ზღვრა სამართლის პროგრესი იმ მხრივ,
რომ სუბიექტური მომენტი წამოსწიო
წინა პლანზე და ობიექტური მომენტის
მნიშვნელობა შეზღუდა.¹⁾ მაგრამ მიუ-
ხვდავად ამ შეზღუდვისა, სამართალში
მას მაინც უფრო მეტი ყურადღება ექ-
ვია, ითრუ ზნებობაში.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ ზნეობის სფერო აღამიანის წმინდა სუბიექტური მოღვაწეობის სფეროა და მას არავითარი ობიექტური საზომი არ გააჩნია? რა თქმა უნდა, არა. ცკვე ზე-მოთ ითქვა, რომ პრაქტიკულად, რო-გორც წესი, აღამიანის მოქმედება, მისი

۱). თანამედროვე ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც არ შეწყვეტილა კაბა-თი დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მო-მენტთა მნიშვნელობისა და ურთიერთმიმართების შესახებ. ამ საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისით დალაგებასა და კრიტიკულ შეფასებას იძლევა პროფ. ალ. ვაჩინიშვილი წიგნში „დანაშაულის სუბიექტური მნიშვნელობის საბჭოთა სისტემის სამართა-ლში“, 1957 წ.



საქმე აკლენს მის განზრახვას. ამიტომაა, რომ ადამიანზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას ფრქრობს იგი თავისთავზე, არამედ მისი საქმეების მიხედვით. ე. ი. ადამიანის შინაგანი სუბიექტური სამყაროს შესწავლის ერთადერთი საშუალებაა მისი პრატიკული მოქმედება. ადამიანის სინდისის სფერო არ არის ისე შეუვალი და კარჩავეტილი ციხე-სიმაგრე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს. გვაჩვენეთ ადამიანის საქმეები, მისი სისტემატური და მეთოდური მოქმედების სურათი და მიგხვდებით მისი სინდისის შინაგან მდგომარეობას.

განზრახვასა და მოქმედებას შორის ასეთი მჭიდრო კავშირი რომ არ იყოს, არა თუ ზნეობა, სამართალიც არ იარსებდა, რამდენადაც ეკრანოდეს ვერ მიგხვდებოდით შემთხვევით დანაშაულთან გვაქვს საქმე თუ ბორიტ განზრახვასთან. თუ სამართალი ანსხვავებს ფიზიკურ შემთხვევითობას უყურადღებობისაგან და ორივეს კი ბორიტი ნებისაგან, ეს იმის წყალობით, რომ მეტად სანდო და ფართო ხილია ადამიანის შინაგან სუბიექტურ სამყაროსა და მის გარევან ობიექტურ საქმიანობას შორის, ადამიანის სინდისა და მის საქმეებს შორის.

რა გამომდინარეობს ყოველივე აქედან?

1. ზნეობისა და სამართლის განსხვავება არ შეიძლება დაფუძნოს სუბიექტური და ობიექტური მომენტების განსხვავებას.

2. ზნეობის სფერო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ წმინდა სუბიექტური განზრახვების ანუ სინდისის სფეროთი.

ზნეობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს აგრეთვე განზრახვის ობიექტივაციის ანუ განზორუელების საშუალებათა სფერო, ესაა სათნოებათა სფერო, ანუ სულის ისეთი თვისებები, რომელთა საშუალების ადამიანი გამოავ-


ლენს თავის განზრახვებს. ზნეობა გულისხმობს არა მარტო კეთილ ნებას, სინდისს, არამედ ამ კეთილი ნების გამოვლენის ფორმებს და საშუალებებს. ე. ი. ეთივის ამოცანაა არა მარტო ის, რომ გვასწავლოს რა არის სინდისი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გამოვავლინოთ სინდისი, როგორ უნდა მოვქმედოთ სინდისიერად.

სათნოებათა შესახებ მოძლვრებას უფრო მეტი სინათლე შეაქვს ადამიანის მოქმედების ზნეობრივი და სამართლებრივი კრიტერიუმების სხვაობაში. ყოველი ეთივური სათნოება იძლევა გარკვეულ ზნეობრივ ნორმას, ქცევისა და პრაქტიკული მოქმედების წესს, რომლის დაცვა-არადაცვა მოწმდება არა მარტო მოქმედი სუბიექტის შინაგანი თვითშეგნებით, სინდისით, არამედ გარეშე დამკვირვებელითაც. სამართალიც იძლევა მოქმედების აუკინებელობის და ამ ნორმათა თვისებრივი სხვაობა იძლევა სხვაობას ზნეობასა და სამართლის შორის.

ემოციონალისტური ეთივის ერთერთი ტიპიური წარმომადგენელი პროც. პეტრაუიცი სოვლიდა, რომ ეთივური და სამართლებრივი მოვლენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სუბიექტური განცდების, ემოციების ხასიათის მიხედვით¹⁾. ამ თვალსაზრისს ახლაც აქვა გასავალი თანამედროვე ბურკაზიული იურიდიულ და ეთივურ ლიტერატურაში. ასეთ თვალსაზრისს მარქსიზმი ვერ გაიზიარებს.

მართალია, შეიძლება ობიექტურად განსხვავებული იყოს ზნეობრივი მოვალეობის შესრულებით გამოწვეული ემიციები იურიდიული მოვალეობის შესრულებით გამოწვეული ემოციებისაგან, მაგრამ ამ სხვაობას სუბიექტურად ყველა აღამინი თვეისებურად განიცდის და შეუძლებელია აქ კრიტერიუმის დადგენა.

¹⁾ ი. ი. ლ. ი. Петражицкий 『Теория права』 1910 გ. თ. I.



მეორეს მხრივ, როცა ადამიანი თავის იურიდიულ მოვალეობას ასრულებს არა სახელმწიფო იძულების შინაგანი, არამედ თავისი შინაგანი ზნეობრივი შევნებით და საზოგადოებისადმი პატივისცემით, მაშინ ემოციებში სხვაობას არა აქვს ადგილი, ანუ „ზნეობრივი“ ემოციები წარმოიშობა მაშინ, როცა ქცევა „სამართლებრივია“; ე. ი. თვით ემოციები კი არ განსაზღვრავენ ზნეობრივ და სამართლებრივ მოვალეობათა არსებას, არამედ წარმოადგენენ ობიექტურად მოცემულ ზნეობრივ და სამართლებრივ მოვალეობებზე ჩვენი ფსიქიკის სხვადასხვაგვარ რეაგირებას. მაშინადამე, ემოციათა ხასიათის ნიშნით ვერ დადგინდება სხვაობა ზნეობასა და სამართალს შორის.

არსებით განსხვავებას ვერ ხედავდა ზნეობასა და სამართალს შორის ჰეგელი. მისი აზრით, ზნეობა და სამართალი ორივე წარმოადგენს საერთო და კერძო ნებისყოფის იგივეობას. თანხმობა საერთო და კერძო ნებისყოფა შორის ზნეობრივობისა და სამართლიანობის პირობაა, ხოლო დაპირისპირება მით შორის უზნეობისა და უსამართლობის წყაროა. სამართალი, ჰეგელის აზრით, მხოლოდ იმით განსხვავდება ზნეობისაგან, რომ იგი ობიექტური ყოფიერების ფორმით მოცემული ზნეობაა.¹⁾; ჰეგელის იდეალისტური სისტემის ნაძალადევმა კონსტრუქციამ თავისი დაღი დააჩნია მის სამართლებრივ შეხედულებებსაც. სამართლის შეცნიერებაში ჰეგელის იდეალისტური კონცეპციას ანვითარებდა მისი მოწაფე კრიმინალისტი კესტლინი.

თავისებური იყო სამართლის კლასიკური სკოლის ფუძემდებლის ანსელმ ფოიერბახის შეხედულება ამ საკითხზე. იგი მკვეთრად ყოფდა ამ ორ სფეროს ერთმანეთისაგან დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის პრინციპებით. მისი აზრით, ზნეობის დარგში ბატონობს თა-

ვისუფლება, ესაა ინდეტერმინიზმის სფერო, ხოლო სამართლის დარგში ბატონობს აუცილებლობა — ესაა დეტერმინიზმის სფერო.

ცხადია, ზნეობისა და სამართლის ასეთი პრინციპით განსხვავება სრულია ანტიმეცნიერულია, თუ ამ ცნებების — „თავისუფლებისა“ და „აუცილებლობის“ ქვეშ მაქსიმუმისა და მინიმუმის მომენტებს არ ვგულისხმობთ. აუცილებლობის სფეროდ შეიძლება გავიგოონ სამართალი იმ აზრით, რომ იგი სახელმწიფოებრივი ნებისყოფის მინიმალურ მოთხოვნათა ერთობლიობაა, რომელსაც ინდივიდუალური ნებისყოფა უნდა დაექვემდებაროს. ხოლო თავისუფლების სფეროდ შეიძლება მივიჩნიოთ ზნეობა იმ აზრით, რომ იგი საზოგადოებრივი ნებისყოფის მაქსიმალურ მოთხოვნათა ერთობლიობაა, რომელსაც ინდივიდუალური ნებისყოფა ემორჩილება არა როგორც გარეშე ძალას, არამედ როგორც თავის შინაგან მოთხოვნილებას. თავისუფლება აქ მოქმედების თვითგანსაზღვრებაა.

სწორად არ მსჯელობს ამ საკითხზე მ. პ. კარევა. 1957 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში «Право и правственность в социалистическом обществе». იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ ზნეობისაგან განსხვავდით სამართალი არ დაიყვანება ცნობიერების ფორმაზე. შეიძლება კარევას იმის თქმა უნდა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა არა სამართალი, არამედ სამართლებრივი შეხედულებები. მაგრამ ეს ითქმის ასევე მორალის, პოლიტიკის და სხვა ფორმების შესხებ. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა არა მორალი საერთოდ, რაც სხვადასხვა ელემენტებისაგან შესდგება, არამედ მორალური შეგნება, ზნეობრივი შეხედულებანი. ასე რომ, ამ მხრივ ვერ განვისხვავებთ სამართალს მორალისაგან.

შემდეგ, კარევა ლაპარაკობს სხვაობაზე სამართლებრივ ნორმებსა და



მართლშეგნებას შორის; იგი სწორად მიუკითხებს, რომ სამართლებრივი ნორმები ასახავენ მართლშეგნებას, მაგრამ არ ემთხვევიან მას. მაგრამ იგივე მდგომარეობაა ზნეობრივი შეგნებისა და ზნეობრივი ნორმების ურთიერთობის შერივაც. ეთივაში განასხვავებენ ზოგად ზნეობრივ პრინციპებს და კონკრეტულ ზნეობრივ ნორმებს. ეს უკანასკნელი ასახავენ ზნეობრივ შეგნებას, მაგრამ არ ემთხვევიან მას.

ბოლოს ზნეობის სპეციფიკის კარევა იმაში ხდებს, რომ სიკეთის ცნება თავისთავში შეიცავს სიკეთის ქმედების მოთხოვნას. არც მეტად და არც ნაკლებად, ვიდრე სამართლიანობის ცნება მოითხოვს სამართლიანად მოქცევის მოთხოვნას და დანაშაულის ცნება მოითხოვს მის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნას. ზნეობრივ შეხედულებებს თავისთავად ნორმატიული ხასიათი აქვსო. კარევა, როგორც სჩანს, ლაპარაკობს სამართლის კოდექსის და ეთივის სახელმძღვანელოს სტილის სხვადასხვაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იფიქრებდა, რომ სამართლებრივ შეხედულებებს არა აქვთ ნორმატიული ხასიათი. სამართლებრივი და ეთივური მსჯელობა ღირებულებას გამოიქვამს საერთოდ, სულერთია ექნება ამ მსჯელობას ნორმის ფორმა თუ არა.

მაშასადამე, არცერთი აქ ჩამოთვლილი ნიშნით სამართალი არ განსხვავდება ზნეობისაგან. ასეთ განმასხვავებელ ნიშნად ჩეხება სამართლისა და ზნეობის დადგინდებისა და გამოხატვის ფორმები და უზრუნველყოფის საშუალებები. სამართალი, სამართლის ნორმები გამოხატულებას პოულობრივ საზოგადოებრივ აზრს როგორც წარმოშობაში ისე განხორციელებაში. სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების ამ სხვაობებს იწვევს

მათი შინაარსობრივი სხვაობა, რაც მოთხოვნათა სხვადასხვა ინტენსიონაში მდგომარეობს. ეს შინაარსობრივი მიმართება გარეგნულად ისეთია, როგორც მიმართება მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის; ამ აზრით ამბობენ, რომ სამართალი არის ზნეობის მინიმუმი, ხოლო ზნეობა სამართლის მაქსიმუმი. ასეთი თვალსაზრისი გამორიცხავს არსებით განსხვავებას ზნეობასა და სამართალი შორის. მინიმალური ანუ სამართლებრივი მოთხოვნაა ის, რომ არავის ზიანი არ უნდა მიაყენო. მაქსიმალური ანუ ზნეობრივი მოთხოვნაა ის, რომ შეძლების-დაგვარად ყველას უნდა დაეხმარო და სიკეთე ჩაიღინო. ხიდზე მიმავალ კაცს რომ ხელი უბიძგო და წყალში გადააგდო, ამის გამო სახელმწიფო დაგსჯის, მაგრამ წყალში რომ კაცი იხრჩობოდეს, შეგეძლოს და არ უშველო—არავინ არ დაგსჯის, საკუთარი სინდისის გარდა.

ზნეობის სფერო საკუთრივ სინდისის სფეროა, მაგრამ იგი ვლინდება გარეგნულ ობიექტურ მოქმედებაში. სამართლის სფერო საკუთრივ გარეგნული ობიექტურ მოქმედებათა სფეროა, მაგრამ იგი გასაგები ხდება შინაგან სუბიექტურ მდგომარეობასთან ურთიერთობასა და ერთიანობაში.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ მიუხედავად საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური ზნეობრივი ნორმების ერთიანობისა ისინი წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის ნების გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს. ზნეობისა და სამართლის ურთიერთობან-სხვავების ამ მომენტს რატომღაც ყურადღებას არ აქცევს პროფ. ა. შიშკინი. მისი აზრით, ზნეობისა და სამართლის მოქმედების სფეროები არ ემთხვევიან ერთმანეთს მხოლოდ მოცულობითი ასპექტით და არა შინაარსობრივად. შიშკინი, როგორც სჩანს, ვერ გრძნობს, რომ მიყენების სფეროთა მოცულობითი სხვაობა შინაარსობრივი ელემენტით (კერძოდ, მოთხოვნათა მინი-



მუმ-მაქსიმუმის სხვაობით) არის გამოწვეული. მაშასადამე, იგი ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმათა სხვაობის ფაქტს ადასტურებს, მაგრამ ვერ ხსნის ამ სხვაობის მიზეზებს¹.

სამართალი ხალხთა სახელმწიფოებრივი ნების გამოხატულებაა, ხოლო ზნეობა საზოგადოებრივი აზრის გამოხატულება. მართალია, ბევრი ჩვენი სამართლებრივი ნორმა გამოხატავს ამავე დროს საზოგადოებრივ აზრს და ზნეობრივი ნორმა, თავის მხრივ, სახელმწიფოებრივ ნებას ემთხვევა, მაგრამ ეს ისესნება არა ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების იდენტურობით, არამედ ჩვენს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სისტემებს შორის სრული შესაბამისობით.

ზნეობის ესა თუ ის ნორმა წარმოიშობა საზოგადოების მოწინავე ნაწილში და მხოლოდ თანდათანობით ხდება იგი ყველასათვის მისაღები და სავალდებულო. სამართლის ნორმა კი სავალდებულო ხდება სახელმწიფოს მიერ დაკანონების მომენტიდან. ზნეობრივი ნორმა ეყრდნობა ერთგვარ გარეეგან იძულებას, მაგრამ არა სახელმწიფო ძალაუფლების მხრივ, არამედ საზოგადოებრივი აზრის მხრივ. თანაც „იძულება“ სანქციის სახით კი არ ახლავს ნორმას, როგორც ეს არის სამართალში, არამედ იგულისხმება როგორც შესაძლო შედეგი.

ზნეობრივი ნორმა მიუხედავად მისი მოთხოვნის კონკრეტულობისა და სინათლისა, მაინც უფრო ქცევის ზოგად პრინციპს წარმოადგენს, ვიდრე ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ქცევის დეტალურად განსაზღვრულ წესს. დეტალიზება ხდება სოციალისტური თანაცხოვრების წესებში, სოციალისტურ ადათებსა და ჩვევებში. სამართლის ნორმისათვის კი დამახასიათებელია

მოთხოვნათა და აკრძალვათა შედარებით დიდი კონკრეტიზაცია.

სამართალი იზღუდას თავისი ჩარევის სფეროს ასეთი ჩარევის მიზანშეწონილობით და მისი ეფექტურობის მოსაზრებებით. ასე, მაგალითად, სამართალი ადგენს არა ზოგად წესს „არ იცრუო“ (რადგან სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებებით სიცრუის ყოველ სახესთან ბრძოლა შეუძლებელია), არამედ მეტად ზუსტად ყავალიბებს იმ წესებს, რომლებიც მიმართულია ამ მანკიურების ზოგიერთი გამოვლენის წინააღმდეგ: ასეთია მაგალითად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლი. ამასვე მიეკუთვნება მუხლები სიმულაციაზე, როგორც სიცრუის განსაკუთრებულ სახეზე, სიყალბეზე და ა. შ.

მტრიგად, ზოგადად ზნეობრივ ნორმას „არ იცრუო“ შეესატყვისება რიგი სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც ეხებიან სიცრუის მეტად მცირე შემთხვევებს. ზნეობის თვალსაზრისით კი სიცრუე მაინც გაკიცებას იმსახურებს. მაგრამ ჩვენი ზნეობა ყოველგვარ სიცრუეს უზნეობად როდი სთვლის, როგორც ამას კანტის ეთიკური თეორიის მოითხოვდა. პირიქით, არის შემთხვევები, როცა სწორედ სიმართლის თქმა უზნეობაა, ხოლო სიცრუე კი — ზნეობრიობა. მაგალითად, ივამდეკოფისათვის ზუსტი დიაგნოზის დაფარვა, როცა გამხელა გააუსარესებდა მის ჯანმრთელობას, სამხედრო საიდუმლოების დაფარვა მტრების წინაშე და ა. შ.

ასეთი ხასიათის სხვაობა სამართალსა და ზნეობას შორის აშენარა ხდება, როგორც კი განვიხილავთ და ერთმანეთს დაუბირისპირებთ დანაშაულსა და უზნეო საქციელს, მორალური და იურიდიული ბრალის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

ასეთი ანალიზისა და დაპირისპირების შედეგად ცხადი ხდება, რომ, ერთის მხრივ, საქმე გვაქვს სახელმწიფოს ნე-

¹. А. Шишани, «Основы коммунистической морали» 1955 г.



ბასთან, მისაღმი დამორჩილება — არ დამორჩილებასთან, მეორე მხრივ კი საზოგადოებრივ აზრთან, აღიარებულ ჩვეულებთან და ტრადიციებთან, მისაღმი პატივისცემა ან უპატივისცემლობასთან. ამასთან, ახეთი შედარება და ანალიზი ნათელს ხდის, რომ მათ შორის არ არის პრინციპული სხვაობა. რომ სამართალი და სამართლებრივი ნორმები შეიცავენ მოთხოვნათა მინიმუმებს, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობისათვის. ხოლო ზნეობა და

ზნეობრივი ნორმები შეიცავენ მოთხოვნათა მაქსიმუმებს, რაც საჭირო და სასურველია საზოგადოებრივი ცხოვრების გონივრული განვითარებისა და პროგრესისათვის. საბჭოთა სამართალი ხელს უწყობს კომუნისტური ზნეობის განვითარების საქმეს, ხოლო ეს უკანასკნელი თანდათან მოხსნის სამართალს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ზნეობრივი შეგნება მთლიანად შესცვლის სამართლებრივ იძულებას.

მოსკოვის კონცერტის მნიშვნელოვანი სამართლის მომავალ კოდექსი

დოც. ს. ჯორგენაძე

სსრ კავშირის კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული მოქალაქეთა პირადი საკუთრება იძულების წესით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოისპოს.

ნივთზე, ქონებაზე პირადი საკუთრების უფლების ნებაყოფლობითი მოსპობა მესაკუთრის უფლებამოსილების აუკილებელი ელემენტია და, მაშასადმე, ჩვენს კანონმდებლობაში საკუთრების უფლების შინაარსთან ერთად არის მოწესრიგებული. საკუთრების ამგვარი მოსპობა ნორმალური მოვლენაა, მაშინ როცა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა მხოლოდ საგანგებო შემთხვევებისათვის ითვალისწინებს პირადი საკუთრების უფლების იძულებით მოსპობას, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საკუთრების გაჩენასთან.

წინამდებარე სტატიაში ჩვენი განხილვის საგანს არ შეაღენს პირადი საკუთრების იძულებითი შეწყვეტის საუქცელების კლასიფიკაცია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არ იქნებოდა სწორი პირადი საკუთრების იძულებითი მოსპობის განსხვავებული საუქცელები კონფისკაციისა და რეკვიზიციის უბრალო ვარიაციებად წარმოგვედგინა. სტატიაში ჩვენ ვეხებით მოუვლელი ქონების ცნებას, სადაც განმსაზღვრული მნიშვნელობისაა საკუთრების ობიექტი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოუვლელი ქონების ცნება ესაზღვრება უპატრონო

ქონების ცნებას, რომელიც ხშირად მიტოვებული, მოკითხავი ქონების სახით წარმოგვიდგება.

მოუვლელი ქონების ცნების ჩამოყალიბება უმჭიდროესად არის დაკავშირებული პირადი მესაკუთრის უფლებამოსილების ფარგლების საკითხთან: აქვს თუ არა მესაკუთრეს უფლება არ გამოიყენოს რომელიმე ნივთი, დაალპოს იგი, გააფუჭოს, დაამტკრიოს და სხვა მოქალაქისათვის, ან და მოლიანად საზოგადოებისათვის გამოუყენებელი გახადოს? რა თქმა უნდა, განზრახ ასეთი ნეგატიური მოქმედება არაპუნებრივად მოვალეობენ და ცხოვრებაში იგი თითქმის არც გეხედება, მაგრამ აშეარა გადაქარბება იქნებოდა პირის ამგვარ ქცევაში ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედობა დაგვენახა და წაგვერთმია მესაკუთრისათვის უფლება თავის შეხედულებისამებრ მოექცეს პირადი საკუთრების ობიექტს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პრატიკაში შემთხვევებია, როცა პირადი საკუთრების განსაზღვრული ობიექტით დიდადა დაინტერესებული საზოგადოება, სახელმწიფო ამ დროს იგი არ შეიძლება გულგრილი დარჩეს მესაკუთრის იმ ქცევისაღმი, რომელიც განსაზღვრულ ლეგალურ საფუძვლებს ემყარება, მაგრამ რომელსაც საზოგადოებისათვის უარყოფითი შედეგი მოაქვს.

ჩვენმა სამართალმა არ იცის მოუვ-

ლელი ქონების ისეთი ზოგადი ცნება, რომლისთვისაც სულერთი იქნებოდა პირადი საკუთრების უფლების ობიექტები. მართლაც, ყოველგვარ აბიუქტზე მოუვლელობის ცნების გამოყენება დიდად მოუხერხებელს გახდიდა პირადი მესაკუთრის მხრივ განკარგულების უფლების რეალიზაციას. ამას გარდა თვითონ საზოგადოება, სახელმწიფო არ შეიძლება ყოველი მოუვლელი ნივთის ბედით იყოს დაინტერესებული.

როგორც ცნობილია, პირადი საკუთრების უფლების ობიექტებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იყავებს საცხოვრებელი სახლი. სახელმწიფოსათვისც არ არის სულერთი, როგორ უცლის მოქალაქე პირადი საკუთრების ამ მნიშვნელოვან აბიუქტს. სწორედ ქალაქ ადგილას საცხოვრებელი სახლის მოუვლელობასთან დაკავშირებით შემუშავდა მოუვლელი ქონების ცნება.

მარავალი საკითხი ჭარმოიშობა მოუვლელობის თაობაზე საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

ჯერ ერთი, რა უნდა გვესმოდეს საცხოვრებელი სახლის მოუვლელობის ქვეშ?

პირადი მესაკუთრე არ ასრულებს ქალაქის საბჭოს მითითებას სახლის იმგვარად გადაკეთების შესახებ, რომ არ დაირღვეს ქუჩის არქიტექტურული ანსამბლი. ესეც ერთეული სახეა იმ შემთხვევისა, როცა მესაკუთრე სათანა-დოდ ვერ უვლის თავის სახლს. ეს გარემოება, ისე როგორც რემონტის ხანგრძლივად ჩაუტარებლობა, თავისთავად ვერ გახდება ბინის ჩამორთმევის მიზეზი. საცხოვრებელი სახლის ყოველგვარი მოუვლელობა როდი შეიძლება გახდეს მისი ჩამორთმევის საფუძველი.

კანონით გათვალისწინებული შედეგები დადგება მხოლოდ მშინ, როცა საცხოვრებელი სახლი სამორთმევის საფუძველი.

მდგომარეობაშია, როცა იგი დანგრევის აშკარა საფრთხის წინაშეა და ამით საფრთხე ექმნება გარშემო მცხოვრებთ, გამგლელებსაც და თვით ამ სახლის მობინადრეებს. ბინის მოუვლელად აღიარებისათვის ავარიულ მდგომარეობის ფაქტის დადგენა არ კმარაგადამწყვეტი მნიშვნელობისაა მესაკუთრის სუბიექტური დამოკიდებულება შემნილი მდგომარეობისადმი. ჩამორთმევის საკითხი მარტო მაშინ დაისმის, როცა დადგენილია, რომ სახლი დანგრევის პირას მიყვანილია მესაკუთრის დაუდევარი დამოკიდებულებით, რომელიც წინასწარი შეგნებით უშვებდა ამ მდგომარეობას.

კანონმდებლობა მოუვლელობის თაობაზე საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის შესახებ იმ ღროს შემუშავდა, როცა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ იყვნენ ექსალოატატორული ელემენტები. ამიტომაც ნორმატიული აქტები აქცენტს აკეთებდნენ მშენებელს, რომ არსებითად წესი ჩამორთმევისა მიმართულიყო არამშრომელთა წინააღმდეგ. ამ წესის განხორციელებას არ უნდა მოჰყოლიდა შედეგად მშრომელთა ერთადერთი, უკანასკნელი საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევა მხოლოდ იმიტომ, რომ უსახსრობის გამო, ღროებითი მატერიალური გაჭირვების პირობებში, მთავრ შეეძლოთ მოცემული მომენტისათვის სათანა-დოდ მოვლილი ჰქონილათ შენობა.

ამჟამად, როცა ბინის პირადი მესაკუთრენი მხოლოდ მშრომელები არიან, მოუვლელობის გამო საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის კანონმდებლობა ახალ შინაარსს იძენს. მოუვლელობასთან დაკავშირებით საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევა არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული მუნიციპალიტაციის იმ შენიბულ სახელ, რომლითაც თითქოს ჩეკნი სახელმწიფოა დაინტერესებული.

სრულიად მიზანშეუწონელია, რომ სახელმწიფოს ხელში იყრიდეს თავს დანგრევის პირს ნისული სახლომულობელობანი. ეს არა ჩენტაპელურია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით და გაუმართლებელია იმიტომაც, რომ საცხოვრებელი სახლის მოუვლელად აღიარება ყოველთვის არ იშვევს მისი მფლობელის გამოსახლებას.

სახელმწიფოებრივ მიზანშეუწონილობიდან გამომდინარე ამჟამად გამოთქვავენ შეხედულებას, რომ „მცირე მოცულობის სახლები ერთ-ორი ბინით მიჰყიდონ იმ მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობენ, მათი ღირებულების თანდათანობით, ნაწილად გადახდით. ეს საშუალებას მოვცემს გავათავისუფლოთ კომუნალური განყოფილებები წვრილი სახლების მრავალრიცხოვანი ჩენტისაგან“.¹

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოუვლელი სახლები უპირატესად სწორედ ძეველი და მცირე ზომის სახლომფლობელობებია, მაშინ გასაგები გახდება, რამდენად არარაციონალურია გადავტვირთოთ კომუნალური ორგანოები ასეთი ბინების მოვლით.

მოუვლელობის გამო საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევა მესაკუთრის მიმართ გამოყენებული უკიდურესი ღონისძიებაა. ამიტომაც მისი შეფარდება სათანადო სიფრთხილით და გარემობათა სრული გამოკვლევით უნდა ხდებოდეს. ამ გარემოებას არა ერთხელ აღნიშნავდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. ასე მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ერთ-ერთ თავის დადგენილებაში სახალხო სასამართლოს ყურადღებას აქცევდა იმას, რომ საქმის არსებითად განხილვის ღრუს სახალხო სასამართლოს მიერ სათანადო სისრულით არ არის გამორკვეული ყველა გა-

რემობა, არ არის შემოწმებული რა მდგომარეობაშია სახლომფლობელობა და ნამდვილად ინგრევა თუ არა იგი. სასარჩელო განცხადებასთან თანდართული მასალები სახლომფლობელობის მდგომარეობის შესახებ შედგენილია თვით მოსარჩელის მიერ, მაშინ როცა აუცილებელია, რომ ასეთი დასკვნა გაცემული იყოს სპეციალისტ მშენებლების მიერ, რომლებიც არ არიან დაინტერესებული საქმის შედეგით. ამის გარდა, სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია მითითებას აძლევდა მთელი რიგი სხვა გარემოების შემოწმების შესახებ, რომელთა ზუსტად დადგენის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო საქმე არსებითად.

სასამართლო პრივტიკა სავსებით სწორად ამბობს უარს სახლის ჩამორთმევაზე მოუვლელობის ნიშნების არსებობის ღრუს, თუ კი მესაკუთრისაგან დამოკიდებული მიზეზებით ხდება სახლის ნგრევა.

თბილისის კიროვის რაიონულმა საბჭომ სახალხო სასამართლოში წარუდგინა სარჩელი პერკულოები, მისი საცხოვრებელი სახლის მოუვლელად ცნობისა და ამ სახლის რაიონულ საბჭოსათვის გადაცემის შესახებ. თავის მხრივ პერკულოვმა რაიონულ საბჭოს შემცვედრი სარჩელი წარუდგინა. ამ სარჩელში იგი თხოულობდა ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა მის სახლს ნაპრალის შექმნასთან დაკავშირებით, რაც მეზობლად მდებარე რაიონულ საბჭოს კუთხით სახლის წყალსაწრეტ მილიდან გამოიყონილმა წყალმა გამოიწვია. სახალხო სსამართლომ უარი უთხრა რაიონულ საბჭოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და დაავალა პერკულოვს შეერებონტებინა დაზიანებული კედელი. აღიარა რა საცხოვრებელი ბინის მოუვლელობა დადგენილად, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ

^{1.} იხ. გაზეთი «Известия» 14/1-1959 წ.

2. Судебная практика Верховного Суда СССР, 1954, № 3 стр. 43.

გაუქმდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება. თავის დადგენილებაში 1940 წლის 30 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გაუქმდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ სახლის დანგრევა არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს პერკულოვს.¹

მაშინადამე, არ შეიძლება მოუვლელობაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როცა სახლის დანგრევის საფრთხე შექმნილია მესაკუთრისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. საბჭოთა კანონშდებლობით პირადი მესაკუთრე სხვა ხელსაყრელი საბინაო ფართობით იქნება უზრუნველყოფილი, უკეთუ მისი საცხოვრებელი ბინისაღმი შექმნილი საფრთხე გამოწვეულია ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით განხორციელებული მშენებლობის მიზნით.²

სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში დავის იშვევს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მოუვლელობის საფუძვლით იმ სახლის ჩამორთმევა, რომელშიც მესაკუთრე ცხოვრობს.

როგორც წესი, სახლის მოუვლელობას ადგილი იქვე მაშინ, როცა პირი იქ დიდი ხანია არ ცხოვრობს. პროფ. ვ. ნ. აბფიოეგტროვის სწორი შენიშვნით, გამონაკლისის წესით, შესაძლოა მოუვლელობა იმ სახლებშიც გვხვდებოდეს, სადაც მესაკუთრენი ცხოვრობდება.³

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ი. ლ. ბრაუდეს სამართლიანი აზრით, საცხოვრებელი ბინის მოუვლელობა

¹. ი. «Социалистическая законность», 1944, № 9-10. стр. 15.

². С. И. Аскназий, Советское жилищное право, 1940 г. стр. 161.

³. В. Н. Амфитеатров, Право на жилые строения и пользования жилыми помещениями, 1948 г. стр. 18.

შეიძლება დადგეს ისეთ შემთხვევებში, როცა მესაკუთრემ ფაქტიურად უარი თქვა მის კუთვნილ შენობაზე⁴. რა თქმა უნდა, ამ გარემოების დაღასტურებისათვის მოუვლელობის ყველა ნიშანი უნდა იყოს სახეზე.

საცხოვრებელი ბინის მოუვლელობას შეიძლება ადგილი ქონდეს არა მარტო მაშინ, როცა მესაკუთრე სახლში დიდი ხანია არ ცხოვრობს, არამედ მაშინაც, როცა მესაკუთრე საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობს, მაგრამ ბორიტი განხრახვით და ურჩად არ აკორებს რემონტს, რათა ამით შეუძლებელი გახადოს ბინის მოქირავნეთა ცხოვრება და ა. შ.

საერთოდ, მესაკუთრეთა მხრივ ბინის მოუვლელობის ფაქტები იშვიათია. ამიტომაც მოუვლელობის გამო საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევას ჩვენს პირობებში დაკარგული აქვს აღრინდელი სიმკვეთრე. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გამონაკლისის სახით არსებული მოვლენები არ უნდა დაექვემდებაროს საკანონმდებლო რეგულირებას. ასეთი ნორმატიული აქტები საჭირო გარანტიან შექმნიან აუცილებლობის დროს მის გამოსაყენებლად. ამას გარდა, მათ გამოფრთხილებული მნიშვნელობაც ექნებათ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის შენიშვნის დანართი ითვალისწინებს ქალაქ ადგილს მოუვლელობის გამო საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის მთელ თავისებურებას და ქმნის სათანადო გარანტიას, რათა ასეთი ჩამორთმევა მთელი სიფრთხილით ხდებოდეს. ეს უკანასკნელი გარემოება უზრუნველყოფილია არა მარტო იმით, რომ ქალაქის საბჭო წინასწარ იფრთხილებს მესაკუთრეს ჩაჯტაროს სახლის რემონტი, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ სასამართლოს მხოლოდ და მხო-

⁴. И. Л. Брауде, Право на строение и сделки по строениям, 1954 г. стр. 70.



ლოდ მოუვლელობის ფაქტის დადასტურება კვისრება. სასამართლოს მიერ ფაქტის დადგენის შემდეგ, ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე საქმეს იხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელიც აჩვებითად გადაწყვეტს საკითხს მოუვლელი სახლის ჩამორთმევის თუ მესაკუთრისათვის დატოვების შესახებ. საქართველოში სახლის ჩამორთმევა უსასყიდლოდ ხდება. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობაში პირდაპირ საკანონმდებლო წესით არ არას გადაწყვეტილი საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის უსასყიდლო ხასიათი. მიტომაც ეყრდნობოდა რა რსუსრ ცავისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 10 მაისის დადგენილებას იურიდიული პირების მიერ მოქალაქებისგან საცხოვრებელი სახლების შესყიდვის შესახებ¹ პროფ. ი. ბ. ნოვიცკი თვლიდა, რომ მოუვლელობის გამო სახლის ჩამორთმევისას მესაკუთრებს „უნაზღაურდება ნაგებობის ღირებულება საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით, ხოლო საინვენტარიზაციო შეფასება თუ არ არის, სადაზღვევო ღირებულებით“.² შეუძლებელია დავეთანაშორო ამგარ შეხედულებას. მესაკუთრის მიერ წინასწარ განხრახვით დანგრევის პირს მიყვანილი სახლისათვის ანაზღაურდება მოუვლელობის გამო სახლის ჩამორთმევის კანონმდებლობის არსის საწინააღმდეგო იქნებოდა. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ ამ გზით მესაკუთრები შეეცდებოდნენ ძველი, მცირე ზომის სახლების ავარიულ მდგომარეობაში განხრას მიყვანას, რათა ამ სახლების თუნდაც საინვენტარიზაციო ღირებულება მიეღოთ. მიტომ კანონით დადგენილი მოუვლელობის ყველა ნიშნის ღრის, საცხოვრებელი სახლის ჩამორთ-

მევა უნდა ხდებოდეს უსასყიდლოდ. როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო კანონში დღებლობაში გარდა საცხოვრებელი სახლისა არ არის ისეთი მითითება, რომელიც მოუვლელობის გამო პირად საკუთრებას მოსპობდა განსაზღვრულ ნივთზე. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში ამჟამად განხილვის საგანია საკითხი მეცნიერულისტორიული, მხატვრული და არქიტექტურული მნიშვნელობის საგნების მიმართ მოუვლელობისას კანონმდებლობის შეფარდების შესახებ.

საბჭოთა კანონი არ კრძალავს რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ პირად საკუთრებაში ისეთი ნივთები, როგორიცაა ძველი ხელთხაწერები, ძველი წიგნები. ანტიკვარული ნივთები, ქანდაკებები და მხატვართა სურათების კოლექციები, უნიკალური მნიშვნელობის მეცნიერულ-ისტორიული, მხატვრული ძეგლები. ამას გარდა, ცნობილ მწერალთა, მხატვართა, მოქანდაკეთა, მეცნიერთა მემკვიდრეების ხელში ხშირად აღმოჩნდება ისეთი ობიექტები, რომლებსაც დიდი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს ეხება აგრეთვე გამოჩენილ მოღვაწეთა საცხოვრებელ სახლსაც, პირადი მოხმარების ნივთებს და ა. შ.

სოციალისტური სახელმწიფო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ისტორიული, მხატვრული, არქიტექტურული ძეგლების შენარჩუნებით, მათი მოვლითა და მთავრებობით. ჩვენს ქვეყანაში საჭარო ვაჭრობით, აუქციონზე არ იყიდება ხელოვნებისა და სიძევლეთა მრავალი რელიქვია, რომლებიც დიდი მოღვაწეების მემკვიდრეობასთან არიან დაკავშირებული და რომლებსაც მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა აუქციონ-

^{1.} ი. ბ. ნოვიცკი, სილადობის სამართლის სამინისტროს მიერ 1957. წრ. 234.

^{2.} И. Б. Новицкий, Солидарность интересов в советском гражданском праве, 1957, стр. 40.

ზე კერძმ მფლობელთა, განსაკუთრებით კი იშვიათობის მოყვარულ ამერიკულ მილიონერთა ხელში გადადის ეპროპობის მრავალ ხალხთა ეროვნული კულტურის კუთვნილებანი, რომლებიც მუზეუმში, გალერეებსა და არქივებში შენახვის გზით თაობებს დარჩებოდათ. საქმეს ცერ შევლის ცერც პროგრესული ელემენტების პროტესტი, ცერც ბურჟუაზიული ცივილისტიკის დიდი ხნის წინად გაკეთებული მითითება იმის შესახებ, რომ მესაკუთრებს იმ ძეგლისა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს არ შეუძლია თავისი სუფლად განკარგოს თავისი საკუთრება, რომ ძეგლის ისტორიულობის გამო მესაკუთრებს განსაზღვრული მოვალეობებიც ეკისრება.¹

საბჭოთა სახელმწიფომ არსებობის პირველი წლებიდანვე გამოამჟღავნა თავისი ყოველმხრივი ზრუნვა ხელოვნებისა და სიძეველეთა ნიმუშების დაცვაზე. 1918 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მიღებული დეკრეტებით იყრდალებოდა განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვის გარეშე ხელოვნებისა და სიძეველეთა ძეგლების უცხოეთში გატანა და გაყიდვა. გამოცხადდა კერძმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ხელში მყოფი ხელოვნებისა და სიძეველეთა ძეგლების სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია. იყრძალებოდა სახელმწიფო ორგანოთა სპეციალური ნებართვის გარეშე ძეგლების რემონტი, გადაკეთება და გასხვისება. გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს უფლება ჩამორთვა მფლობელთათვის ხელოვნებისა და სიძეველეთა ძეგლები, თუ კი ისინი ცერ უზრუნველყოფნენ მათ სათანადო შენახვას. მსგავსი კანონმდებლობა შეიქმნა საქართველოს საბჭოთა ხელისათვის თავისი ადგილი სამოქალაქო სამართლის მოქმედ კოდექსში.

¹ ა. ამონ, ი სისტემური მეცნიერებების ცნებისათვის, 1908 წ.

ლის ლიტერატურაში საცხებით უმორია არის დამული საკითხი მეცნიერულ-ისტორიული, მხატვრული ძეგლების, ძეველი ხელთნაშერების, ქანდაკებების, სურათების კოლექციების მესაკუთრეთა ან მათ მემკვიდრეთაგან ჩამორთმევის შესაძლებლობის შესახებ, უკეთუ ისინი სათანადოდ არ უვლიან მათ. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს თუ რა უნდა ვიგულისხმოთ მოუვლელობის ცნების ქვეშ. მოუვლელობის ის ცნება, რაზედაც ზემოთ ვისუბრეთ, აյ არ გამოდგება. მაგალითად, საცხოვრებელი ბინა ისტორიულ, ეთნოგრაფიული მნიშვნელობისაა. ანდა იგი ეკუთვნიდა ცნობილ მწერალს, მხატვარს და მიზანშეწონილია მისი გადაქცევა სახლმუზეუმად. მესაკუთრებს კი სურს კაპიტალურად. გადააკეთოს იგი, რითაც სახლს არსებითად სახე ეცვლება, მაშასად მეტად იგი სათანადოდ არ არის მოვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა სათუთად და გულისხმიერად ინახავს ხალხის საყვარელი შეიღების მემორიალურ ბინასა და კარმიდამოს, მაინც გვხვდება ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სახლების მოუვლელობის შემთხვევები. სასურველია ჩვენმა კანონმდებლობამ გამოიყენოს რსფსრ-ის კანონმდებლობის ის საარგებლო წესი. რომლის მიხედვით დასაშვებია აღმინისტრაციული წესით ბინიდან გამოსახლება, რა თქმა უნდა, შესაფერი სამაგისტრო ბინის აუცილებელი მიერგმო იმ სახლებიდან, რომლებიც სახლ-მუზეუმებისათვის არის გამიზნული.²

ასევე საზოგადოების ყურადღების გარეშე არ შეიძლება დარჩეს ის შემთხვევა, როცა ზიანდება და იქვექსება ცნობილ მხატვართა სურათების კოლექციები, ფუჭდება ძვირფასი ხელთნაშერების დამული მფლობელის კოდექსში.

² იბ. კრებული «Законы, распоряжения, разъяснения по музеиному строительству», 1936 г. стр. 22.

ჩი, იფანტება, მაგალითად უნივერსალური ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცას „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სტამბურ გმოცემას და ა. შ.

რამდენადაც ამგვარი ნივთების მოვლას სახოგაზოებრივი მნიშვნელობა აქვს, იმდენად ასეთ პირობებში სავსებით გამართლებულია სამართლებრივი ნორმებით სახელმწიფოს ჩარევა.

სოციალისტური ერების კულტურული საგანძუროს შემქმნელი დიდი მხატვრებისა და მოქანდაკების, მწერლებისა და კომპოზიტორების მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა მხოლოდ მემკვიდრეობა საქმე არ შეიძლება იყოს. საბჭოთა კანონმდებლობამ უნდა მოაწესობის ეს საკითხი. მაგრამ პრინციპულად მცდარია ამ საკითხის ის გადაწყვეტია, რომელსაც ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს. ამ შესეღულების თანახმად მოვლელობის გამო მესაკუთრისაგან ცნობილი მხატვრების სურათების კოლექციების „ჩამორთმევა კონფისკაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს“!

მეცნიერულ-ისტორიული, მხატვრული, არქიტექტურული ნივთის ჩამორთმევა მესაკუთრისაგან არა მარტო განსაკუთრებული პროცესუალური წესით უნდა ჩატარდეს, როგორც ეს აღვნიშნეთ ბინის მოვლელობის დროს, არამედ იგი მეტად ფრთხილად, პირადი მესაკუთრის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს და ჩამორთმეული მხატვრული, ისტორიული, არქიტექტურული საგნისათვის მესაკუთრებელს, მათ შორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის სახლის მესაკუთრესაც, უნდა მიეცეს სათანადო ანაზღაურება, ე. ი. მოუვლელობის გამო ამ ობიექტების ჩამორთმევას კონფისკაციის ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. მისი ღირებულება უნდა განსაზღვროს სპეციალისტ-ექსპერტთა კომისიამ.

ამ საგნების ჩამორთმევის ზემოთ და-

1. Р. О. Халфина, Право личной собственности граждан СССР, 1954 г. стр. 146—147.

სახელებულ შესაძლო შემთხვევებს ერთი მიზანი უნდა ჰქონდეთ — ჩამორთმეული ნივთების სათანადო მოვლა. ამიტომაც ამ ნივთების სახელმწიფოსათვის გადაცემა სრულიადაც არ არის თვითმიზანი. როგორც სწორად აქვს შენიშვნული იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს რ. ო. ხალფინას, არ არის აუცილებელი ასეთი ნივთი ყველა შესაძლებელ შემთხვევაში გადაეცეს სახელმწიფოს. შეიძლება იგი გადაეცეს იმ პირს, მაგალითად, ერთერთ თანამესაკუთრებას. რომელიც უზრუნველყოფს ნივთის სათანადო მოვლას².

მოუვლელობასთან დაკავშირებით ისტორიული, მხატვრული და არქიტექტურული ნივთების ჩამორთმევას იშვიათად ექნება ადგილი ჩვენში არა მარტო ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეები უსახლვრო ზრუნვას იჩენენ მეცნიერულ-კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე. არამედ ამ ქლავნებენ მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას და მუზეუმებს, სახელმწიფო დაწესებულებებს გადასცემენ ისტორიული, მხატვრული მნიშვნელობის ნივთებს. ამის შესანიშნავი მაგალითია პოეტ-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის პატრიოტული ქცევა, რომელმაც თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნებით უსასყიდლოდ გადასცა საბჭოთა სახელმწიფოს და ამით იგი მთელი ერის კუთვნილებად აქცია.

ყოველივე ზემოლოტქმული სრულიადაც არ ეშინააღმდეგება იმას, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებდეს ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ნივთების სასყიდლით ჩამორთმევას მისი მოუვლელობის დროს, რომელსაც მესაკუთრე შეგნებით უშვებდა.

ამგვარ ნორმებს მომავალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში, ჩვენის აზრით, აღმზადელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც ექნებოდა.

2. იქვე.

აუცილებელი მოგერიებისა და მოგერიების საზღვრის გადაცილების საკითხების შესახებ

პ. პაიშაძე,

ქ. თბილისის პროკურორი,

იუსტიციის უფროსი მოწეველი

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს აუცილებელი მოგერიებისა და მოგერიების საზღვრის გადაცილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე არსებობს დიდძალი ლიტერატურა და ავტორები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენურის სპეციალური დადგენილება, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ზოგიერთი მუშავი ხშირად სათანადოდ ვერ ერკვევა კონკრეტულ საქმეში და არასწორ, კანონთან შეუსაბამო გადაწყვეტილებას ღებულობს. ყოველივე ამას კი დისონანსი შეაქვს სოციალისტური კანონიერების განუხრელად და მტკიცედ გატარების საქმეში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის შესაბამისად „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში; ესე იგი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომენტის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადო-

ებრივად საშიში ხელყოფისაგან ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად უნდა ჩაითვალოს დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის სასიათისა და საშიშროებისაგან“.

ისეთ საქმეთა გამოძიების დროს, რომლებიც აუცილებელ მოგერიების საზღვრის გადაცილებას შეეხება, საჭიროა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთდეს ყველა გარემოებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი სერიოზული შეცდომები.

როდესაც შეიდგება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სახეზე აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილება, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები მექანიკურად არ უნდა გამომდინარეობდნენ დაცვასა და ხელყოფას შორის ზუსტი თანაფარდობის პრინციპიდან, არამედ ანგარიში უნდა გაუწიონ როგორც თავდამცველისადმი მიმართული მოქმედების საშიშროების სასიათს, აგრეთვე იმ ძალასა და შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო თავდამცველის მიერ თავდასხმიდან გამომდინარე საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

ხშირ შემთხვევაში თავდასხმისას



თავდამცველი განიცდის ისეთ სულიერ აღლვებას, შიშა და დაბნეულობას, რომ მისთვის ძნელი ხდება ზუსტად განსაზღვროს ის საშიშროება, რომელიც მას თავდასხმის შედეგად მოელის. ასევე ძნელი ხდება მისთვის გამონახოს თავდაცვის საშუალება მოსალოდნელი საშიშროების შესაბამისი. ამიტომ თუ ადგილი ექნება თავდაცვის შესაბამისობას ხელყოფის ხასიათსა და მოსალოდნელ საშიშროებასთან, დაყენებული არ უნდა იქნეს საკითხი თავდამცველის პასუხისმგებლობის შესახებ.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა იწყება არა მარტო თავდასხმის მომენტში, არმედ იმ შემთხვევაშიც. როცა სახეზეა თავდასხმის ჩეალური საშიშროება და საქმის გარემოებათა მიხედვით თავდამცველისათვის ნათელი არ იყო თავდასხმის დამთავრების მომენტი. გარკვეული იყო თუ არა თავდამცველისათვის თავდასხმის დამთავრების მომენტი — ეს სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება და უნდა გადაწყდეს ბრალის საკითხის საფუძველზე და არა მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების საფუძველზე. ამ საკითხის გარკვევისათვის საინტერესო ერთერთი სსამართლოს გადაწყვეტილება ს-ის ბრალდების გმო, რომელსაც ჩვენ არ ვეთანხმებით.

გამოძიებით დადგენილი იყო, რომ 1957 წლის 9 ივნისს ს-ი წაეჩინება მის მეზობლად მცხოვრებ კ-ს. 11 ივნისს მთვრალმა კ-მა განიზრახა მოეკლა ს-ი. ნაჯახით შეიარაღებული შევიდა მასთან ოთახში, მაგრამ ს-მა გამოსტაცა ხელიდან ნაჯახი, რამდენიმეჯერ დაარტყა იგი კ-ს და მოკლა.

სსამართლომ სცნო, რომ მართალიც კ-ი თავს დაესხა ს-ს, რომელსაც ჩეალური საფრთხე მოელოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ს-მა გამოსტაცა კ-ს ნაჯახი, ამით თავდასხმის საშიშროება აცილებული იქნა. ამგვარად, სსამართლომ ჩასთვალა, რომ ს-ი გამოვი-

და აუცილებელი მოგერიების საზღვრიდან.

სსამართლოს მიერ მიღებული გადაშეცეტილება ნააღრევი და უსწორო იყო, ვინაიდან არ იყო გარკვეული მოქმედებდა თუ არა ს — ი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილებასთან მხოლოდ იმ შემთხვევებში გვექნებოდა საქმე, თუ დადგინდებოდა, რომ თავდამცველმა თავდასხმა მოახდინა მას შემდეგ, როცა მისთვის აშკარა იყო, რომ მას აღარ მოელოდა რაიმე საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში ეს საკითხი არ იყო გარკვეული. მარტო ის გარემოება, რომ ს — მა თავდასხმების ხელიდან ნაჯახი გამოსტაცა და ამით თითქოს სავსებით აიცდინა თავდასხმის საშიშროება, სწორი არ არის. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არსებობს არამარტო თავდასხმის მომენტში, არამედ მაშინაც, როცა თავდამცველისათვის გარკვეული არ არის თავდასხმის დამთავრება.

სსამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განეხილა, ქონდა თუ არა შესაძლებლობა ს — ს მოელი სიზუსტით შეეფასებინა ის საშიშროება, რომელიც მას აღარ მოელოდა კ — ის განიარების შემდეგ. და თუ დადგინდებოდა, რომ ს — მა იცოდა, რომ თავდასხმა დამთავრებულია და მან უნდებელყო თავისი თავი, მაშინ ჩვენ საცხებით დავეთანხმებოდით განაჩენს. მაგრამ ეს საკითხი ზერელედ იყო გამოძიებული და ამიტომ, ჩვენის აზრით, არ არსებობდა კანონიერი საფუძველი ს — ის დამაშველ ცნობისათვის.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით აუცილებელი მოგერიების აქტი შეიძლება განხორციელდეს არა მარტო საკუთარი თავისადმი მიმართული საშიშროების თავიდან ასაცლენად, არამედ სახელმწიფო ან საზოგადო ინტერესების დასაცავადაც. თუ რომელიმე მოქალაქის სიცოცხლე აშკარა საფრ-

თხეშია, მესამე პირი უფლებამოსილია იმოქმედოს თავდამსხმელის წინააღმდეგ, ისე კი, რომ არ გადაჭარბოს უცილებელი მოგერიების საზღვარს. აქ მხედველობაში მისალებია კონკრეტული გარემოებანი, რომელიც გამორიცხავენ დაცულელი პირის მოქმედებაში საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტებს.

ხულიანები ბ-ი და ბ-ი 1957 წლის 5 აპრილს შეხვდნენ ერთმანეთს ორჯონივიძის სახელობის რაიონის საკოლმურნეო ბაზრის მახლობლად და დათვარნენ. რის შემდეგ დაიწყეს ქუჩებში ხეტიალი. საღამოს 8 საათზე ისინი მაღაზიაში შევიდნენ; იქ მ-მა ახალგაზრდა ქალს ჯერ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა, ხოლო შემდეგ დაედევნა მას, ფეხი დაუდო და წაძეცია.

ა-ქე გაექცა ხულიგან ლოთს, მაგრამ № 5 მარშრუტის ტრამვაიში ასვლისას მ-მა კვლავ დაუდო მას ფეხი და ბაქანზე დასცა. მ-მა არც ტრამვაიში შეწყვიტა ხულიგნობა, უშვერი სიტყვებით აგინა ა-ქეს და დაუწყო მას ცემა, რის გამოც ა-ქეს ცხვირიდან და პირის ღრუდან სისხლის დენა დაეწყო. ტრამვაიში მსხდომ სხვა მოქალაქეთა შორის ამ აღმიშვოლებელი ხულიგნობის მოწმე გახდა მილიციის ლეიტენანტი ხ-ლი, რომელიც მილიციის ფორმაში არ იყო; ამიტომ თავი გააცნო მ-ს და მოსთხოვა შეეწყვიტა ხულიგნობა. ამის პასუხად მ-მა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მიღაცის ლეიტენანტს, შემდეგ ჩამოვიდა ტრამვაიდან და ცდილობდა მიმალულიყო. მილიციის ლეიტენანტმა ამოიღო რევოლვერი და ხულიგნებს წინადადება მისცა გაყოლოდნენ მილიციის განკოფილებაში. ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე გააფრთხილა ისინი სიტყვიერად, ხოლო შემდეგ გამაფრთხილებელი განროლაც მოახდინა რევოლვერიდან, მაგრამ მ-ი და ბ-ი მაინც მიღწევდნენ მისეკნ და იარაღის

წართმევით ემუქრებოდნენ. მიღწევდნენ მუშაკს რევოლვერის წართმევის ამკარა საფრთხე შეექმნა, რის გამოც რევოლვერიდან გასროლით მძიმედ დაჭრა ბ-ი, ხოლო მ-ი კი მსუბუქად. როგორც გამოძიებით დადგინდა, არც მ-ს და არც მის ამხანაგ ბ-ს არ ქონიათ არც ცეცხლმსროლელი და არც ცივი იძრალი. ასეთ შემთხვევაში ხომ არ უნდა ერჩია მილიციის მუშაკს თანაფრიდი თავდაცვის საშუალება? შეეძლო თუ არა მას ზუსტად იეჭონა საშიშროების ის ხასიათი, რომელიც უიარაღო თავდამსხმელთაგან მოელოდა? აი ის კათხვები, რომლებიც პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს უნდა გადაეწყვიტათ.

ჩვენის აზრით სავსებით სწორად მოიქცა ქ. თბილისის პროკურატურა, როცა ჩასთვალა, რომ მილიციის მუშაკის მოქმედებაში არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და რომ ერთობლივად მთელ გარემოებათა მხედველობაში მიღებით მოქმედება არ გასცილებია აუცილებელი მოგერიების საზღვარს.

სწორად მოიქცა აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო, როცა პროკურატურის მიერ წინასწარ პატიმრობაში აყვანილ მ-ს შეუფარდა თავისუფლების აღვეთა 3 წლის ვადით, ხოლო მის ამხანაგს კი, რომელიც უფრო პასიურად მოქმედებდა და მძიმედ იყო დაჭრილი, შეურჩია სასჯელის ისეთი ღონისძიება, რაც პატიმრობასთან არ იყო დაკავშირებული.

ჩვენის აზრით, შეცდომა დაშვებული კ-ის ბრალდების საქმეზე, როცა მისი დანაშაული სსკ 151-ე მუხლით იქნა დაკვალიფიცირებული.

გამოძიებით დადგენილი იყო, რომ 1958 წლის 22 ივნისს კ-მა და მისმა ამხანაგებმა ღვინო იყიდეს და ივჭალის გზატკეცილისა და გვაზაურის ქუჩის კუთხეში მდებარე მინდორზე დაიწყეს სმა. კ-ი და მისი ამხანაგები დაინახა

ქეთის ადგილიდან 20-30 მეტრის დაშორებით მცხოვრებმა გ-ემ, რომელმაც წინადადება მისცა კ-სა და სხვებს ღვანი მისი სახლიდან მოშორებით დაელიათ. კ-მ და მისმა ამხანაგებმა ყურადღება არ მიაქციეს გ-ეს წინადადებას და კვლავ განაგრძეს ღვინის საზა. გაბრაზებულმა და განაწყენებულმა გ-ემ, რომელსაც ამ მომენტში ხელში ეჭირა სანალირო თოფი, ორჯერ გაისროლა ჰაერში და როცა მესამე გასროლისათვის ვაზნას დებდა თოფში, მას დაედევნა კ-ი და თავის ეზოში მიბრუნებულ გ-ეს დანის სამჯერ დარტყმით სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა.

საქმიდან ირკვევა, რომ კ-ს თოფი არ წაურთმევია და არ განუიარალებია, რაკი გ-ე შებრუნდა თავის ეზოში, მოსალოდნელი იყო თუ არა კ-ისათვის რამე რეალური საშიშროება? საქმისათვის საჭირო ეს ძირითადი საკითხი ჯეროვნად არაა შესწავლილი.

თუ თავდამცველისათვის ნათელი იყო, რომ გ-ემ ხელი აიღო დანაშაულებრივ განზრახვაზე და გიქცა, ასეთ შემთხვევაში კ-ის დანაშაულის სსკ 15:1 მუხლის 1 ნაწილით დაკვალიფიცირება სწორი იქნებოდა. მაგრამ თუ დადგინდებოდა, რომ კ-სათვის არ იყო გარკვეული თავდასხმის რეალური საშიშროების დამთავრება, ამ შემთხვევაში კ-ის მოქმედებაში დანაშაული აუცილებლობით მოახდინა.

ლებელი მოგერიების საზღვარს. აქ მთელი სიზუსტით უნდა ყოფილიყო გამორკვეული, ხომ არ დარწმუნდა კ-ი იმაში, რომ ორი გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ გ-ეს სურდა მესამედ გაესროლა ხომ არ იყო ეს დარწმუნება მოჩვენებითი. თუ დადგინდებოდა, რომ კ-ის დარწმუნება საშიშროებაში მოჩვენებითი იყო და მას სინამდვილეში აღარავითარი საშიშროება არ მოელოდა, ამ შემთხვევაში კ-ის დანაშაული სსკ 156 მუხლის II ნაწილით უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც ისეთი დამნაშავისა, რომელმაც სხეულის დაზიანება გაუფრთხილებლობით მოახდინა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ყურადღებით უნდა გადაწყდეს საკითხი იმსახურებს თუ არა ამა თუ იმ პირის მოქმედება სასჯელის ღონისძიების შეფარდებას იმ დროს, როცა საკითხი აუცილებელ მოგერიებას თუ ამ მოგერიების საზღვრის გადაცილებას შეეხება.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები ვალდებული არიან დიდი სერიიზულობით და განსაკუთრებული ყურადღებით განიხილონ ამ კატეგორიის საქმეები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი შეცდომები, რომელიც ერთის მხრივ იწვევს მოქალაქეთა უსაფუძვლო დასჯას, ხოლო ზოგჯერ კი მათ უსაფუძვლოდ გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

პრეზიდენტის მონაცილეობა სამოქადაქო სამართლის პროცესში

სასამართლო პროცესში პროკურორის აქტიურ როლზე პირდაპირ არის მითითებული საბჭოთა კონსტიტუციის 113-ე მუხლში, სადაც იღნიშნულია, რომ ყველა სამინისტროსა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების, ისე როგორც ცალკეული თანამდებობის პირებისა და აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეების მიერ კანონთა ზუსტად შესრულების უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრება სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

ბურუუაზიულ სახელმწიფოებში პროკურატურის საქმიანობა უმთავრესად გამოიხატება მისი მონაწილეობით სისხლის სამართლის პროცესში. თუმცა საპროცესო კანონმდებლობა პროკურორებს განსაზღვრულ ვალდებულებას აკისრებს სამოქალაქო სამართლის პროცესის დარგშიც, მაგრამ პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო საქმეებზე უმნიშვნელოა და მეტნაკლებად მხოლოდ საკასაციო სასამართლოებში ხორციელდება.

ბურუუაზიული საზოგადოების სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობანი, დამყარებული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის საფუძველზე ითვლება იმ უაღრესად „კერძო სფეროთ“, რომლის მიმართაც ბურუუაზიულმა სახელმწიფომ „მკაცრი ნეიტრალიტეტი“ უნდა დაიცვას. რა თქმა უნდა, ასეთი „ჩაურევლობა“ პირდაპირ მიმართულია ექსპლოატორული კლასების ინტერესების დასაცავად, რომელთაც სახელმწი-

ფო ჩაურევლობის ფაქტი შეუზღუდველ შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ უკელა უპირატესობა, დაკავშირებული კერძო-კაპიტალისტური საკუთრების უფლებასთან.

საბჭოთა სახელმწიფოში 1928-1929 წლებში პროკურატურამ მინიმუმამდე დაიყვანა თავისი მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში; ამ არასწორ პრატიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გავლენა მავნებლური „თეორიებისა“ სოციალისტური მშენებლობის წარმატებასთან დაკავშირებით საბჭოთა სამოქალაქო სამართლის უცილობელი კვდომის შესახებ. პროკურატურის სისტემაში ლიკვიდირებული იქნა სპეციალური სამოქალაქო განყოფილებები.

ამის შედეგად სამოქალაქო საქმეები პროკურატურის თვალთახედვის ხარეშე დარჩა: იგი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე იჩენდა ინტერესს ცალკეულ სამოქალაქო საქმეების მიმართ და პროტესტი შეერთდა მათ შესახებ.

სამოქალაქო საქმეებისადმი ყურადღების გაძლიერება დაკავშირებულია 1933 წელს სსრ კავშირის პროკურატურის ორგანიზაციისთან.

1934 წელს სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ „სასამართლო წარმოადგენს ძირითად საწარმოო უბანს პროკურატურის მუშაობისათვის“.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიი-

ღო პროცურორის მონაწილეობამ სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვაში სსრ კავშირის გენერალური პროცურორის 1955 წლის 10 დეკემბრის №133 ბრძანების გამოცემის შემდეგ, რომლის თანახმად პროცურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისეთი საქმეების განხილვაში, როგორიცაა სახელმწიფო და კომპერატიული ორგანიზაციებისადმი მიყენებული ზორალის ანაზღაურება, აღწერილობის სიიდან ნივთების ამორიცხვა, მოქალაქეთა ბინიდან გამოსახლება, სამუშაოზე აღდგენა და სხვა მნიშვნელოვანი სახის დავები.

ამ ბრძანების შესაბამისად ერთორიად გაიზარდა პროცურორის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. მაგრამ პროცურორის როლი მარტოდენ სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობით არ ამონიურება. პროცურორი ანხორციელებს შედამხედველობას აგრეთვე სასამართლოს აღმასრულებელთა ინსტიტუტისა და ნოტარიატისადმი, რომელთა მუშაობა ორგანიზაციადაა დაკავშირებული სასამართლოს მუშაობასთან.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის თანახმად „პროცურორის უფლება აქვს დაიწყოს საქმე და აგრეთვე ჩერქის საქმეში პროცესის რა სტადიაზე არ უნდა იყოს იგი, უკეთ მისი აზრით ამას მოითხოვს სახელმწიფო ან მშრომელთა ინტერესების დაცა“.

პროცურორი, როგორც სამოქალაქო სამართლის პროცესის მონაწილე, სულერთია იგი სახელმწიფოს, კოლექტივის თუ ცალკეული მოქალაქის ინტერესთა დასაცავად მოქმედებს, ყოველთვის სახელმწიფოს სახელით გამოდის, ამაშია მისი მონაწილეობის აზრი, ეს განსაზღვრავს პროცურორის განსაკუთრებულ მდგომარეობას პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით. ასეთივე მდგომა-

რება აქვს პროცურორს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დამოკიდებული აღმრავს სამოქალაქო საქმეს; პროცურორი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხარე, მოსარჩევე თუ მოპასუხე მატერიალურ-უფლებრივი გაგებით, ვინაიდან იგი მატერიალურად არ არის დაინტერესებული, მატერიალური შედეგი უშუალოდ მას არ ეხება.

მაგრამ პროცურორი აღმრავს რა სარჩელს სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესების დასაცავად, გამოიყენებს მხარის ყველა საპროცესო შესაძლებლობას და უფლებას: იგი წინასწარ აგროვებს და ამზადებს სათანადო მასალას, თვით აფორმებს და წარადგენს სარჩელს, მონაწილეობს პროცესში მხარეებთან ერთად თანაბარი საფუძვლით, იყენებს ყველა საპროცესო შესაძლებლობას თავისი სარჩელის სისწორის დასამტკიცებლად, აპროტესტებს სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას იმავე ვადაში, როგორც მხარეები.

პროცურორი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელია პროცესში, იგი არასდროს არ არის წარმომადგენელი მოდაგის ინტერესებისა პირდაპირი მნიშვნელობით. პროცურორი თავისუფალია თავის დასკვნებში და მას მხარისაგან დამოკიდებელი პოზიცია უჭირავს, ხელმძღვანელობს მარტოოდნენ კანონით და საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სადათ საკითხზე. ამიტომ, მაგალითად, პროცურორს უფლება აქვს დაბეჭითებით მოითხოვოს მოწმის დაკითხვა, ოუნდაც მხარემ ამის შესახებ უარი განაცხადოს; პროცურორის სავის არ არის სავალდებულო მხარეთა მორიგებით საქმის გათავება ან მხარის მიერ სარჩელზე ხელის აღება, თუ ერთერთი მოდავე მხარე სახელმწიფო ან კომპერატიული ორგანიზაციაა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლი ითვალისწინებს პროცურორის

მონაწილეობის შესაძლებლობის საკასაციო ინსტანციაში. ამ მუხლის თანახმად „საკასაციო წესით საქმის განხილვისას პროფესიული შეუძლია მისცეს თავისი დასკვნა, როგორც წერილობითი ფორმით, ისე სიტყვიერად სამსახურო სხდომაზე“.

ეს მუხლი პროფესიულობის შესაძლებლობის აძლევს აირჩიოს საკასაციო ინსტანციაში მონაწილეობის ესა თუ ის ფორმა; მაგრამ უმჯობესია პროფესიულობა პროცესში მონაწილეობისას თავისი დასკვნები სიტყვიერად ჩამოყალიბოს. პროფესიულობის დასკვნა იმ შემთხვევაში დამყარებული იქნება ორ მარტო საქმის წერილობით მასალებზე, არამედ მხარეებს შორის აზრთა იმ ცოცხალ გაცელა-გამოცვლაზეც. რაც ზონდება მეორე ინსტანციაში საკასაციო საჩივრის განხილვის დროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფესიულატურის მუშაობა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის დარღვეული. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა და დაგდენილებათა ზედწესით გაპროტესტება ხელს უწყობს სახალხო სასამართლოებისა და უმაღლესი სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებას.

გამართლებულად უნდა ჩაითვალოს პროფესიულატურის ორგანოების პრაქტიკა, როდესაც პროფესიულატურა პროტესტის შეტანის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ზომებს დებულობს მომჩინენის მიერ მოყვანილ მოსახრებათა შესმოწმებლად აღგილზე გამგზავრებით, დამატებითი ცნობების გამოთხვით, მეორე მხარის დაბარებით და სხვა. საქმის გარემოებათა ასეთი დამატებითი შემოწმება, რომელიც აუცილებელია საქმის გამოთხვითი და პროტესტის შეტანის საკითხის გადასაჭრელად არ ნიშნავს სასამართლოს ფუნქციების მითვისებას, ვინაიდან თუ შეტანილი პროტესტის

შედეგად საქმე სასამართლოში დაბრუნდება ხელმეორედ განხილვისათვის, ეს უკანასკნელი, დამოუკიდებლად პროფესიულატურის მიერ შეკრებილი მასალებისა ვალდებულია თვით გამოიყვლის საქმის სათანადო გარემოებანი და მხოლოდ მათი სასამართლოს წესით შემოწმების საფუძველზე გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლო 1957 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დააკვირდებოდა რიცხიმე არაქელოვას სარჩელი ივანე მეშვილიშვილის მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეებს, რომლებიც წინად ცოლქმარი იყვნენ აქვთ სისტემატური უსიმოვნება და მათი ერთად ცხოვრება არ შეიძლება, ხოლო ბინის გაყოფა ტექნიკურად შეუძლებელია.

ადგილზე ჩატარებული დათვალიერებით გამოიირკვა, რომ სადათ ბინას, რომელიც ორი ოთახისაგან შესდგება, აქვს ორი შესასვლელი, პირველ ოთახში შესვლა შეიძლება ეზოდან, ხეორე ოთახში კი სადარბაზო შესასვლელიდან, რაც იძლევა მხარეთა სრული იზოლირების საშუალებას. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სწორედ ამ მოსაზრებით იქნა გაუქმებული უმდლებესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ პროფესიულატურის პროტესტის საფუძველზე.

ასეთივე შედეგი მოგვცა პროფესიულობის მიერ საქმის შესასწავლად ადგილზე გამგზავრებამ ცომაიასა და ცაგარეიშვილის საქმეზე სადარბაზო შესასვლელით სარგებლობის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილების ვეტორიტეტი განუყრელადა დაკავშირებული მის ღროულად და სწორად აღსრულების საკითხთან. სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ორგანების მოქმედებათა მეთვალყურეობას

ანხორციელებს სახალხო სასამართლო. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი ამ დარგზე შეროვურატურის მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროცესურატურა სერთოდ არ ახორციელებს არავითარ ზედამხედველობას.

პრაქტიკაში ხშირია, რომ პროცესურის წარმოებაში ზედამხედველობის წესით იმყოფება საქმეები აღმასრულებლის უსწორო მოქმედების შესახებ ან აღმასრულებლის მიერ ჩატარებული საჯარო ვაჭრობის უსწორობის შესახებ.

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა კინწურაშვილის სარჩელი სარქისოვას მიმართ და მოპასუხეს დაკისრა მოსარჩელეს სასარგებლოდ 13971 შიანეთის გადახდა.

გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმართულებელს, რომელმაც სარქისოვას აუშერა სახლის ნახევარი. აღწერა მოხდენილი იყო მოპასუხის დაუსწრებლად. სარქისოვა აღმასრულებელს არ გაუფრთხილებია სასარჩელო თანხის გადახდაზე და საამისო საბუთი საქმეში არ არსებობს.

ამის შემდეგ აღმასრულებელმა მოხდინა საჯარო ვაჭრობა საცხოვრებელი სახლის ნახევარზე და საჯარო ვაჭრობის აქტის საფუძველზე სახლის ნახევარი ნაწილი 13971 მანეთის ანგარიშში გადაეცა მოქალაქე კინწურაშვილს პირად საკუთრებაში. ამჯერადაც, ბინის მესაკუთრე სარქისოვა საჯარო ვაჭრობას არ

დასწრებია, ვინაიდან მისთვის ეს ცნობილი არ იყო.

ამრიგად, სასამართლოს აღმასრულებლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების საფუძველზე სარქისოვას უფლება შებალული იქნა.

საჯარო ვაჭრობის ეს უკანონო აქტი გაუქმებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ საქართველოს სსრ პროცესურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელ ორგანოთა მხრივ არა-სწორ მოქმედებათა გამომყენებისას პროცესურორი მოვალეა გაპროტესტოს ეს მოქმედებანი სათანადო სახალხო სასამართლოს წინაშე, ხოლო აღმასრულებლის მხრივ ბოროტმოქმედების დადგენისას აღძრას დევნა სისხლის სამართლის წესით ან დასვას საკითხი მისთვის დისკიპლინარული სასჯელის დადების შესახებ.

პროცესურატურის ორგანოები ვალდებული არიან ზუსტად დაიცვან და გაატარონ პრაქტიკაში სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისა და საპროცესურორო ზედამხედველობის დებულებით გათვალისწინებული ნორმები სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვის შესახებ და ამით ხელი შეუწყონჩევენ რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებას.

3. პსივზილი,

საქართველოს სსრ პროცესურატურის სამოქალაქო განყოფილების უფროსი



ქართველი სამარტო მუზეუმი

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ცეკვილების ურჩოს საექითის „ხელმწიფის ქარის გარიშების“ მინერვით

პროფ. ი. სურგულაძე

ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულში იურიდიულ შემოქმედებას საპატიო ადგილი უკავია. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ამ ისტორიის სხვადასხვა ეპოქების მიმართ წყაროების მხრივ სხვადასხვა მდგომარეობა გვაქვს. იურიდიული შინაარსის ქართული წყაროები ჩვენ X საუკუნიდან მოგვეპოვება. X საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნემდე ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიის მრავალმა წყარომ მოაღწია ჩვენამდე. ამ წყაროებიდან ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია „ხელმწიფის კარის გარიგებას“. ამ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესწავლისათვის.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენი და გამომცემელი აკად. ექ. თაყაიშვილი 1920 წელს წერდა: „ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აუკარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა.... მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წყობილების, სახელმწიფო ყოფაცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ხელმწიფის კარის გარიგებას აქვს... ჩვენ თამა-

მად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზემინა ჩვენი ისტორიისათვის“!¹⁾

ევე უნდა დაუმატოთ, რომ 1920 წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ისტორიული ძეგლები აღმოჩნდა და ბევრი მათგანი გამოიცა კიდეც, მაგრამ აკად. ექ. თაყაიშვილის სიტყვები ახლაც ძალაშია, რადგანაც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით „ხელმწიფის კარის გარიგებას“ არც ერთი ძეგლი არ შეედრება. აკად. ივ. ჭავახიშვილი ამ ძეგლის შესახებ წერდა: „ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიკური და ნივთიერი კულტურის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს“²⁾. ძეგლი ასახავს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილებას; ის დაწერილი უნდა იყოს XIV საუკუნეში.

ძეგლი წარმოადგენს უცნობი ავტორის ნაწარმოებს, ე. ი. ის კერძო ხასიათისაა. „ხელმწიფის კარის გარიგების“

1) „ხელმწიფოს კარის გარიგება“, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 1920 წ., გვ. 34-38.

2). ივ. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, გვ. 67-68.



აქტორი ამ ნაწარმოებში ეკამათება ასე-
თვე ნაწარმოების სხვა ავტორებს, იმ-
ოწმებს ძველ ქართულ წყაროებს და
სხვა. აქტორი, როგორც სჩანს, სასახლე-
სთან ახლო მდგომი პირია.

ის გარემოება, რომ „ხელმწიფის კა-
რის გარიგება“ ერთერთი ნაწარმოებია
ქართული სახელმწიფო წყობილების
შესახებ, ფრიად მნიშვნელოვანია იმ
მხრივ, რომ მიუთითებს ქართული ფეო-
დალური იურიდიული აზროვნების გან-
ვითარების მაღალ დონეზე, რომ საზო-
გადოებაში მოთხოვნილება ყოფილა
ასეთ ნაწარმოებთა შექმნისა, რომ სა-
ხელმწიფოებრივი წყობილების სხვადა-
სხვა საკითხებზე ამ ძეგლის მხედვით
მეცნიერული პაექტობა იმართებოდა და
ამის შესახებ სათანადო ლიტერატურა
იქმნებოდა.

აკად. ექ. თაყაიშვილი ამ ძეგლის შე-
სახებ წერს: „...ასე მთლიანად დალაგე-
ბული და ასე დაწვრილებით გაშუქებუ-
ლი სახელმწიფო წესწყობილების სურა-
თი, როგორსაც ხელმწიფის კარის გარი-
გება გვაძლევს, არც ერთს ძეგლში და
საბუთში არ მოვცემოვება... ასეთი
ძეგლი იშვიათია ოვით უაღრეს კულ-
ტუროსან დიდ ხალხების და სახელმწი-
ფოს ისტორიაშიც.“¹⁾

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ ამ
ძეგლის მიხედვით ქართული ფეოდა-
ლური სახელმწიფო წყობილების ფორ-
მის საკითხს საკითხის დასმის წესით.


ალსანიშვანია, რომ ხსენებული ძეგლი
დანაშრევებისაგან შედგება. მასში ჩვენ
ვხვდებით უძველესი პერიოდის გვა-
როვნული წყობილების გადმონაშთებ-
თან ერთად მონათმფლობელური წყობი-
ლების გადმონაშთებსაც. ძეგლში ეს და-
ნაშრევები მისი ავტორის, როგორც უფ-
ოდალური საზოგადოების გაბატონებუ-
ლი კრისტიანული მსოფლმ-
ხედველობის პრიზმაშია გატარებული.

¹⁾ „ხელმწიფის კარის გარიგება“, ექ. თაყა-
იშვილის რედაქციით, 1920 წ. გვ. 34.

აქტორი მათ იყენებს ფეოდალური
ხელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუ-
ტების განსამტკიცებლად.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ავ-
ტორი ფეოდალური საქართველოს სა-
ხელმწიფო წყობილების სასურველ
ფორმას ისე აგვიშებს, რომ ეს აღწე-
რილობა აბოლუტიზმს შეესაბამება.

ძეგლის პირველი მუხლი ეხება ახალ
შელს მეფის მოკაზმვას: მეფის ჩაცმას
ხელმძღვანელობს მსახურთუხუცესი,
რომელიც რუსულანმა ვეზირად გახადა.
კარის მოხელეების გარდა მეფის ჩაცმა-
ში მონაწილეობს ღებულობს მონადი-
რეთუხუცესი. პირველად მეფეს „ეთა-
ყვანებიან“, შემდეგ მიართმევენ ახალი
წლისათვის განკუთვნილ ტანსაცმელს.
ძეგლში აღნიშნულია, თუ როგორი ფე-
რის უნდა იყოს მეფის გარესამოსელი.
როგორი მკლავები უნდა ჰქონდეს ამ სა-
მოსელს, როგორი უნდა იყოს საყელო.
უემდეგ მოთხოვობილია, რომ თუ ვინ,
ან როგორ ქუდს დახურავს მეფეს. უკვე
მორთულ მეფეს დასვამენ „მაღლა სკა-
მითა, ტაბლას წინ დაუდგამენ და ვე-
ლურის ტახის თავს მოხარულს წინ
დაუდგამენ“. მსახურთუხუცესისა და
მონადირეთუხუცესის გარდა მოხსე-
ნებულია მკერავთუხუცესი და ტყის-
მცველნი, რომლებიც სუფრასთან და-
სხდებიან, ხოლო მეხელადეთუხუცესი,
მონადირენი და სხვა დაბალი მსახურ-
ნი ფეხშე დგანან. ახალ წელთან დაკავ-
შირებული ეს რიტუალი, მეფის მოკაზ-
მვა და სუფრის გაშლა, ველური ტახის
თავი და სხვა პირველყოფილი თემუ-
რი წყობილების გაღმონაშობს წარმო-
ადგენს. ცნობილია, რომ გაბატონებუ-
ლი კლასი ცდილობს გამოიყენოს სიძ-
ლი შარავანდედით მოსილი მამა-
პაპათა ჩვეულება თავისი კლასობრივი
ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში
ძველი დროის ამ გადმონაშთის ასეთი
სახით შემონახვის მიზანი მეფის პირ-
ვნების განდიდების საქმეს ემსახურება.
„ხელმწიფის კარის გარიგების“ მესა-



მე მუხლში საუბარია ნათლისლების დღესასწაულის შესახებ. ამ დღესასწაულის დროს „წესი არის, რომ მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტიანი ყოველივე წავა, დიდი დროშა ააბან“, ჯვარის მტკირთველი სათანადოდ შემოსილი თან ახლავს მეფეს. რომელიც მიუძღვება ხალხს წყლის კურთხევის ადგილზე. შემდეგ მეფის მეთაურობით პროცესია მიემართება ეკლესიაში; დროშას დააყენებენ ეკლესიის კარებთან ვიდრე მეფე ეკლესიაშია; მეფე გამოვა ეკლესიან, დროშაც წინ მიუძღვის. ბოლოს იგი გამართავს დარბაზობას, როგორც „ეპრიანოს, დიდის წესითა, და თუ უმტკრისითა, ვითარუა წესი იყოს“. მეფე მოყვანილი მუხლის მიხედვით საეკლესიო მსახურების ცენტრშია. ის არის ყველაფრის თავი და ბოლო.

მეფის პიროვნებისათვის ღმერთის ატრიბუტების მინიჭება აღმოსავლეთის მონათმფლობელური სახელმწიფობიდან მომდინარეობს; ეს ჩვეულება ბიზანტიაშიც გადმოვიდა მისთვის ქრისტიანული შინაარსის მიცემით და შემდეგში გავრცელდა ქრისტიანულ ფეოდალურ სახელმწიფოებშიც. ეს წესიც მეფის განდილებას ისახავს მიზნად.

ნათლისლების გარდა, ასეთივე როლი აქვს მეფეს აღდგომის დღესასწაულის დროსაც (მუხ. 6.).

მეფის პიროვნების განდილების საქმეს ემსახურება აგრეთვე მეფის ცხოვრების ყოველგვარი დეტალის განსაკუთრებული ყურადღების საგნად გახდომა. ვაზიობის წინ მეფის მოქამდვა ასევე ძეგლში აღწერილი: „აწე ვიწყოთ შეკაზვა მეფისა და ვოქვათ ვეზირობისა რა მეფე შეექმაზოდეს, ტაშტი მსახურთუხუცესმან დაიჭიროს, პირის მანილი მესაწოლეთ-უხუცესმა; წყალი მოლარეთ-უხუცესმა დაუსხას, ტანისა-მოსი მსახურთუხუცესმან ჩაცვას, ლი-ლი მესაწოლეთუხუცესმან შეუკრის.

მუხლთ დაყრით ქუდი მოლარეთ-უხუცესმან მიიღოს“ (მუხ. 35).

ძეგლში დაწვრილებით არის გათვალისწინებული ის რეჟიმი, რომელიც დაული უნდა იქნეს მეფისათვის ღმის განმავლობაში; ღმე მეფის განსვენებისათვის შესაფერის სამზადისს უნდა შეუდგნენ საღამოსვე. ძეგლში ისიც კია გათვალისწინებული „თუ მეფესა ღამით მოწყუროს“, როგორი ჭურჭლით მიართვან სამელი, ან ვინ მიაწოდოს ის (მუხ. 16); თუ სასმელი გასაციებელია, როგორია ის ჭურჭელი, რომელშიაც ყინულს ჩასდებენ, როგორი კოვჭით აიღებენ ყინულს და სხვა (მუხ. 20).

ღამით მეფის საწოლთან და მის გარეთ არიან: კარის დარაჯი, მეკარე, მესაწოლენი და სხვა (მუხ. 16). დილით მეფეს ფარეშთუხუცესი შეეგებება ფარეშებით; მეფის ღამის ტანსაცმელს და ქოშს ამისთვის განკუთვნილ ადგილს ინახავეთ (მუხ. 16). ღამით მეფის მოსვენებით სამსახურს მესაწოლეთუხუცესი განავებს, რომელიც ვაზიობის დროს „საღაროს კარის გამოსავალსა დას“ (მუხ. 38).

როცა მეფე „უკაზმავია“ და თავის საწოლში განისახენებს, მასთან შესვლა უეჭმლით მხოლოდ მსახურთუხუცესსა და ამირეჭიბს (მუხ. 12).

დარბაზობის დროს მოხელეების პატივი იმის მიხედვით განსახლვებება, თუ როგორ შეხვდება მათ მეფე: მაღალ ხელისუფალთა შეხვედრისას მეფემ „ხელი სრულად დასხნეს ნატაქსა ზედა და მომრგვალებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით“, ზოგს „მეფე ნოხა პირსა მოეგებვის და მოესალმოს“, ზოგის შეხვედრისას მეფემ „ნოხსა ზედა მეფე წამოიაროს“ და ა.შ. (მუხ. 24).

ვაზიობის დროს „დაფინოს ორხოვა ფარეშთ-უხუცესმა მომცრი და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მეფე მასზედა“, ვეზირები დასხდებიან პატივის მიხედვით უფრო საპატიო მეფის ახ-



ლოს და ასე შემდეგ (მუხ. 36). დარბაზობა იწყება მეფის ბრძანებით. მოწვეული დასხდებიან იმავე წესით: მეფის მარჯვნივ თუ მარცხნივ, მის ახლოს, უფრო შორს და სხვა. მეფეს საჭმელს მიართოვენ ჭურჭლით, რომელიც ოვალმარგალიტით არის მოჭედილი, ბრძოლის კოვზი მოჭედილი ტარით, „ხალასის თვალი ზედ იყოს“ და სხვა (მუხ. 33). ძეგლი იმასაც აქცევს ყურადღებას, თუ როგორი სამსახური ესაჭიროება მეფეს, როცა ის „აბანოს იყოს“ (მუხ. 17).

„ხელმწიფის კარის გარიგება“ ეხება სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა საკითხებს: დარბაზს, სავაზიროსა და მის ფუნქციებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სასახლის ეტიკეტს და სხვა. მაგრამ საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ის რაც ეხება მეფის პირადი ცხოვრების სხვადასხვა დეტალს, ერთ თანრიგშია მოცემული დარბაზის, სავაზიროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების დახასიათებასთან ერთად. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი სწორედ პირველს აძლევს მეტ მნიშვნელობას.

სამართლის საჯარო და კერძო საწყისების აღრევა საერთოდ დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლისათვის; მაგრამ საჯაროსაგან კერძოს განნახსხვავებული მიზნის მოძებნა მაინც ხერხდება ფეოდალურ სამართლშიც კი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მეფის პიროვნება კი, ყოველმხრივ და ყოველი მიმართულებით ყველაფერს ფარავს, ყველაფერზე მაღლა დგას, ის კულტად არის გამოცხადებული და იმდენად მის საქმიანობაში საჯარო და კერძო აღარ შეიძლება განსხვავებული იყოს. ამასთან ვე „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილი სასახლის ეტიკეტი სავსებით მიემსგავსება აბსოლუტიზმის ეპოქის სასახლის ცხოვრებას. ამ მხრივ სამართ-

ლიანად შენიშნავს აკად. ექ. თაყაიშვილი „კ. გარიგება გვიხატავს სურათს თვით ხელმწიფის კარისა ანუ დარბაზისა და იმ როზულ ეტიკეტისა და ცერემონიებისა, რომელიც არსებობდა ხელმწიფის კარზე, თვითეულს ხელმწიფის ფეხის გადაღმაზე, და რომელიც მოვაკონებს ლიუდოვიკ შეთოთხმეტის კარის ეტიკეტს!“.

ყველაზე უფრო ტიპურად მეფის აბსოლუტური ხელისუფლება ფეოდალურმა საფრანგეთმა მოგვცა, თუმცა აბსოლუტიზმი მათ თუ იმ სახით ცნობილი იყო მთელ რიგ ფეოდალურ ქვეყნებში. კიდევ მეტი: როგორც წესი, აბსოლუტიზმი, როგორც სახელმწიფოს ფორმა, ისტორიულად კანონზომიერია და მას ძირითადად ყველა ხალხი გაივლის, თუ კი ფეოდალიზმი ნორმალური განვითარების შედეგად რღვევის პროცესს განიცდის და მასში ჩასახული კაპიტალიზმის საწყისი ფეოდალურ საზოგადოებასა და სახელმწიფოს დანგრევით ემუქრება.

ამასთანავე საქიროა აღვნიშნოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილი აბსოლუტური მონარქი, ფეოდალური საქართველოს სინამდვილეს არ შეეფერება იმ მხრივ, რომ საქართველოში აბსოლუტიზმი არასოდეს არ ყოფილა. ეს იცის თვითონ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ფეტორმა. სუკანასხველი, როგორც ჩანს, ძლიერ კარგად იცნობს ქართულ საისტორიო წყაროებს, ხშირად ასახელებს მათ; როგორც კარისკაცს და მსხვილ ფეოდალს მას შესწავლილი აქვს საქართველოს მაზინდელი ვითარება, ქართული სახელმწიფო წყობილება. ავტორს მოყავს მემატიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ თამარი, საქართველოს მეფე, სახელმწიფოს მართავდა „ერთნებითა

1. „ხელმწიფის კარის გარიგება“, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 1920 წ., გვ. 35

შვიდსავე სამეფოსა დიდებულთაო“ (მუხ. 30). ამასთანვე „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის დროს მეფეს არ შეეძლო მამული ეწყალობებია ვისმესათვის ამირსპასალარის გარეშე. მამული სამხედრო ბეგარასთან იყო დაკავშირებული, ის იყო ფეოდალური საკუთრების ძირითადი სახე, ფეოდალური ექსალთატაციის საფუძველი და მსხვილი ფეოდალები არ აძლევდნენ მეფეს მამულით შეწყალების უფლებას. მაშასადმე, საქართველოს მეფე სახელმწიფოს განაგებდა დიდებულებთან ერთად. მეფის ხელისუფლება შეზღუდული იყო. ასეთი იყო საქმის ნამდვილი ვითარება გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში.

როგორც ვიცით, რამდენადაც ძეგლში მეფის აბსოლუტური ხელისუფლების იდეებია მოცემული. იმდენად ეს იდეები ავტორის შეხედულებას გადმოგვცემს, ოორეგ საქართველოს სინამდვილეში აბსოლუტიზმი არასოდეს არ ყოფილა. აბსოლუტური მონარქია იქმნება ფეოდალიზმის უკანასკნელ სტადიაზე, როცა ფეოდალური საზოგადოების წილში კაპიტალიზმის საწყისი ღებულობს განვითარებას. ასეთ მდგომარეობას საქართველოში ადგილი არ ჰქონია და მაშასადამე, აბსოლუტური მონარქია საქართველოში არ უნდა ყოფილიყო.

აბსოლუტიზმი ერთგვარი პროგრესული მოვლენა იყო თავის დროს, რამდენადაც ის საბოლოო ჯამში ხელს უწყობდა ახალი საზოგადოებრივ — ეკონომიური ფორმაციის დადგომას. ამიტომ ფეოდალური საზოგადოების მოწინვე, პროგრესული ძალები აბსოლუტიზმის მომხრენი იყვნენ. საზოგადოების ასეთი მოწინავე ნაწილის წარმომადგენე-

ლი უნდა ყოფილიყო ძეგლის ავტორიც. საინტერესოა თუ როგორ წარმოიშვა აბსოლუტური მონარქიის იდეა, ე. ი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორის შეხედულება სახელმწიფოს ასეთი ფორმის შესახებ, როცა საქართველოში აბსოლუტიზმის წარმომადგრად-განვითარების პირობები არ არსებობდა. იდეები, შეხედულებანი კი, იმ შემთხვევაშიც როცა ისინი განსახორციელებლად შორეული მომავლისათვის არიან გათვალისწინებულნი, თავიანთი წარმომადინა თუ არსებობის ასახსნელად საჭიროებენ იმ ეპოქის სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესწავლას, როცა ეს შეხედულებანი წარმომადგრენ და არსებობენ. თვით უტოლიური იდეებიც კი სინამდვილის რამე ასპექტში ნახულობენ ასენას. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორის შეხედულება გარკვეულ ისტორიულ გარემოებაში წარმოიშვა. სამწუხაროდ, საქართველოს ფეოდალური პერიოდის ქალაქები არ არის ისე კარგად შესწავლილი, რომ შესაძლებელი იყოს ამ მიმართულებით სახელმწიფო წყობილების შესახებ მსჯელობა. ქალაქების როლის გამოურკვევლად კი შეუძლებელია აბსოლუტიზმის შესახებ რამე მოსახრების წამოყენება.

მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ XIV საუკუნის საქართველოში, ან უფრო სწორად, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში შეი ხელმწიფის კარის გარიგება“ და აბსოლუტიზმის შესახებ მასში მოცემული შეხედულება წარმოიშვა, მაჩვენებელი უნდა იყოს მაშინდელ საქართველოში აბსოლუტური მონარქიის შესაქმნელად საჭირო ეკონომიური ვითარების წინაპირობების არსებობისა.

ჩინათვების ახალი კანონის მიერთვის საქართველოს განხილვასთან

ზოგიერთი პროცესუალური საკითხი, დაქავშირებული
ქარძო ბრალდების საჭმავების განხილვასთან

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 91, 155, 156 მუხლების, 158 მუხლის 1 ნაწილით, 171-1, 174, 175 და 176 მუხლებში, აღნიშვნის მხოლოდ დაზარალებულის საჩიტოთ და შეიძლება მოისპონ ბრალდებულთან მისი შერიგების გამო.

ამ კატეგორიის საქმეებზე (რომელთაც თეორიასა და პრაქტიკაში კერძო ბრალდების საქმეები ეწოდება) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მიერ დაშვებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს განკარგოს მისი კუთვნილი უფლებები, ე. ი. შეუძლია, მაგრამ არა ვალდებული განახორციელოს ეს უფლებები.

რამდენადაც საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ამჟამად მოქმედი კერძო ბრალდების ინსტიტუტი უფრო საიმედოდ და მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ამასთან არაფრით არ ლახავს საჯარო ინტერესებს, მართებული იქნება მისი შენარჩუნება მოკავში-

რესპუბლიკათა მომავალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

კერძო ბრალდების საქმე, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, შეიძლება მოისპონ დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო, ამასთან შერიგება რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (და მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების) ძალით დაიშვება განჩენის კანონიერ ძალში შესვლამდე, უკრაინის სსრ საპროცესო კოდექსით — მხოლოდ სასამართლოს სათათბიროდ გასვლის მომენტამდე, საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსით კი განაჩენის გამოტანამდე.

უკრაინისა და საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსების პიზიცია უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს. მართებულად მიგვაჩნია რა დებულება დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგებისა და ამის საფუძველზე მის მიერვე აღძრული საქმის წარმოებით მოსპონბის შესაძლებლობის შესახებ, ვფიქრობთ, რომ საქმის მოსპონბას დაზარალებულის შუამდგომლობის თანახმად, აღილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ სასამართლო განაჩენის გამოტანამდე. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმ მოსზრებით არის ნაკარნახევი, რომ საქმის მოსპონბა განაჩენის გამოტანის შემდეგ მავნეა სასამართლოს ავტორიტეტისათვის, მი-

სი განაჩენის ძალისა და მნიშვნელობის განმტკიცებისათვის.

რსფსრ სასამართლო ორგანოების პრაქტიკა მეტყველებს, რომ სწორედ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ იშევება ზეგავლენა დაზარალებულზე იმ მიზნით, რომ აძლევონ იგი შეიტანოს სასამართლოში გახცეადება საქმის მოსპონსი შესახებ. ხოლო ზოგიერთი არაკეთილისინდისიერი დაზარალებული ნგარებითი მოსაზრებით ამ უფლებას პოროტადაც კი იყენებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის ძალით, უკეთუ საჯარო ინტერესების დაცვის მოსაზრებით პროკურატურა საჭიროდ ცნობს ჩაებას საქმეში, შესაძლოა საქმე აღმრული იქნას დაზარალებულის საჩივრის გარეშეც. ამ შემთხვევაში საქმე არ შეიძლება მოისპოს. უკეთუ დაზარალებული ბრალდებულს შეურიცდება.

მართალია, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პროკურატურას კერძო ბრალდების საქმის თავისი ინიციატივით აღმარის უფლება არა აქვს, მაგრამ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენურის 1926 წლის 20 დეკემბრის დადგნილების თანახმად პროკურატურას ნება აქვს აღმარის კერძო ბრალდების საქმე თავისი ინიციატივითაც, დაზარალებულის საჩივრისაგან დამოუკიდებლად, უკეთუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს.


ამრიგად, ზოგიერთ გარემოებათა არსებობისას დაზარალებულის საჩივრი არ წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმის აღმარის ერთადერთ პირობას. ასეთი მოსაზრება დასტურდება მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკათა საპროცესო კანონმდებლობით. ასე მაგალითად, უზბეკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის და თურქმენეთის სსს კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორს, გამომძი-

ებელს და სახალხო სასამართლოს უფლება აქვთ აღძრან სისხლის სამართლის დევნა კერძო ბრალდების ყოველ საქმეზე დაზარალებულის საჩივრის გარეშეც, უკეთუ ცნობენ, რომ საქმეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ფაქტურად ანალოგიური აზრია გატარებული უკრაინის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილში. და ბოლოს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საფუძვლების მე-6 მუხლის „დ“ პუნქტი აწესებს, რომ საქმე, რომელიც კერძო საჩივრით აღიძვრის, შეიძლება აგრეთვე აღძრული იქნას პროკურატურის საკუთარი თაოსნობით, როდესაც იგი ამას საჭიროდ დაინახავს.

ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შეინარჩუნოს აღნიშნული წესი, რასაც უნდა დაემატოს ის, რომ საკუთარი თაოსნობით საქმის აღძრის უფლება ჰქონდეს როგორც პროკურორს, ასევე გამომძიებელსა და სასამართლოს.

სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულის ან მისი ინტერესების წარმომადგენლის გამოუცხადებლობისას კერძო ბრალდების საქმე, სადაც ბრალდებისათვის მხარის დაჭირა დაზარალებულს ეკუთხნის, წარმოებით უნდა მოისპოს, ამასთან სამართლში მიცემულს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის არსებითად განხილვა და ეს მოთხოვნა სასამართლოსათვის სავალდებულოა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლი).

საქართველოს სსრ, აგრეთვე რსფსრ და მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისაგან განსხვავებით უკრაინის, უზბეკეთისა და თურქმენეთის სს საპროცესო კოდექსები ამ საკითხზე



სხვადასხვაგვარ წესს აღგენენ. უზბეკეთის სსრ სს საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის თანამად კერძო ბრალდების საქმეზე სასამართლო მოვალეა შემოწმოს საპატიოა თუ არა დაზარალდებულის ან მისი ინტერესების წარმომადგენლის გამოუცხადებლობა და უკეთუ მათი გამოუცხადებლობის მიზეზი საპატიოდ ჩათვალია, საქმის მოსმენა სხვა დროისათვის უნდა გადაიდოს. მხოლოდ გამოუცხადებლობის მიზეზის დაუდგენლობის ან მისი არასაპატიოდ ცნობის შემთხვევაში სასამართლო მოსპობს საქმეს (უკეთუ მასში პროცერორი არ მონაწილეობს).

უკრანის, უზბეკეთისა და თურქენეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების დადგენილება ამ საკითხე რაციონალურია და იგი გაზიარებული უნდა იქნას სხვა მოვალეობის რესპუბლიკათა სს საპროცესო კანონმდებლობით.

სასამართლო პრაქტიკაში არაიშიათია შემთხვევა, როდესაც ბრალდებული სასამართლოში საქმის განხილვისას გადასცემს სასამართლოს საჩივარს დაზარალდებულის მიმართ და მოითხოვს უკანასკნელის პასუხისმგებაში მიცემას იმ საფუძვლით, რომ მაგალითად ცემას, ცილისწამებას, შეურაცხყოფას და სხვა სახის დანაშაულს, ჩამოთვლილს საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში, ურთიერთ მიყენების ხასიათი ჰქონდა. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია რეაგირების გარეშე დატოვოს შემთხვედრი ბრალდება. იგი ვალდებულია საფუძვლიანად შემოწმოს განცხადება და საკმაო მონაცემების არსებობისას გამოიტანოს დადგენილება დაზარალდებულის სახით გამოწვეული პირის სამართლალში მიცემის შესახებ, მასთან საქმე უკვე ურთიერთ ბრალდების შესახებ მოსმენით უნდა გადაიდოს სხვა დროისათვის, რათა სამართალში ახლად მიცემულ პირს შესაძლებლობა მიეცეს მომენტალოს დაცვისათვის.

იქმნება საკმაოდ თავისებური მდგო-

მარეობა — დაზარალებული ერთსა და იმავე დროს ბრალდებულიცაა, ხოლო ბრალდებული — დაზარალებული და სასამართლოს ორთავეს მიმართ გამოაქვს ერთი საერთო განახენი.

კერძო ბრალდების საქმის განხილვის ასეთი წესი მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი უზრუნველყოფს საქმეზე ჭეშმარიტებისა და ბრალდებულ პირთა დადგენას.

შემხვედრი ბრალდების საკითხის გადაწყვეტაში ყოველგვარი გაუგებრობის აცილების მიზნით სასურველია მომავალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინოს მისი მომწესრიგებელი სათანადო ნორმა. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ერთ წარმოებაში ორი ბრალდების ასეთი გაერთიანება მოქმედი კანონით გათვალისწინებული არ არის; უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის დროებითი წესების მე-5 მუხლს, რომლის ძალით ორი ან რამდენიმე საქმე შეიძლება გაერთიანებულ იქნას ერთ საქმედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ პასუხისმგებაში მიცემულია რამდენიმე პირი ერთსა და იმავე დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, ან ერთი პირი რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

პრაქტიკაში გახვდება შემთხვევები, როდესაც კერძო ბრალდების საქმეზე რამდენიმე ბრალდებული და დაზარალდებულია; უკანასკნელთავან ნაწილი არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე ბრალდებისათვის მხარის დასაჭერად, ან გამოთქვა სურვილი მხარეთა შერიგების გამო საქმის წარმოებით მოსპობისა, ხოლო მეორე ნაწილი ბრალდებას მხარს უკერს. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო? ეს საკითხიც საჭიროა მოწესრიგდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ჩვენის აზრით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო მოსპობს საქმეს მარტო-

ოდენ სამართალში მიცემულის (თუ მიცემულთა) ბრალდების ნაწილში იმ დაზარალებულთა ხელყოფის გამო, რომლებიც არ გამოცხადნენ სასამართლოში არა საპატიო მიზეზით (ან სთხოვეს სასამართლოს საქმის მოსამართა სამართლში მიცემულთა შერიგების საფუძველზე), ხოლო დანარჩენთა მიმართ საქმეს სასამართლო არსებითად განიხილავს.

კერძო ბრალდების საქმეზე ხელყოფა შესაძლოა მიმართული იყოს არასრულწლოვანთა მიმართაც. ისმება საკითხი, უფლება აქვს თუ არა არასრულწლოვანს განახორციელოს ბრალდების სუბიექტის ფუნქციები კერძო ბრალდების საქმეზე, სადაც იყო დაზარალებულად გამოდის? რსთხო იუსტიციის კომისარიატის 1924 წლის №156 ცირკულარის ძალით ასეთ შემთხვევაში საჩივარი სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნას როგორც არასრულწლოვანის მიერ უშუალოდ, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერაც. ამასთან შერიგება ასეთ საქმეზე დაიშვება მარტოოდენ მაშინ, თუ თანხმობას განაცხადებს არასრულწლოვანიც და მისი კანონიერი წარმომადგენელიც.¹ დღემდე ეს საკითხი საკანონმდებლო წესით მოგვარებული იყო მარტოოდენ თურქმენეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (33 მუხლი).

ასეთი წესი სავსებით მართებულია და იყო გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სსრ სს საპროცესო კანონმდებლობითაც.

იურიდიულ ლიტერატურაში სადაო საკითხი დაზარალებულის სიკვდილის გავლენისა კერძო ბრალდების საქმის მსვლელობაზე. მოკავშირე რესპუბლი-

კათა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ამ საკითხს გადაუწყვეტლად, ლიად ტოვებს.

გ. დობროვოლსკაიას აზრით, მამის შესახებ ცილისმწამებლური ცნობების გავრცელება შეიძლება შეიღილის ინტერესებისათვის ძალზე სამიში იყოს და ჭინაღადებას იძლევა სისხლის სამართლის მომავალ საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული იქნას მუხლი, რომელიც ნებას დართავს ცილისწამების საქმეზე წარმოების გაგრძელებას. უკეთუ ამის შესახებ არსებობს გარდაცვალებულის შეიღილის ან სხვა ნათესავის შუამდგომლობა. ავტორი ასეთი წესის დადგენას მოითხოვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცილისწამება უკანასკნელთ უშუალოდ არ შეეხება².

გ. დობროვოლსკაიას მოსაზრებას ვერ დავვთანხმებით. სწორად უნდა ჩაითვალოს პროფ. მ. ჩელცოვის მიერ ამ საკითხზე გამოთქმული აზრი, რომელიც თვლის, რომ კერძო ბრალდების საქმეებზე დევნის უფლება მისი განსაკუთრებით პირადული ხასიათის გამო არ შეიძლება სამეცვიდრეო უფლებათა ობიექტი იყოს და ამიტომ, დაზარალებულის სიკვდილი აქარწყლებს დევნას, უკეთუ საქმეს საზოგადოებრივი ინტერესი არა აქვს.

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში სასამართლომ კერძო ბრალ-

1. С. С. Аскарханов, А. И. Иодковский, Справочник по вопросам судебной практики, 1937, ст. 246.

2. «Социалистическая законность», 1947, № 8.

3. М. А. Челцов, Советский уголовный процесс, 1951 г. стр 102.



ჯების საქმე პროკურატურას უნდა გადაუგზავნოს იმ საკითხის გადასტყუეტებად, არსებობს თუ არა საქმეზე საზოგადოებრივი ინტერესი. რსფსრ უძალენების სასამართლოს პლენურის 1927 წლის 17 იანვრის დადგენილების თანახმად საპროცესო კოდექსის მე-10 პუნქტი ჩამოთვლილი საქმეები, უკეთ მათ არა აქვთ საზოგადოებრივი ინტერესი და პროკურატურამ არ ჩათვალა საჭიროდ საქმეში ჩაბმა, წარმოებით

უნდა მოისპოს დაზარალებულის გარდაცვალების გამო¹.

ამჩინად, ჩეენის აზრით, კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის ნათესავებს თუ სხვა ახლობელ პირთ არ უნდა მიეცეთ უფლება საქმის წარმოების განვირებისათვის დაზარალებულის სიკვდილის შემდეგ, უკეთ ეს საქმე უშენალოდ მათ არ შეეხებათ.

დოც. ბ. ფურცელისიძე.

¹ «Сборник разъяснений Верховного суда РСФСР», 1935 г. стр. 324.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

აქამდე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულს მთელ რიგ საპროცესო უფლებებს ანიჭებდა, ხოლო ახლად მიღებულმა კანონმა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების შესახებ“ უფრო გააფართოვა დაზარალებულის საპროცესო უფლებები. ამასთან, იმავე კანონის მე-16 მუხლი დაზარალებულის ჩვენებას დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევს.

პრაქტიკაში ისეთი მტიმე კატეგორიის საქმეებზე, როგორიცაა ყაჩალობა, გაუპატიურება, სხეულის მტიმე დაზიანება და სხვა, დანაშაულის ფაქტისა ან დამნაშავის პიროვნების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის ჩვენებას.

დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს პირდაპირ და თავდაპირველ დამამტკიცებელ საბუთს, რაღვანაც ხშირ შემთხვევაში საგამომძიებლო ორგანოებში სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მისი განცხადებით და შემდეგ იკრიბება სხვა დამამტკიცებელი მასალები. მაგრამ პრაქტიკაში, როგორც გამოძიების პროცესში, ისე სასამართლო სამსახურო სხდომებზეც ზოგჯერ დაზარალებული სხვადასხვა მოსაზრებით ცვლის თავის ჩვენებას და უარყოფს როგორც თვით დანაშაულის ფაქტს, ისე დამნაშავის პიროვნების მოცემის შესახებ ამასც მონაცემის მოცემის მითით და ასეთ დანაშაულს აკვალიფიცირებენ საქართველოს სსკ 96-ე მუხლით.

დადგენილია. დაზარალებულის ჩვენების ასეთ შეცვლას, როგორც წესი, არა აქვს მნიშვნელობა და იგი გავლენას ვერ მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე, მაგრამ გვხვდება ისეთი საქმეები, რომელშიც სხვა ობიექტური დამამტკიცებელი მასალა ცოტა (ისიც არაპირდაპირი) და უკეთ ასეთ საქმეებზე დაზარალებული შეეცადა ნამდვილი დამნაშავის დაფარვას, ცხადია გამოძიება ვერ შეძლებს გამოიტანოს სწორი დასკვნა ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ, არც სასამართლოს ეძლევა ობიექტური განაჩენის გამოტანის საშუალება.

სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი არც ერთ მუხლში არ ითვალისწინებს ისეთი ქმედობის დასჭადობას, როდესაც დაზარალებულმა გამოძიებაში ან სასამართლოში წინასწარ შეცნობით ტყუილი ჩვენება მისცა. დაზარალებულს მოქმედი კანონი ანგარიშს უწევს და იცავს როგორც ძალადობის მსხვერპლს. მაგრამ პრაქტიკა თავისას აკეთებს — სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში საქმეთა გარჩევის დროს ხშირად დაზარალებულთა მიერ ჩვენების არა სწორად შეცვლას ან ტყუილი ჩვენების მიცემისას მათ პასუხისმგებაში აძლევენ და ასეთ დანაშაულს აკვალიფიცირებენ საქართველოს სსკ 96-ე მუხლით.

ასეთი პრაქტიკა, ჩვენის აზრით, არაა სწორი, ვინაიდან დაზარალებულის მიერ არა სწორი ჩვენების მიცემა არ შეიცავს საქართველოს სსკ 96-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობას. ამ მუხ-

ლის დისპოზიციაში ადგილი უნდა ჰქონდეს სუბიექტის მიერ წინასწარი შეცნობით ტყუილ დაშენას ან ჩვენებას, რაც ანგარებით უნდა იყოს ჩადენილი ან დამატებით განვითარებული საბუთი განვითარებული იყოს შექმნილი. ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილ შემთხვევაში ტყუილ დაშენას, ანგარებით მიცემულ ჩვენებას და დამატებით განვითარებული საბუთის განვითარებული შექმნას კი არა აქვს ადგილი, არამედ დანაშაულის ფაქტი მომხდარია, დაზარალებულიც სახეზე, მაგრამ სსვადასხვა მოსაზრებით დაზარალებული თავს იკავებს ან ტყუილად მიუთითებს სსვა პირზე, რის გამოც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები შეზღუდული არიან საქმეზე მართებული დასკვნები გამოიტანონ.

მაშესადამე, ექვემდებარებულის სხვა შემადგენლობა; კერძოდ, დაზარალებული ტყუილი ჩვენებითა და ჩვენების შეცვლით ფარავს ნამდვილ დამნაშავეს და დანაშაულს, რითაც ხელს უშლის მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალურ მუშაობას, ე. ი. იღენს სოციალისტური მართლმსაჯულების საწინააღმდეგო დანაშაულს.

მეგვარი საქმეები განუწყვეტელ მოგზაურობაშია ქვემდგომ და ზემდგომ ორგანოებას და ინსტანციებს შორის. ზოგჯერ ისინი ისპობიან და ნამდვილი დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან.

ჩვენ აზრს ზემოდმოყვანილ ქმედობის ჩალენისას დაზარალებულის პასუხისვებაში მიცემის აუცილებლობის შესახებ აძლიერებს ის გარემოებაც, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დგას

საკითხი დანაშაულის განუცხადებლობისათვის დაზარალებულის სისხლის სამართლის პასუხისვებაში მიცემაზე იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა განიცადა რა ყაჩალური თავდასხმა, საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე დანაშაულის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს არ განუცხადა.¹⁾

დღევანდელ პირობებში, როდესაც კანონით გამორიცხულია ანალოგიო დამნაშავის პასუხისვებაში მიცემა, სასამართლო პრაქტიკა კანონმდებლობას ავალებს ისეთი ნორმის შექმნას, რომელშიც აუცილებლად გათვალისწინებული იქნება დაზარალებულის პასუხისვებაში მიცემა წინასწარ შეცნობით ტყუილი ჩვენებისათვის.

მართალია, კანონი სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკური სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საუფრვლების შესახებ დაზარალებულის ჩვენებას დამატებით განვითარებულ საბუთად მიიჩნევს, მაგრამ დაზარალებული ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას თვისი მოქმედებისათვის. მიტომ კარგი იქნება თუ კავეებება კანონი, რომელიც დაზარალებულს დასჯის რიცით აიძულებს თავი შეიკავოს ტყუილი ჩვენების მიცემისა და ჩვენების შეცვლისაგან; ეს ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულის აღკვეთასა და აღმოფხვრას.

ი. ღორითლივილი,
თლავის პროცესურატურის გამომძიებელი.

1). ბ. ფურცხვანიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, 1956, გვ. 54, 55.

ბურის აუგუსტის ქადაგები

1694
ივნისი

გერეაზიერი კედები ღანაშაულობათა სათავეა

ჭ. მასენგისერი

ყბადალებული ბურუუაზიული დემო-
კრატია ამერიკად მწვავე კრიზისს განიც-
დის. კაპიტალისტური ქვეყნების მთართ-
ველი წრეები უძლურნი არაან წინა-
დაბურად მართონ უკვე საფუძველშერ-
ყული სახელმწიფო.

ბურუუაზიული დემოკრატიის ფარ-
დის უკან ბევრი უმაგასობა, სიბინძუ-
რე და დანაშაული იმაღლება. კაპიტალის-
ტურ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება
დანაშაული, ხოლო კაპიტალისტური
ქვეყნების შესვეურნი არათუ იბრძვიან
დანაშაულებათა აღსაკვეთად, არამედ
ფარულად ხელსაც კი უშემობენ მას.
რაც პროპაგანდის სხვადასხვა საშუა-
ლებებით ხორციელდება.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუ-
ნის“ წარმომადგენლებთან საუბარში
ამერიკის შეერთებული შტატების გე-
ნერალური პროკურორი უილიამ რო-
ჯერსი იძულებული იყო აღვარებინა,
რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1957 წელთან შედარებით დანაშაულო-
ბათა ჩადენა საგრძნობლად გაიზარდა,
1958 წელი კი დანაშაულობათა საერთო
რიცხვმა სამ მილიონს მიაღწია.


გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა,
რომ დანაშაულობათა 53 პროცენტი ჩა-
დენილია ახალგაზრდების მიერ, რომე-
ლთაც ჯერ 18 წელი არ შესრულებიათ.
31.291 მკვლელობიდან, რომელიც 1957
წელს მოხდა ამერიკის შეერთებულ
შტატებში 3.230 ჩადენილია 16-17 წლის
ასაკის შოთარდების მიერ ყოველმა ორ-

მოცდაშეათე ამერიკელმა, განაცხადა
გენერალურმა პროკურორმა, 1957
წელს თითო დანაშაული ჩაიდინა. ეს
სოციალური სიბოროტე-დანაშაულობა
ამერიკელ ხალხს ყოველწლიურად 20
მილიონი დოლარი უჭდება.

უკანასკნელ 25 წელიწადში ამერიკის
შეერთებულ შტატებში დანაშაულობა-
თა ჩადენა 100 პროცენტით გაიზარდა,
ეს ზრდა კი მსოფლიო რეკორდს წარ-
მოადგენს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მკვლელე-
ბის, ბანდიტების, მძარცველების აზრ-
დის საქმეში მნიშვნელოვანი „ლატლი“
მიუძღვის ბურუუაზიულ კულტურას,
რომელიც მორალური გახრმილებისა
და გალავარების აშკარა გამოსახულე-
ბაა.

მარტო ამერიკაში ყოველწლიურად
ათეული ათასი ტირაჟით გამოდის დე-
ტექტური ხასიათის რომანები, რომლებ-
საც რეკლამას უკეთებს მოსყიდული
ბურუუაზიული პრესა. ამ „ლიტერატუ-
რის“ თემების საილუსტრაციოდ მათი
სათაურებიც კმარა: „როგორ ჩავიდი-
ნოთ მკვლელობა პატუხისმგებლობის
აცილებით“, „სენაციური სიკვდილი“,
„დანაშაული დასჯეს გარეშე“, „დამ-
წყებ მკვლელთა სახელმძღვანელო“,
„მკვდარი საცურაო აუზში“, „სისხლი
მიწვევ“, „როგორ ვითამაშოთ აზარ-
ტული თამაშობანი“, „რა არის მთავარი
მკვლელობისათვის“, „მკვდარი ქალი-
შვილი არ ლაყბობს“, „დამხრჩვალთა



სერენადა“, „სიკედილის პოსპიტალი“, „სამხლიანი კოშაბიი“ და სხვ.

ამერიკას არც საფრანგეთი და ინგლის ჩამორჩება. ინგლისური გაზეთი „ტაიპისი“ ამავ წინათ წერდა, რომ ცნობილი გამომცემლობა „პინგვინი“ შეაპნელივით ისვრს დეტექტურ რომანებს.

ამერიკელი ორაქციონერები ყველაფერს აკეთებდნ იძინათვის, რომ ეს უხამსი დეტექტური რომანები ფართოდ გაზიდონ საზღვარგარეთ და თავს მოახვიონ სხვა ხალხებს.

ინგლისის ბაზარზე ამერიკული ორაქციული და ფერტური წიგნების იმპორტი ინგლერ გაიზარდა. მარტო 1951 და 1952 წელებში ეკრანპასა და აზიაში გატანილი იქნა 28.424 სახელწოდების ფუტექტური წიგნი, რომელიც ხელოვნურად ფასდაკლებით იყიდებოდა.

საზღვარგარეთ ამ „ლიტერატურის“ ფართო პროპაგანდას ეწევა ორაქციული ფურნალი „ჩილეტს და კენტს“, რომელიც 16 მილიონი ტირაჟით გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

ბავშვებისათვის ამერიკაში ყოველწლიურად მილიონიანი ტირაჟით გამოდის ე. წ. „კომიკსები“, რომელიც ყმაწვილებს ბავშვობიდანვე უნერგვენ მისწრაფებას მცველეობისა, ბაზურისა და განაწინილებისაკენ. ამ წიგნების დასათაურება თავისუფლად მეტყველებს მათ შინაარსზე. აი, როგორ წიგნებს კითხულობენ ბავშვები: „ახალგაზიდა დამნაშავენი“, „ნავირობა ალენზე“, „ცნობილი დანაშაული“, „მცველელები“, „ბანდიტი“ და სხვ.

დეტექტური და ბულვარული რომანების გარდა კაპიტალისტური ქვეყნების წიგნის ბაზარზე გამოდის ფაშისტი მოლვაშებისაღმი მიძირებული წიგნები. მაგალითად, 1953 წელს ამერიკაში გამოიკა სერიალური წიგნი „პიტლერის საიდუმლო საუბარი“, საიდანაც ყურ-

ნალმა „ლუკმა“ სასწრაფოდ გადმობეჭდა „რჩეული აღგილები“.

დასავლეთ გერმანიის წიგნის მაღაზიებში ხშირად შეხვდებით წიგნებს: „ტენრობის პიმლერი“, პიტლერის დის მოგონებანი „ჩემი ძმა აღოლფი“, „გებელის მემუარები“ და სხვ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სხვადასხვა გურის დამნაშავეთა მეცნიერულ გათვითკონბიერებასაც არ ივიწყებენ. ამაწინად ინგლისში და ამერიკაში გამოიდა „დამნაშავეთა კარგონის ლექსიკონი“, რომელიც 300 გვერდს შეიცავს. „ლექსიკონი“ შეადგინა სარელატურო კოლეგიამ, რომელშიც შეუძინ სატესალოს მღვდელი და სამუდამო პატიტობისას მცველი ინგლის ტუსალი. კონსულტაციებად იყვნენ ამერიკის სატესალოთა მუდმივი კლიენტები.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაქვეითებას და დაკინებას განიცდის კინოქლოვნება, თეატრი, ფერწერა, მუსიკა, ხელოვნებას ეს დარგები ჩაყენებულია ადამიანის სულიერად დამახინჯებისა და გადავარების, ახალი ომის გაჩაღების სამსახურში.

იშვიათია პოლიცუდის მიერ გამოშვებული ფილმი, რომელსაც სიუჟეტად ძალადობა, მცველელობა არ ქონდეს. აი, პოლიცუდის მიერ გამოშვებული რამდენიმე ფილმი: „სიკვდილის ველი“, „მცველელობა ღამის 12 საათზე“, „მცველელობის კომპანია“, „ქალი, რომელიც მე მოვკალი“, „მცველელობა დღის სინათლეზე“, „მცველელობა ფსიქიატრიულ სახლში“, „გოლიათი მცველი“, „ჩემი შვილი ჭონი“, საღაც ფილმის ემირი დედა კლას თავის ერთადერთ შეიძლ და სხვ.

ამ მხრივ ლიტერატურასა და კინოს არ ჩამორჩება თეატრი. თუ როგორ დაცემისა და განვითარების განიცდის კაპიტალისტურ ქვეყნებში თეატრი, ამაზე მეტყველებს სერთი პიესების დაღმა, საღაც მაყურებელს აწავლიან თუ რო-

გორ შეიძლება ადამიანის მოკველა დანის ერთი დარტყმით. პარიზის დიდი ოპერის თეატრში, რომელიც „მუსიკის ნაციონალური აკადემიის“ სახელშოდებას ატარებს დადგეს ბალეტი „მკედარი მარყუებით“, სადაც ბალეტის მთავარი გმირი მაყურებლის თვალშინ თავს იხრჩობს. ამერიკის ერთერთ დიდ თეატრში კი ნაჩვენები იქნა ბალეტი „მხეცური მკვლელობა მე-10 ავენიუზე“.

ბურუუზიულ ქვეყნებში ახალგაზრდობის შეგნების დაქვეითებასა და მორალურ გასრუწნას, მათში მხეცური ინსტიტების გამომუშავებას ხელს უწყობენ სატელევიზიო და რადიოო გადაცემები. ორგორუ ამერიკული გაზეთი „დეილი ნიუსი“ იუწყება, მარტო 4 დღის გამშვლობაში სატელევიზიო გადაცემებში ნაჩვენები იყო 771 მკვლელობა. მარტო ერთი კვირის განმავლობაში კალს-ანურლოსის სატელევიზიო სადგურშა აჩვენა დაზგებები, ომშლის 72 პროცენტი გათვალისწინებული იყო ბავშვებისათვოს. აქედან ნაჩვენები იყო 585 მკვლელობა, 11 გაჭცევა ცანკილან, აზამიანთა გატაცების 93 შემთხვევა და სხვ.

თუ რამდენად გამხრწნელ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდებზე დეტექტური კინო-ფილმები, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: ამას წინათ პარიზში ახალგაზრდა დამნაშავებს მისცეს საანკეტო შეკითხვები ის მიზნით, რომ გაერკვათ თუ რამდენად მავნედ მოქმედებს ახალგაზრდებზე კინოფილმები. 1069 დაკითხულიდან 172-მა აღიარა, რომ კვირაში სამჯერ მანც დავდივარ კინშიონ. ბევრმა მათვანება აღნიშნა — დეტექტური ფილმები გვირჩევნა და არასოდეს არ დავდივართ და არ ვნახულობთ მულტიპლიკაციურ და დოკუმენტურ ფილმებს. 15 ახალგაზრდამ პირდაპირ განაცხადა, კინოფილმები რომ არა, ჩვენვერ მოვახერხებდათ გაძარცვისა და გაქურდვის ორგანიზაციას.

ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკის

შეერთებული შტატების პრესა, ტელეგრაფი, რადიო სულ უფრო მეტად იძლევა შემაძრშტუნებელ ცნობებს „ლინჩის სასამართლოს“, სისხლიანი დარბევების, უდანაშაულო ადამიანების აწიოკების შესახებ და ყოველივე ეს „უჩინარი იმპერიის ქვეშევრდომთა“ — კუკლუს-კლანის რაინდთა საქმეებია. ამ ორგანიზაციის მიზანია ებრძოლოს ყოჩელგვარ პროგრესულს, დემოკრატიულს, ამერიკელებს შთაგონოს სიძულვილი უცელა არამერიკელი წარმოშობის ადამიანებისადმი.

კუკლუს-კლანელები ფართო მხარდაჭერით სარგებლობენ ამერიკის მმართველ წრებში. მერიკელი მაგნატები უხვად აფინანსებენ ალვირაბსნილ კაცომძულებს.

პორნოგრაფია და მისტიკა, უიმედობა და ადამიანებისადმი სიძულვილი, აირა ახასიათებს კაპიტალისტური ქვეყნების მხატვერობასა და ქანდაკებას.

ამ რამდენიმე წინათ ამერიკის მისყიდული პრესა ხმამაღლა გაყვიროდა ახლადაღმომხრილი „გენიოსი მხატვრებს“ ხამენ ბლუმს შესახებ. და აი ბოსტონში მოწყობ ამ „ახლადაღმომხრილი გენიოსის“ სურათების გამოფენა. რა გამოაფინა მან? გვამები, გვამები, და ისევ გვამები.

ბლუმს გვერდს უმშვენებენ მისი კოლეგები: სალვატორ დალი, მარკ შაგალი, ბერნარდ პირლაინი, სტეფენ გრინი, უოლსტრიტელების ახალგაზრდა კადრი — კლიფტონ რაიტი და სხვ. მათი თემაა უიმედობა და ადამიანებისაღმი სიძულვილი.

ბურუუზიული კულტურის ამ გამხრწნელი ზეგავლენით უნდა აიხსნას ის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში თანაათან ეცემა ადამიანთა საუკუნეობრივი ზეგვეულებანი და ტრადიციები. ცნობილმა ინგლისელმა იურისტმა პ. შოუკრომსა, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ლონდონში ორგანიზაცია „საზოგადოე-

ბრივი მორალის საკითხთა საბჭოს“ ყოველწლიურ სხდომაზე, მოიყვანა ფაქტები, რაც მოწოდებს კაპიტალისტური ინგლისს ზეჩევეულებების დიდ დაცვას. მან მოუწოდა აწარმოონ უაღრესად მტკიცე ბრძოლა პორნოგრაფიული „ლიტერატურის“ წინააღმდეგ, რომლი-

თაც სავსეა ლონდონისა და ინგლისის სხვა ქალაქების ბევრი წიგნის მაღაზია, აგრეთვე ნახევრადპორნოგრაფიული ფილმებით კინოთეატრების ეკრანების აქტების წინააღმდეგ.

ასეთია მოკლედ ის არასახარბიერო სურათი, რომელიც ბატონობს ბურუჟაზიული ქვეყნების სინაზღვილეში.

შეიძლება თუ არა ანაბრის დაყადაღება (შეკვრა) სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სარჩელის უზრუნველსაყოფად?

შეიძლება თუ არა ანაბრის დაყადაღება (შეკვრა) სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სარჩელის უზრუნველსაყოფად?

ანაბრის დაყადაღება (შეკვრა) და მასზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება მხოლოდ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების იმ დადგენილების საფუძველზე, რომელიც გამოტანილია მათ წარმოებაში მყოფი სისხლის სამართლის საქმეების ან სისხლის სამართლის საქმეებიდან გამომდინარე სამოქალაქო სარჩელების გამო.

შეუძლია თუ არა სასამართლოს მისწარმოებაში მყოფ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით მოითხოვოს ცნობები მეანაბრეთა და მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შესახებ?

კანონით დაცულია მეანაბრეთა და მათ მიერ წარმოებული ოპერაციების საიდუმლოება. ცნობები მეანაბრეთა და მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შესახებ მიეცემათ მხოლოდ მეანაბრეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოებს მათ წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეების გამო.

შეიძლება თუ არა დაკავშირებულდეს ერთი შეუღლის მოთხოვნა მეორის მიმართ ანაბრის გაყოფის ან მასზე გადახდევინების მიქცევის შესახებ?

სახელმისათხო ანაბრის ითვლება მეანა-

ბრის პირად საკუთრებად და მისი განმკარგულებელი არის მხოლოდ ის პირი, რომლის სახელზედაც მიღებულია ანაბრი, ხოლო წარმდგენელზე შეტანილი ანაბრი ითვლება იმ პირის პირად საკუთრებად, რომელიც წარადგენს ანაბრის საბუთს „წარმდგენელზე“. ამის გამო ერთი მეუღლის მოთხოვნა მეორეს მიმართ ანაბრზე გადახდევინების მიქცევის ან ანაბრის გაყოფის შესახებ იმ მოტივით, რომ სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბრი წარმოადგენს ქორწინების პერიოდში საერთო შრომით შეძენილ ქონებას, არ შეიძლება დაკავშირებული იქნეს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა ანაბრზე გადახდევინების მიქცევის. ან ანაბრის გაყოფის შესახებ დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალში შესულ განაჩენზე, მაგალითად, ბოროტი განზრახვით თავის არიდება სასამართლოს მიერ შეიღების სარჩენად გადაწყვეტილი თანხის გადახდისაგან, მეუღლის ქონების მითვისება და სხვ.

შეიძლება თუ არა ანაბრი მემკვიდრეობის წესით გადაეცეს ისეთ პირს, რომელიც მეანაბრის მემკვიდრედ არ ითვლება?

მეანაბრეს უფლება აქვს წერილობითი ფორმით მიუთითოს ის პირი ან პირნი, რომლებსაც ანაბრი უნდა მიეცეს მეანაბრის გარდაცვალების შემთხვევაში. ასეთი წერილობითი ფორმის საან-



დერძო განკარგულებით ანაბარი შეიძლება მიეცეს ყოველ პირს, დამოუკიდებლად იმისა, მემკვიდრეობი გიგი მეანაბრისა თუ არა, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამასთან მეანაბრეს უფლება აქვთ თავის სიცოცხლეში შესცვალოს ან გაუქმოს საანდერძო განკარგულება.

ის ანაბარი, რომლის შესახებ არსებობს წერილობითი საანდერძო განკარგულება სამკვიდრო ქონების შემაღენლობაში არ შედის და მასზე არ გავრცელდება მემკვიდრეობის სამართლის ნორმები; ხოლო თუ მეანაბრეს წერილობითი საანდერძო განკარგულება არ გაუკეთებია, ანაბარი მეანაბრის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობის წესით გადაეცემა მის მემკვიდრეებს საერთო საფუძველზე.

გადაეცემა თუ არა ანაბარი ანაბრის მიმღები პირის მემკვიდრეებს თუ ანაბრის მიმღები პირი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე?

თუ ანაბრის მიმღები პირი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე (ჩეანაბრის გარდაცვალებამდე) ანაბარი მემკვიდრეობის წესით გადაეცემა მეანაბრის მემკვიდრეებს საერთო საფუძველზე. ხოლო თუ ანაბრის მიმღები პირი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ ანაბარს მიიღებენ არა მეანაბრის მემკვიდრეები, არამედ ანაბრის მიმღები პირის მემკვიდრეები.

რა საფუძველზე გაიცემა ანაბარი მეანაბრის გარდაცვალების შემთხვევაში?

მეანაბრის გარდაცვალების შემდეგ ანაბარი მიეცემა იმ პირს, რომელიც საანდერძო განკარგულებაში არის მოხსენებული. მოთხოვნის უფლება რაიმე ვალით არ არის შეზღუდული.

საანდერძო განკარგულებაში მოხსენებულმა პირმა შემნახველ სალაროში ანაბრის მისალებად უნდა წარადგინოს გარდაცვალებული მეანაბრის შემნახველი სალაროს წიგნაკი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს, სასოფლო ან სადაბო საბჭოს მოწმობა მეანაბრის გარდაცვალების შესახებ და პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პასპორტი ან პასპორტის შემცვლელი დოკუმენტები).

სანოტარო წესით გაფორმებული საერთო ანდერძის საფუძველზე ანაბრის მისალებად მემკვიდრემ შემნახველ სალაროში უნდა წარადგინოს ანდერძი და სანოტარო წესით გაფორმებული მემკვიდრეობის მოწმობა. მეანაბრის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ანაბარი, რომელზედაც საანდერძო განკარგულება არ არსებობს, გადაეცემა მეანაბრის კანონით მემკვიდრეებს, ამასთან ანაბარი არა უმეტესი 300 მანეთის თანხისა, მიეცემა მემკვიდრეებს მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარმოუდგენლად, ხოლო 300 მანეთზე მეტი თანხის ანაბარი — სანოტარო წესით გაფორმებული მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

თუ გარდაცვალებულ მეანაბრეს არ დარჩენია კანონით მემკვიდრეები ან ანაბრის მიმართ არ არსებობს საანდერძო განკარგულება, ანაბარი სანოტარო წესით გაცემული ბეითალმანობის მოწმობის საფუძველზე საფინანსო ორგანოების მოთხოვნით ჩაირიცხება ბიურგეტის შემოსავალში.

რა დროის განმავლობაში მოიყვანება სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის თანხმად სასამართლოს აღმასრულებელი შეუდგება გადაწყვეტილების აღსრულებას გადამხდევინებლის სიტყვიერი ან წერილობითი განცხადებით ანდა სასამართლოსა და გამომძიებ-

ლის განკარგულებით, უკეთუ გადაწყვეტილებას ძალა არ დაუკარგავს იმის გამო, რომ გასულია ვალა: ერთი წელი-სახელმწიფო საწარმოებსა, დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დავათა გამო

და სამი წელი — ყველა სხვა დაუბოლებომ.

ამასთან, სასამართლოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია აღადგინოს გაშვებული ვალა და გადაწყვეტილება წარმართოს აღსრულებისათვის.

ენგრელი პროფესიის ღერძის ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისში რამდენიმე დღეს სტუმრად იყო ბუდაპეშტის უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლის კათედრის გამგე პროფესორი ლასლო ნევაი. იგი გაეცნო იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობას, დაინტერესდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მდგრადობით.

პროფ. ლასლო ნევაიმ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელისათვის წაკითხა ლექცია თემაზე:

„სასამართლო წარმოება აღმინისტრაციული საქმეების თაობაზე“. პროფ.

ლ. ნევაის მიერ წაკითხულ ლექციაში საგნის ღრმა ცოდნით, მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებიდან დახსაიათებული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი—სასამართლო წარმოება ზოგიერთ აღმინისტრაციულ საქმეთა მიმართ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული აღმინისტრაციული პროცესი, პროფ. ლ. ნევაის სამართლიანი აღნიშვნით, ეს არის სახელმწიფო მმართველობის სრულყოფილად განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, ექმარება მოქალაქეებს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში, რომლებიც აღმინისტრაციულ ორგანოთა მოღვაწეობას ეხება. ამ ვზით მოქალაქეების უფ-

ლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები წყდება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და კანონით დადგენილი პროცესუალური წესების დაცვით. კანონიერების დაცვისათვის სახელმწიფო ორგანოების მხრივ არა მარტო მატერიალური ნორმების დაცვაა საჭირო, არამედ აუცილებელია პროცესუალური ნორმების დაცვაც. სწორედ იმ პროცესუალური ნორმების გამოყენება სახელმწიფო ორგანოთა მოღვაწეობის დროს, რომლებიც განსხვავდებიან მატერიალური ნორმებისაგან, ქმნიან აღმინისტრაციულ პროცესს.

სოციალისტურ უნგრეთში აღმინისტრაციული პროცესის განხორციელება გაადვილებულია ქვეყნის ერთიანი სოციალ-ეკონომიკური საფუძვლით, სახოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესების ჰარმონიული შეხამებით. ამ მიზნისათვის შექმნილი აღმინისტრაციული პროცესი პრინციპულად უპირისისპირდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ „აღმინისტრაციულ იუსტიციას“. ლექციაში პოლიტიკური სილრმითა და სიმახვილით იყო დახსაიათებული ბურჟუაზიული ქვეყნების აღმინისტრაციული იუსტიციის ჩაქციული არსი. იგი გამოიხატება ტენდენციაში, რაც შეიძლება მეტად შეზღუდონ, შეკვეცონ ჩვეულებრივი, საერთო სასამართლოების კომპეტენცია ვანცალკევებული აღმინი-

სტრაციული სასამართლოების შექმნის ხარჯზე; ამ ტენდენციას ცენტრალური ხელისუფლების თვითნებობის გაძლიერებისაკენ მივყევართ.

ბურუუაზიულ ქვეყნებში საერთო სასამართლოები გარეგნულად მაინც ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, მაშინ როცა აღმინისტრაციულ სასამართლოებს დამოუკიდებლობის ეს გარეგნული სახეც დაკარგული ქვთ.

თუ ბურუუაზიულ ქვეყნებში აღმინისტრაციულ სასამართლოებს დემოკრატიის შეზღუდვის აშკარა რეაქციული მიზანი აქვთ დასახული, სოციალისტურ სახელმწიფოს პირობებში აღმინისტრაციული პროცესი დემოკრატიის ყოველმხრივ გაშლისა და კანონიერების განმტკიცების ამოცანას ემსახურება.

ლექციაში სრულად იყო დახსინათებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1957 წლის 9 ივნისს მიღებული კანონი „აღმინისტრაციული პროცესის ზოგადი დადგენილებების შესახებ“. ეს კანონი მიმართულია სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისაკენ, მშრომელთა კანონიერი ინტერესების სრული გარანტირებისაკენ.

აღმინისტრაციული პროცესი სახესხვაობაა სამოქალაქო სამართლებრივი პროცესისა და აღმინისტრაციული საქმის ზოგიერთი თავისებურებებიდან გამომდინარე იგი არ არის განსაკუთრებული წარმოება სამოქალაქო პროცესის წესით, იგი განსხვავდება საქმეების განხილვის იმ წესისაგან, რაც აზიტორაშია. აღმინისტრაციულ პროცესის შესახებ კანონმდებლობა არ ვრცელდება სამართლის დარღვევიდან წარმოშობილ საქმეებზე, ურთიერთობაზე, რომელიც შრომის კოდექსით არის მოწესრიგებული, აგრეთვე სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. ასეთი გამონაკლისი დაშვებულია ზემოთ დასახელებულ ურთიერთობათა სპეციფიურობიდან გამომდინარე, რაც პრო-

ცესუალური ნორმების სპეციალურ სისტემის თხოულობს. 1957 წლის 9 ივნისის კანონმდებლობის მოქმედება არ ვრცელდება იმ აღმინისტრაციულ საქმეებზე, რომელმშიც აღმინისტრაციული ორგანო დაქვემდებარების ჩარჩოებში მოქმედებს. მიუხედავად ამ გამონაკლისებისა, მეტად ფართოა აღმინისტრაციული პროცესის შესახებ კანონის მოქმედების სფერო. აღმინისტრაციულ პროცესზე ისეთი საქმეები დაისხება, რომელთა განხილვის მსვლელობაში აღმინისტრაციული ორგანო ადგენს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, აღასტურებს რაიმე მონაცემს, ანდა ახორციელებს რეგისტრაციას. მართალია, 1957 წლის 9 ივნისის კანონი ძირითადად პროცესუალურ საკითხებს არეგულირებს, მაგრამ მასში ამასთან ერთად მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიც არსებობს. აღმინისტრაციული საქმე აღიძრება ოფიციალური ორგანოს ინიციატივით, ანდა კიდევ დაინტერესებული მხარის მიერ. პროცესის დროს გამოყენებულია ის წესები, რაც არსებითად ემთხვევა ჩვეულებრივ სასამართლო პროცესს. განცხადების შეტანა, ოქმის შედგენა, სასამართლოს მიერ საქმის ფაქტური გარემოების გამორჩევა, მოწმის დაკითხვა, ექსპერტის გამოთხოვა და სხვ.

კანონი უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის გასაჩინორების უფლებას. როგორც წესი, პირველ ინსტანციაში გამოტანილ ყველა გადაწყვეტილების გასაჩინორება შეიძლება შეორებულ ინსტანციაში. საჩივარში შეიძლება ახალი გარემოებებისა და დამატებიცებელი საბუთების დასახელება. მეორე ინსტანციის ორგანოებია: საბჭოების ორგანოებისათვის აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილების მიმართ უშუალოდ ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტი, ანდა მინისტრთა საბჭო. აღმასრულებელი



კომიტეტის თავმჯდომარეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისათვის — უშუალოდ ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტი, ანდა მინისტრთა საბჭო. აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე — უშუალოდ ზემდგომი სპეციალური ორგანო და ა. შ.

გართალია, 1957 წლის 9 ივნისის კანონი არ უშვებს მეორე ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, უარის შემთხვევაში მოქალაქის საჩივარი განიხილება, როგორც მშრომელთა მიერ განცხადების წესით შეტანილი საჩივარი.

მეტად მნიშვნელოვანია აღმინსტრაციული და სასამართლო ორგანოების უფლებამოსილების თანაფარდობის საკითხი. ჯერ ერთი, სასამართლოს განმარტება, რომელიც იდგენს ან უარყოფს კომპეტენციის არსებობას აღმინსტრაციული ორგანოსათვის, სახელმძღვანელო მნიშვნელობასაა.

კანონის დარღვევის შემთხვევაში სათანადო ნორმის არსებობის დროს შეიძლება აღმინსტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში. 1957 წლის 9 ივნისის კანონის 57-ე მუხლის ძალით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრებული იქნას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებში მონაცემების: დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების ჩაწერის, ანდა გადასწორების შესახებ, აღმინსტრაციული პროცესის დროს ყადაღადადებული ქონების გაცემის თაობაზე აღმინსტრაციული ორგანოს უარყოფითი პასუხი. ამ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია რეკომენდაცია მისცეს აღმინსტრაციულ ორგანოს შესცვალოს გადაწყვეტილება.

სასამართლოში გასაჩივრდება აღმინსტრაციული ორგანოს გადაწყვეტილე-

ბა ანდა ორდერი საცხოვრებელი სახლის ან მისი ნაწილის დაკავების შესახებ, ბინის გაცვლის თაობაზე გამოტანილი უარყოფითი პასუხი, აგრეთვე მიწათმოწყობის ზოგიერთი საკითხი, გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო გააუქმებს აღმინსტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებას და აუცილებელია საქმის ახალი განხილვა, აღმინსტრაციული ორგანო ვალდებულია თავიდან განიხილოს იგი და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა აღმინსტრაციული ორგანოსათვის, რომელმაც ამ გადაწყვეტილების მიხედვით უნდა იმოქმედოს.

კანონიერების განმტკიცების საქმეში 1957 წლის 9 ივნისის კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროცესურობის პროცესტს. პროცესურობის შეუძლია განაცხადოს პროტესტი ყოველგვარი ფორმალური შეზღუდვის გარეშე. აღმინსტრაციული ორგანო ვალდებულია აღმოფხვრას კანონის დარღვევა. თუ კი აღმინსტრაციული ორგანო დაუსაბუთებლად ჩათვლის პროცესურობის პროტესტს, იგი სათანადო მასალებთან ერთად 8 დღის განმავლობაში პროტესტს უგზავნის ზემდგომმა ორგანომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესურობის პროტესტთან დაკავშირებით 30 დღის განმავლობაში და აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ პროცესურობს.

1957 წლის 9 ივნისის კანონი საგანგებოდ ითვალისწინებს ნაკლოვანებათა და შეცდომების გამოსწორების მიზნით გამომელთა მასების ფართოდ ჩაბმას

ქვეყნის სახელმწიფო ბრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. ამასთან გათვალისწინებულია კრიტიკის ჩამხშობთა, ბიუროკრატთა, აგრეთვე იმ პირთა პასუხისმგებლობა, ვინც ცილისმწამებლურად შეურაცხვონფს პატიოსან მოქალაქეთა ღირსებას.

პროფ. ლასლო ნევაის შეხედულებით, უკრაინის სსრ-ში 1927 წლიდან აღმინისტრაციული კოდექსის არსებობა, უნგრეთის გარდა აღმინისტრაციული პროცესის შესახებ კანკონდებლობის განვითარება ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, აგრეთვე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, უპირველესად კი საბჭოთა

აღმინისტრაციული სამართლის სპეციალისტთა შინადაბებანი ამ დარგში, ადასტურებენ იმას, რომ აღმინისტრაციული პროცესის შესახებ კანკონდებლობის შემუშავება სასარგებლო და საჭირო საქმეა.

დასასრულ პროფ. ლასლო ნევაი შეეხო სამოსამართლო სამართლის შექმნის საკითხს სოციალისტური სამართლის ერთიან სისტემაში.

პროფ. ლასლო ნევაის ლექციაში, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი, მეტად ცხოველი მეცნიერული ინტერესი გამოიწვია.

გაზეთ „საბჭოთა მიზიციელის“ 30 ნერი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს ორგანოს გაზეთ „საბჭოთა მილიციელს“ 30 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით თბილისის მილიციის სამმართველოს კლუბში ჩატარდა გაზეთის რედაქციის მუშაკთა, კორესპონდენტთა და მკითხველთა საზეიმო კრება.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსმა მილიციის მესამე რანგის კომისარმა გ. შელიაშვილმა.

„საბჭოთა მილიციელის“ 30 წლისთვის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთის რედაქტორმა გ. პაპიაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ მილიციის პოლკოვნიკი ნ. გორდეზიანი, პოლკოლკოვნიკი ა. ჯანელიძე, „საბჭოთა მილიციელის“ რედაქციის ყოფილი მუშაკი

რ. ჩაჩინიძე, მილიციის ზემდეგი მაღლაკელიძე და სხვ.

შემდეგ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალ-მაიორმა ი. ლარიბაშვილმა დაახასიათა რა გაზეთ „საბჭოთა მილიციელის“ როლი და ამოცანები მილიციის მუშაკთა პირადი შემადგენლობის კომინისტურად აღზრდის, სისხლის სამართლის დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში, მხურვალედ მიულოცა დამსწრეთ გაზეთის არსებობის 30 წლისთვის და აღნიშნა, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით „საბჭოთა მილიციელის“ რედაქტორი გ. პაპიაშვილი და მისი მოადგილე შ. ჯანუაშვილი დაჭილდოებული არიან მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაც

ვის საქმეში წარჩინებული სამსახური-სათვის“, ხოლო რედაქციის დანარჩენ მუშაკებს და აქტიურ კორესპონდენ-ტებს საქართველოს სსრ შინაგან საქმე-

თა მინისტრის ბრძანებით გამოეცხა-დათ მადლობა, აგრეთვე მიეცათ ფულა-დი პრემიები და ფასიანი საჩუქრები.

სასწავლო-გათოდური კონვენცია

ამ რამდენიმე ხნის წინ საბჭოთა კავ-შირის პროკურატურის ინიციატივით ქ. თბილისში ჩატარდა სამი მოქმედ რეს-პუბლიკის აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პროკურატურის მუ-შაკთა სასწავლო-მეთოდური კონფერენ-ცია, რომელიც მიეძღვნა სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვაზე სა-პროკურორო ზედამხედველობის სა-კითხს. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ პროკუ-რორი მ. თოფურიძე.

კონფერენციის მონაწილეებმა მოის-მინეს სსრ კავშირის გენერალური პრო-კურორის 1955 წლის 10 დეკემბრის ბრძანების „სამოქალაქო საქმეთა სასა-მართლო განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესა-ხებ“ შესრულების საკითხზე საქართვე-ლოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრო-კურატურის სამოქალაქო საქმეთა სასა-მართლო განხილვაზე ზედამხედველო-ბის განყოფილების უფროსების ვ. ასიე-შვილის, ა. სტეფანიანისა და ფ. ფატა-ლიევის მოხსენები. კამათში მონაწილეობა მიიღეს ქ. ბაქოს პროკურორის მოადგილემ მ. მელედევემა, საქართვე-ლოს სსრ პროკურატურის განყოფილე-ბის პროკურორმა გ. ცირმუამ, ქ. ერ-ევნის პროკურორმა დ. სიმონიანმა, ნახ-ჩევანის ასსრ პროკურორმა ს. აკეროვ-შა, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თა-ნაშემწებ შ. ჩერქეზიამ.

როგორც მომხსენებლებმა, ისე კამათ-ში გამოსულმა ამხანგებმა კონფერენ-ციის მონაწილეთ დაწვრილებით გააც-ნეს მათ სამუშაო უბნებზე აჩსებული

მდგომარეობა სამოქალაქო საქმეთა სა-სამართლო განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის ხაზით.

მეორე საკითხზე მოხსენებით „სასა-მართლო საპროკურორო პრაქტიკა იურიდიული ფაქტების დადგენის შესა-ხებ“ გამოვიდა სსრ კავშირის პროკურა-ტურის განყოფილების პროკურორი ალექსანდრა კრიაზევა. ჩვევ საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდა ნახჩევანის ასსრ პროკურორი ს. აკეროვი.

დიდი ინტერესი გამოიწვია იგრეთვე ამხ. ა. კნიაზევს მოხსენებამ, რომელიც მიეძღვნა საკითხს „სამუშაოზე აღდგე-ნის შესახებ საქმეთა განხილვის კანონი-ერებაზე საპროკურორო ზედამხედვე-ლობა“, თანამოხსენებით გამოვიდნენ ქ. ერევნის პროკურორი დ. სიმონიან და ქ. თბილისის პროკურორი ა. პაიჭაძე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაც-ხოველებული კქმათი, რომელშიც მონა-წილეობა მიიღეს ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურორმა გ. ბარამიძემ, აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეობის კვანტრიშვილმა, ქ. კიროვაბაღის პრო-კურორის მოადგილე ბ. ახმელოვმა, ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. უღენტემა, საქ. სსრ პროკურორის განყოფილების პრო-კურორმა შ. შარაშენიძემ და სხვებმა.

მოხსენება საკითხზე „ბინიდან მოქა-ლაქეთა გამოსახლების შესახებ სასამა-რთლო-საპროკურორო პრაქტიკა“ გა-აკეთა ქ. ბაქოს პროკურორის მოადგი-ლემ მ. მელედევემა. ამავე საკითხს შე-ეხენ აჭარის ასსრ პროკურორის თანა-

შემწე ლ. კვანტრიშვილი და ქ. ქუთაი-
სის პროკურორი ა. ულენტი.

„სოციალისტური საკუთრების მტა-
ცებლობით მიყენებული მატერიალური
ზარალის ანაზღაურების შესახებ“ მოხ-
სენება გააკეთა ქ. კიროვაბადის პროკუ-
რორის მოადგილემ მ. ახმედოვმა.

სამი მოძმე რესპუბლიკის პროკურა-

ტურის მუშაკთა სასწავლო-მეთოდური
კონფერენცია, რომელიც სამ დღეს გაგ-
რდელდა, ჩატარდა მაღალ იდეურ დო-
ნებე.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სა-
ქართველოს სსრ პროკურორის მოადგი-
ლემ ამს. ა. გიგაურმა.

საქართველო პრაეტონი

სისხლის სამართლის საქმეებზე

განმეორებით ჩადენილი წვრილმანი სპეცულაცია ექვემდებარება საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 142-1 მუხლით კვალიფიკაციას

ქ. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 15 იანვრის განჩენით რ. ბ-ას მიესაჭა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით „წვრილმანი სპეცულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 3 თებერვლის დადგენილებით განაჩენი ბ-ას მიმართ დატოვებული იქნა ძალაში.

ბ-ას მსჯავრი დაედო მასში, რომ ის ეწეოდა წვრილმან სპეცულაციას — 1958 წლის 21 დეკემბერს დაკავებული იქნა იმ დროს, როდესაც ყიდდა მიმაკციის ყელსახვევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს განაჩენისა და უმცილესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება ბ-ას მიმართ და საქმის წინასწარ გამომიებაში დაბრუნება დანაშაულებრივი ქმედობის საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 142 მუხლით დაკავალიფიცირების შესახებ.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 9 მარტის დადგენილებით დააკმაყოფილა პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და ბ-ას საქმე დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით „წვრილმანი სპეცულაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კვალიფიკაციას ექვემდებარება პირველად ჩადენილი წვრილმანი სპეცულაცია, ხოლო თუ იგი ჩადენილია განმეორებით, მაშინ დამაზავის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 142-ე მუხლით. მსჯავრდადებული ბ-ა კი არ ეწეოდა რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სისტემატურად ყიდულობდა და ყიდდა მოგების მიზნით სამრეწველო საქონელს, 1958 წლის აგვისტოს თვეში იგი მსჯავრდადებული იყო წვრილმანი სპეცულაციისათვის.

მოტოციკლეტის მართვის დროს მოძრაობის წესების დარღვევა, რასც შედეგად მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 მუხლის I ნაწილით.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 4 მარტის განაჩენით ი. ღ-ს საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 144-ე მუხლის I ნაწილით მიესავა ექვსი წლით თავისუფლების აღვეთა აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგის მიერ ძალაში იქნა დატოვებული.

ღ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1958 წლის 1 იანვარს მართავდა რა საკუთარ მოტოციკლეტს განავითარა გადაჭარბებული სისწრაფე და გზის მარცხენა მხარეს დააჭარა მოქალაქე ღ-ს, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა.

სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს კოლეგის დადგენილება ღ-ს საქმეზე გააპროტესტა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ და მოითხოვა ღ-ს დანაშაულებრივი ქმედობის დაკვალიფირება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 მუხლის 1 ნაწილით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააქმაყოფილა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი და 1959 წლის 2 მარტის დადგენილებით ღ-ს მიმართ საქმე ს. ს. კოდ. 144-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდების ნაწილში წარმოებით მოსპო; მისი ქმედობა დაკვალიფირისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 მუხლის 1 ნაწილით და სასკელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღვეთა სამი წლის ვადით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ მოტოციკლეტი მიეკუთვნება მოტორიზებული ტრანსპორტის ერთ-ერთ სახეს და მოტოციკლეტის მძღოლიც მოძრაობის წესების დარღვევისას საფრთხეში აყენებს მოქალაქეთა სიცოცხლეს, რის გამოც ამ სახის ტრანსპორტი გათანაბრებული უნდა იქნეს ავტოტრანსპორტთან.

სხეულის დაშავება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნობად, თუ იგი არ არის ჩადენილი საზოგადოებისადმი აშკარა უატივცემლობით.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ი. გ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 155-ე მუხლით და 75-ე მუხლის I ნაწილით. 155-ე მუხლით მიესავა 8 თვით შრომა-გასწორებითი მუშაობა სამუშაო ადგილზე მოხდით, ხოლო 75-ე მუხლის I ნაწილით ერთი წლის ვადით პატიმრობა. საბოლოოდ მოსახდელად დატოვა ერთი წლით პატიმრობა.



აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ დატოვებული იქნა დალაში.

გ-ძე განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ მაში, რომ 1958 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 10 საათზე თავის საცხოვრებელ სახლში ჩაიდინა ხულიგნობა, სცემა თავის ყოფილ ცოლს ე. ბ.-ს, რომელსაც სხეულის მსუბუქი დაზიანება მიყენდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი და 1959 წლის 16 მარტის დადგენილებით ს. ს. კოდ. 75-ე მუხლის ნაწილში გ-ძის მიმართ საქმე ჭარბოვბით მოსპონ იმის გამო, რომ გ-ძის მიერ თავის ყოფილი ცოლისადმი სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენება მოხდა თვით გ-ძის ბინაში, რაც შედეგი იყო განჭორწინებულ მეუღლეთა შორის არსებული უსიამოენებისა და რომ მხავრდადებულ გ-ძის მოქმედება არ ატარებდა საზოგადოებისადმი ან მეზობლებისადმი უპატივცემლობის ხასიათს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენურმის 1939 წლის 29 აპრილის დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, ისეთი მოქმედების, როგორიც არის ცემა, სხეულის მძიმე ან მსუბუქი დაშავება, შეურაცხყოფა და ა. შ. ხულიგნობად დაკვალიფიცირება შეიძლება დაიშვას მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ ეს მოქმედება ჩადენილია საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობით და არა მაშინ, როდესაც მას საფუძვლად ედევა მოტივი, რაც დაკავშირებული იყო ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის პირად ურთიერთ დამოკიდებულებასთან.

განზრას მკვლელობის არასწორი კვალიფიკაცია

1958 წლის 10 აგვისტოს დ-ს და ა-ს მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის დროს მოუვიდათ ჩხეუბი. ა-მ დ-ის მიმართ გამოიყენა ფიზიკური ძალადობა, სცემდა მას ხელით, ფეხით და მიუხედავად დ-ის ხევწნისა არ დაანება თავი, აგინებდა და ცდილობდა მის დახრჩობას. ამის შემდეგ მოთხინებიდან გამოსულმა დ-მ დანით მიაყენა ა-ს მძიმე ჭრილობა, რის შედეგად ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

სიღნალის რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 144 მუხლის „ა“ პუნქტით დ-ს მიუსავა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა.

სახალხო სასამართლოს განაჩენზე და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებაზე რესპუბლიკის პროკურორის მოადგილებ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა დ-ის ქმედობის დაკვალიფირება საქართველოს სსრ ს. ს. კოდ. 146-ე მუხლით, ნაცვლად 144-ე მუხლისა და სასჯელის ზომად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა პროტესტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დ-ის მიერ ა-ს მკვლელობა ჩადენილი იყო ძლიერი სულიერი აღლვების შედეგად, რაც გამოშვეული იყო დაზარალებულის უკანონო მოქმედებით და მიმდინარე წლის 16 მარტის დადგენილებით დ-ის ქმედობა დაკვალიფიცირა საქართველოს სსრ ს. ს. კ. 146-ე მუხლით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით.

სასამართლო ვალდებულის სასქელის სახე და ზომა განსაზღვროს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით.

ქ. სამტრედის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 25 ნოემბრის განახენით ლ-ს საქართველოს სსრ სსკ 19—142-ე მუხლით მიუსაგა ხუთი წლით თავისუფლების ოლკეთა, რაც სსკ 48-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირა სამი წლით და მოსახდელად დაუტოვა ორი წლის ვადით თავისუფლების ოლკეთა.

ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მოგების მიზნით შეისყიდა 480 კილოგრამი მსხალი, რაც მას მიქონდა ქ. ლენინგრადში გასაყიდად, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა იმის გამო, რომ დაკავებული იქნა რკინიგზის სადგურზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგის მიერ განახენი ლ-ს საქმეზე დატოვებულ იქნა ძალაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს განახენში და უმაღლესი სასამართლოს კოლეგის დადგენილებაში ცვლილების შეტანა და ლ-ს მიმართ სასქელის ბირობით შეცვლა. აღნიშნულ პროტესტი, რომელსაც მხარი დაუჭირა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა და ლ-ძეს მიმართ განსაზღვრული სასქელის ზომა ორი წლის თავისუფლების ოლკეთა ჩასთვალი პირობითად. პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ლ-ძე სხვა ღროს რაიმე ცუდ საქციელში არ ყოფილა შენიშნული, მის კმაყოფაზე იმყოფებიან ორი ციირეწლოვანი შვილი და ტუბერკულოზით დაავადებული ქმარი, რომელთაც სხვა მზრუნველი არ ყავთ და რომ ასეთ პირობებში მის მიმართ ორი წლის თავისუფლების ოლკეთის შეფარდება არ იყო აუცილებელი.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

განმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო ვალდებულია უოველმხრივ გამოარყოთ რა პირობებში მოხდა დასახიჩრება

მოქ. ა. ხ. გიორგობიანმა ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის სახალხო სასამართლოში სარჩელი აღძრა სანიტარულ ეპიდემიურ სადგურის მიმართ დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოქ. გიორგობიანმა თავის სასამართლო განცხადებაში მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სანიტარულ ეპიდემიური სადგურის მუშავებმა არა სწორად გაუკეთეს მას ცოფის საწინააღმდეგო ნემსი, რის შედეგად ის დაავადდა და დაჯარგა შრომის უნარი ასი პროცენტით. ამასთან დაკავშირებით მას დაენიშნა პენსია, მაგრამ რადგანაც დანიშნული პენსია არ არის სრული საზღური, რასაც ის იღებდა დასახიჩრებამდე, მოითხოვა ხელფასსა და პენსიის შორის სხვაობა. სახალხო სასამართლომ სარჩელი დაკმაყოფილა და დაკისრა სანებიდსადგურს გიორგობიანის სასამართლოდ გადაეხადა ერთდროულად 12.927 მანეთი, ხოლო აუცილებელობის 464 მანეთი.



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ სასამართლო ორგანოების დადგენილებანი გიორგობიანის სარჩელის გამო გააპროტესტა სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის ხელახლად განსახილველად წარმართვა. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მითითება მისცა სახალხო სასამართლოს საქმის ხელახლად განხილვის დროს დაზუსტებული იქნეს რა ზრალი მიუძღვის ჟანეპიდსადგურს მოსარჩელეს დაზიანებაში, თუ სანეპიდსადგურის თანამშრომლის მიერ არ ყოფილა დარღვეული ცოფის საწინააღმდეგო ნემსის გაკეთების წესები, როგორც ამას აღნიშვნას ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურა თავის დასკვნაში ექიმის თანაშემწერ ტუხაშვილის საქმეზე. სასამართლოს ავტოვე დაევალა იმის გარკვევა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ცოფის წინაღმდეგ ჩატარებულ მყურნალობას მოყვეს მძიმე შედეგი იმ შემთხვევა-შიც; როდესაც მყურნალობა სრულიად ნორმალურ პირობებში ტარდება.

მუშაკს, რომელსაც კანონით ან ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, მატერიალური პასუხისმგებლობა დაკისრება სრული ოდენობით.

„თბილმრეწვევაჭრობის“ დირექციის აღმრა სარჩელი სახალხო სასამართლოში და მოითხოვა მოქ. ი. ზ. აკოფოვისაგან მიყენებული ზარალის 2757 მანეთის ანაზღაურება.

სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად „თბილმრეწვევაჭრობის“ დირექციის მიუთითა, რომ მოპასუხე ყოფოვე მუშაობდა მათ სისტემაში უნივერმატის ერთერთი სექციის ვამგედ და მისი დაუდევრობის შედეგად „თბილმრეწვევაჭრობამ“ განიცადა 2757 მანეთის ზარალი საქონლის დანაკლისის სახით.

სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების, ისე უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების შესწორებას იმ მხრივ, რომ მოპასუხე აკოფოვს შრომის კანონთა კოდექსის 83'-ე მუხლის შესაბამისად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაკისრებოდა მისი ხელფასის 1/3 ნაწილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც ეს საქმე განიხილა 1959 წლის 6 იანვარს, არ დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

მოქ. აკოფოვი მუშაობდა უნივერმატის სექციის გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს მან „თბილმრეწვევაჭრობას“ მისი უყურადღებობის შედეგად მიაყენა 2757 მანეთის ზარალი.

შრომის კოდექსის 83'-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების შესაბამისად მუშები და მოსამსახურები ქონებრივად პასუხს აგებენ დამქირავებლის წინაშე უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანისათვის სრული ოდენობის ფარგლებში, როდესაც სპეციალური კანონებით მუშაკს დაკისრებული აქვს სრული ან 83-ე

მუხლში ნაჩვენებ ოდენობასთან შედარებით გადიდებული პატერიალური პასუხისმგებლობა სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს და როდესაც მუშავა და დაქირავებელს შორის დადგებულია განსაკუთრებული წერილობითი ხელშეკრულება, რომ მუშავი ღებულობს თავისითავზე სრულ ან 83-ე მუხლში ნაჩვენებ ოდენობასთან შედარებით გადიდებულ ქონებრივ პასუხისმგებლობას იმ ფასეულობის გათვალისწინებულ ნორმაზე ზევით დანაკლისისათვის, რომელიც მას ჰქონდა ჩაბარებული.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილების „გ“ პუნქტის და სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 29 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად უნივერმადის სექციის ვამგეს ეკისრება სრული პატერიალური პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. დმრიგად აკოფოვა, როგორც სექციის ვამგე მიყენებული ზიანისათვის შრომის კოდექსის 83'-ე მუხლის თანახმად მატერიალურად პასუხისმგებელია სრული ოდენობის ფარგლებში და მასზე შრომის კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება კანონიდან არ გამომდინარეობს.

მეორე ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში არა აქვს უფლება არსებითად საქმის გადაწყვეტისა, თუ უკელა გარემოებები არ არის გამორკვეული.

ქ. თბილისის ორჯონიშვილის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლო 1958 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოქ. კ. გ. კუხალეიშვილს უარი უთხრა სარჩელზე, რომლითაც ის მოითხოვდა „თბილმრეწვერობის“ № 126 მაღაზიიდან გაყიდული ტელევიზორის საფასურის 2.292 მანეთის ანაზღაურებას იმის გამო, რომ ტელევიზორი უვარვისი აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც ეს საქმე განიხილა 1958 წლის 18 ივნისს საკასაციო წესით გაუქმდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანა დადგენილება კუხალეიშვილის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მიიჩნია რა არასწორად უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ეს დადგენილება, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა კოლეგიის დადგენილების გაუქმება და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დაკმაყოფილა იმ ცვლილებით, რომ გაუქმდა როგორც კოლეგიის დადგენილება, აგრეთვე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლად განსახილველად დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს, იმის გამო, რომ სახალხო სასამართლომ სათანადო სპეციალისტების საშუალებით არ შეამოწმა ტელევიზორის ვარგისიანობის საკითხი და არ დადგინა, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული ტელევიზორის უვარვისობა.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიას არ ქონდა საკმაო საფუძველი დავა არსებითად გადაეჭრა და დაეკმაყოფილებინა კუხალეიშვილის სარჩელი, რამდენადაც გამორკვეული არ იყო მთავარი საკითხი.



სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება გაუქმდა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის, დარღვევის გამო.

მოქ. ჩახხიანის მიერ გაფლანგული 16.360 მანეთის ასანაზღაურებლად 1956 წლის 10 მაისს ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა საკუთრების უფლებით გადასცა დაზარალებულ „თბილკვებვაჭრობის“ დორექციას ჩახხიანის კუთვნილი ქონებიდან ერთი ოთახი, ბეღელი და სხვადასხვანივთები.

1956 წლის 13 სექტემბერს ონის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩახხიანზე ჩამორთმეული ქონება ამორიცხული იქნა აღწერილობის სიიდან და ცნობილ იქნა ჩახხიანის კომლის წევრთა საკუთრებად.

ონის რაიონის სახალხო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ, რის შემდეგ ჩახხიანმა 1956 წლის 30 დეკემბერს საცხოვრებელი სახლი მთლიანად და მათ შორის სადაო ოთახიც მიჰყიდა 35.000 მანეთად სოფელ სადმელის კოლმეურნეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 26 აპრილის დადგენილებით ონის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებაში შეიტანა ცვლილება და ჩახხიანის დავალიანების დასაფარავად აღწერილობის სიაში დატოვა ერთი ოთახი, ერთი ბეღელი, ერთი ქვევრი და სწორად ჩასთვალა ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედება.

„თბილკვებვაჭრობაში“ ამის შემდეგ ხელახლად აღძრა სარჩელი ჩახხიანისა და სადმელის კოლმეურნეობის მიმართ სახლის დაბრუნების შესახებ. ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით „თბილკვებვაჭრობას“ სარჩელზე უარი უთხრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლად განსახილველად დააბრუნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარებ პროტესტი შეიტანა უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა. პროტესტის ამ მოთხოვნილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 1957 წლის 26 აპრილის დადგენილებით ჩახხიანის დავა აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილია და მის შემდეგ ყოველგვარი დავა: ამ საქმეზე სამოქალაქო სამ. საპრ. კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად სასამართლო ორგანოთა განხილვას არ ექვემდებარება. ამ საფუძვლით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დაკავშიროფილა პროტესტის მოთხოვნა, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე წარმოებით მოსპო.

8. ლო

ანაწყო

შევ

სარჩევადო კოლეგია:

- მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე,
გ. ინწყირველი, მ. ლეპვეიშვილი (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

გადაეცა წარმოებას 8/V-59; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VII-59 წ;
ანაზღაულის ზომა 7×12 ; ქაღალდის ზომა 70×108 ; სატამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 601.

ტირაჟი 3.000

უ 03905.

საქ. კვ ცვ-ის გამოშეცვლობის პოლიგრაფიული მინისტრი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП
Грузии, ул. Ленина № 14.